

# 23 ნოემბერს გიორგობაა, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს!

23 ნოემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღეს, რომელიც, გადმოცემით, წმინდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად.

...წმინდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში. საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა არსებობს. ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია. წმინდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!"



# საქართველოს რესპუბლიკა





იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 236 (6336)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ჭეშმარიტების მტერი ერის მტერია!

6



## პრეზიდენტის რეზიდენციის იდუმალი მხარე

4

მერიამ ფიფიების ქონება თაღლითურად შეიძინა

## „ალიანსმა საქართველოსთვის" ხელისუფლების პაკეტი ხისტად დაბლოკა, კუბლაშვილმა კი კარი გაიჯახუნა და წავიდა

2

## ბენდუქიძეს ჩვენი ჯანმრთელობა „ერთ ადგილზე" ჰკიდია

6

## თემურ შაშიაშვილი: მებრალიძეზე გაინტერესებს ჩემი აზრი და ის არ გაინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი ხელისუფლებაზე?! ვინ არის მებრალიძე!

2





## გალაშებული ქენია და გაქენიებული ლაშა

4





## ავთანდილ წულაია: ახლა კრემლისთვის მთავარი ამოცანა დროის გაჭიანურებაა

3

## მთავრობა „ბანკობანას" თამაშზე გადადის

5



**კოდექსის ჯგუფი**

# „ალიანსმა საქართველოსთვის“ ხელისუფლების პაკეტი ხისტად დაბლოკა, კუბლაშვილმა კი კარი გაიჯახუნა და წავიდა

**საარჩევნო კანონმდებლობის გადახედვაზე ხელისუფლება მას შემდეგ დაყაბულდა, რაც ჯო ბაიდენმა მეტი დემოკრატიულობა მოსთხოვა. რამდენიმე პარტიისგან შექმნილი ჯგუფი თებერვლიდან „აქტიურად“ მუშაობდა, თუმცა სექტემბრისთვის მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტილების მიღება შეძლო – გასაჩივრების ვადა 24 საათიდან 48 საათამდე ასწია.**

21 სექტემბერს კი „ალიანსი საქართველოსთვის“ ჩაერთო პროცესში და საკუთარი წინადადებების ორი პაკეტი წარადგინა.

კოდექსის ჯგუფს სულ 11 პარტია წარმოადგენს: ნაციონალები, მემარჯვენეები, ეროვნულ-დემოკრატები, რესპუბლიკელები, ტრადიციონალები, ქართული დასი, საქართველოს დემოკრატები, მრეწველები, ჩვენ თვითონ, თავისუფალი დემოკრატები და ქრისტიან-დემოკრატები.

ბოლო შეხვედრაზე ორი კენჭისყრა ჩატარდა. „ალიანსი საქართველოსთვის“ პაკეტს სამმა პარტიამ დაუჭირა მხარი, ორი წინააღმდეგი გამოვიდა, დანარჩენებმა თავი შეიკავეს. ლამის კონსენსუსამდე მისული გადაწყვეტილებები ნაციონალებმა ბოლო წუთში ჩააფლავეს. „რალაცით“ განაწყენებულმა დეპუტატმა პავლე კუბლაშვილმა მედიას განუცხადა, რომ ამ ფორმით თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებელია და „კოდექსის ჯგუფის“ მუშაობაც ამით დამთავრდა.

გუშინ სასტუმრო „რედისონში“ „ალიანსი საქართველოსთვის“ ექსპერტთა ჯგუფს და სამოქალაქო საზოგადოებას შეხვდა, სადაც წარდგენილი ორივე პაკეტის პრეზენტაცია მოაწყო.

პირველი საკითხი, რაზეც კონსენსუსი ვერ შედგა, ის იყო, რომ ნაციონალური პარტია ყველა საარჩევნო უბანზე თავმჯდომარის საკუთარ კანდიდატს ითხოვდა, ოპოზიცია კი მხოლოდ ნახევარს თანხმდებოდა. მეორე წინადადებით ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე სამ კანდიდატს პრეზიდენტი წარადგენდა, ხოლო საბოლოოდ თავმჯდომარის კანდიდატი მხოლოდ ცესკოს ოპოზიციური ნაწილის გადაწყვეტილებით აირჩეოდა. ამაზე ნაციონალები დაყაბულდნენ. და მესამე, რაზეც შეთანხმება ვერ შედგა, ის იყო, რომ თბილისში მერის პირდაპირი არჩევისთვის ალიანსმა 50 პროცენტი მოითხოვა, ხოლო ხელისუფლებამ – მხოლოდ 30 პროცენტიო.

კონსტრუქციულმა ალიანსმა საბოლოოდ გადაწყვეტილება შეცვალა და 45 პროცენტზე ჩამოვიდა, თუმცა ამ დროს ხელისუფლებას კარი უკვე გახურული ჰქონდა. ექსპერტებმა ალიანსის წევრებს მეტი პრინციპულობა ურჩიეს და მოსთხოვეს, რომ პროცენტი არ უნდა დაწიონ.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელიც საარჩევნო კოდექსის ჯგუფის შექმნის ინიციატორია, ამ ფაქტით შეშფოთებულია. ასევე უკმაყოფილოა დიპლომატიური კორპუსი, რომელსაც კოდექსის ჯგუფის დახურვა ნონსენსად მიაჩნია.

**ირაკლი ალასანია საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად უკვე გაემართა ევროპაში, აქ დარჩენილი ოპოზიცია კი ნაციონალებს სამუშაო მაგიდასთან დაბრუნებას სთხოვს. თუმცა არავინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება, რომელსაც ერთხელ უკვე უმტყუნა ნერვებმა და გაიქცა...**

**ნია ფიფია**

**აქცია**

# პროტესტი თბილისის ბაღებისა და პარკების გადასარჩენად

**თბილისის საკრებულოს შენობასთან კონსერვატიული პარტიის, „მწვანეთა პარტიის“ და მოძრაობა „შემოგვიერთდის“ ინიციატივით გუშინ აქცია გაიმართა. მათ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს, რომლის თანახმად თბილისში არსებული 47 ბაღსა და პარკს რაკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა.**

„შეგახსენებთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით დააკანონეს დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიების დიდი ნაწილის ჩეხვა-განადგურება და მათ ადგილას სამშენებლო სამუშაოების წარმოება“. – განაცხადა **ლაშა ჩხარტიშვილმა.**

აქციაზე წარმოადგინეს თბილისში შეგროვებული ათასამდე მოქალაქის ხელმოწერა, რომლითაც ისინი ადასტურებენ, რომ



უერთდებიან საკრებულოს 11 სექტემბრის უკანონო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას.

გამოაქვეყნეს იმ წერილის შინაარსიც, რომელიც მოთხოვნის საპასუხოდ გასცა თბილისის საკრებულომ.

წერილში ნათქვამია, რომ საკრებულოს 11 სექტემბრის გადაწყვეტილება მიიღეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, და რომ თბილისის მერიაში მოქმედი „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ რეკომენდაციის საფუძველზე დაამტკიცეს.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, აღნიშნული წერილით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისის საკრებულო თბილისელების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას მერიის დაკვეთების შესრულებას ამჯობინებს; ასევე ის, რომ საკრებულო თბილისის მერიის ნოტარიალურ კანტორადაა ქცეული. ირღვევა თითოეული მოქალაქის კანონიერი უფლება, იცხოვრონ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში. მერიაში მოქმედი „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენების რეგულირების საკითხთა კომიასია“ კი რეალურად ქალაქის მერისა და ე. წ. პრეზიდენტის, ასევე მათთან დაახლოებული ოლიგარქების პირადი ფინანსური ინიტერესების დაკმაყოფილებითაა დაკავებული“.

**აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავაც გააგრძელებენ საპროტესტო კამპანიას თბილისის ბაღ-პარკების გადასარჩენად და შესაბამისად იბრძოლებენ საკრებულოს 11 სექტემბრის გადაწყვეტილების გასაუქმებლად, ვინაიდან მისი რეალიზაცია ქალაქ თბილისს ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება.**

**თინათინ ბორცვაძე**

**ინფორმაცია**

# მოაჭამს სააკაშვილი იუშჩენკოს ჰალსტუხს?

**რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ჰალსტუხის უსაფრთხოებაზე ნერვიულობს.**

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი უკრაინის პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან უჰალსტუხოდ შეხვედრას ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება „ვახშამზე იუშჩენკოს სტუმარს მისი ჰალსტუხიც შემოეჭამოს“.

ამის შესახებ პუტინმა უკრაინის პრემიერ-მინისტრთან იულია ტიმოშენკოსთან შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– წარმოდგენა არ მაქვს შეხვედრის დროს რას აკეთებდნენ ჩვენი კოლეგები. თუმცა, ვფიქრობ, რომ სააკაშვილს და იუშჩენკოს აქვთ თემები, რაზეც ისაუბრონ. გაიხსენებდნენ და განიხილავდნენ ალბათ თანამებრძოლები წარსულის დღეებს, რომელიც ერთად გადაიტანეს, – განაცხადა პუტინმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ოპოზიცია**

**ასეთი უკმარისობის გრძნობით არც ერთი რესპონდენტთან არ წამოვსულვარ. იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი, რომელიც სულ მეგონა, რომ რაღაც „შავ საქმეებში“ იყო, უცებ „გათეთრდა“.**

**მას, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს, მენეჯმენტის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს, ამიტომ არის მის ლაპარაკში უხვად კონკრეტიკა, ფაქტები და დეტალები.**

**ბუნებრივია, მას ზოგადად უამრავ რამეზე შეიძლება ჰკითხო აზრი, და შეედავო კიდეც, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდით. რა ანალიზს აკეთებს პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ამაზე ქვემოთ, ჩვენი ინტერვიუდან გაიგებთ.**



# თემურ შაშიაშვილი: ებრალიძეზე გაინტერესებს ჩემი აზრი და ის არ გაინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი ხელისუფლებაზე?! ვინ არის ებრალიძე!

**თქვენ ეტყობა რაღაც სხვა ინტერვიუს ილებთ...**

**– ბატონო თემურ, თქვენი სახელი პოლიტიკაში არც თუ უმწიკვლო რეპუტაციას უკავშირდება. ბევრი ლაფიც მოგხვდათ (სხვა საქმეა ობიექტურად თუ არაობიექტურადძ. ამის შემდეგ პარტიისთვის „თეთრების“ დარქმევა ცოტა პრეტენზიული ხომ არ არის? რას ნიშნავს ეს, იმას ხომ არა, რომ ყველაფერს სუფთა ფურცლიდან იწყებთ?**

– არა, არ ვიცი სუფთა ფურცელი რას ნიშნავს. ჩვენ მოვდივართ სუფთა ხელებით. საქართველოს პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სუფთა ხელებით მოსული ადამიანები იყვნენ.

**– ყველა პოლიტიკოსი ამბობს, რომ მას სუფთა ხელები აქვს, ვის ენდობი?**

– არ ვიცი, ვისა აქვს სუფთა ხელები, მაგრამ ვისაც სუფთა ხელი აქვს, ის კარგად ვერ ცხოვრობს. მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ მამაპაპისეული სახლის გარდა საქართველოში და მის გარეთ, დედამიწის ზურგზე არაფერი არ გამაჩნია.

**– არც აგარაკი?**

– არაფერი. მე ამოდენა თანამდებობები მქონდა და თბილისში ნაქირავები ბინიდან ნაქირავებში გადავდიოდი, აქამდე ასე ვცხოვრობდი. ახლა გადავედით ჩემი მეუღლის ბებიის ბინაში.

**– ოფისს როგორ ინახავთ?**

– ოფისს საწევრო შემოწირულობებით ვინახავთ. ეს ერთადერთი ოფისი მაქვს მთელ საქართველოში. მე ამ დღეებში გამოვაქვეყნებ ჩემს დეკლარაციას და ასევე გამოვაქვეყნებ იმ სახლების სურათებს, რომელიც აქვთ სახელმწიფო მოხელეებს. მერე ხალხმა განსაჯოს...

სუფთა ხელებზე ლაპარაკი ძალიან ადვილია იმისთვის, ვინც არ ყოფილა არასდროს ხელისუფლებაში...

**– დიახ, ამიტომაც ძალიან ძნელია დაჯერება იმისა, რომ თქვენ, შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების გუბერნატორი, დღეს საკუთარ სუფთა ხელებზე საუბრობთ.**

– დღეს 80 პროცენტმა იცის ქუთაისში, მე ვინ ვიყავი.

**– მაგრამ თქვენი გუბერნატორობის დროსაც ისეთივე პირობებში ცხოვრობდნენ იმერლები, როგორც დანარჩენ საქართველოში სხვა მოქალაქეები. ასე ვთქვათ, „ცუდი გუბერნატორების“ ხელში.**

– თქვენ ეტყობა რაღაც სხვა ინტერვიუს ილებთ. მე გეუბნებით, რომ საქართველოში პრობლემები ცალ-ცალკე ვერ გადაწყდება. თუმცა ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი გუბერნატორობის დროს ქუთაისში ხელოვნების და კულტურის მოღვაწეები და პედაგოგები ხუთჯერ და ექვსჯერ მეტ ხელფასებს იღებდნენ. ცნობილი პროფესორები ქუთაისში ჩადიოდნენ და იქ კითხულობდნენ ლექციებს, იმიტომ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებებით, ასი დოლარზე ნაკლები გასამრჯელო არ უნდა ჰქონოდათ.

ჩვენ ვერავითარი გზა, პარკი და შადრევანი ვერ გვიშველის, თუ ფული განათლებაში არ ჩავდეთ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ქუთაისში 1995-96 წლებში პედაგოგი 300 ლარის ფარგლებში იღებდა ხელფასს, ათასობით ბავშვი სახელმწიფო კმაყოფაზე იყო საბავშვო ბაღში და სამჯერ კვებას ვაფინანსებდით.

რაც არ უნდა გაგიჭირდეს, არ უნდა გასწიო ეკონომია განათლებაში ფულის ჩადებისას, ამიტომაც ვიყავი და ვარ განათლებაზე ორიენტირებული პოლიტიკოსი.

**– გასაგებია, ბატონო თემურ, წარსულზე საუბარი შორს წაგვიყვანს. „თეთრების“ პროგრამის ერთ-ერთი ეტაპია „ანალიზიდან – მხილებამდე“. იქნებ ამაზე გველაპარაკოთ?**

– დიახ. ორმოცამდე ჯგუფია შექმნილი, რომელიც ანალიზს აკეთებს სხვადასხვა მიმართულებით. რომ მეგონა, იმაზე უარესი ვითარება ყოფილა ჩვენს ქვეყანაში.

მარტივ რამეს გეტყვით. დღეს ასიათასი სტუდენტი გვყავს საქართველოში, ეს რიცხვი წინა წლებთან შედარებით განახევრებულია. 65 მილიონი დაიხარჯა ამ სტუდენტების სწავლებისთვის წლის განმავლობაში. მაგრამ ამდენივე დაიხარჯა ბიუჯეტიდან სამი სკვერის კეთილმოწყობაზე. ახლა ეს სახელმწიფოა?! ეს ხომ კატასტროფაა?!

ანალიზს თუ მივყვებით, მაგალითად, ბათუმში მთელი ღამე განათებულია სკვერი, სადაც კაცის ჭაჭანება არ არის, თანაც განათებულია უამრავი ნათურით. ბაღების კეთილმოწყობას ვინ იტყვის, სახელმწიფოს კიდევ

## რუსული ლაბირინთი

**თუ რას უკავშირდება რუსული პოლიტიკური წრეების თბილისთან დაახლოების მცდელობები, რას შეიძლება ველოდოთ ნოემბრის ბოლოსთვის დაგეგმილი სარკოზი-მედვედევის შეხედრისაგან და რეალურად რა ვითარებაა რუსეთში, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთში მცხოვრებ ქართველ მკვლევარს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, რუსული „ინტერნეტგამოცემა“ ყოველკვირეული ჟურნალის“ მიმომხილველს, ექსპერტს ავთანდილ წულაძეს ესაუბრა.**

# ავთანდილ წულაძე:

# ახლა კრემლისთვის მთავარი ამოცანა დროის გაჭიანურებაა



**— ბატონო ავთანდილ, აშკარაა, რომ რუსეთი ქართულ საზოგადოებასთან კონტაქტების აღდგენას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს. ქართველ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებების იმიტაციით არის დაკავებული. თქვენი აზრით, რეალურად რასთან გვაქვს საქმე, ანუ რით შეიძლება აიხსნას რუსული მხარის აქტიურობა?**

— ახლა რუსეთში არეულობაა იმ მხრივ, რომ კრემლს, რეალურად, არც საგარეო და საშინაო პოლიტიკა და არც იდეოლოგია არ გააჩნია. რუსეთის ხელისუფლება რამდენიმე ჯგუფად არის გაყოფილი. ყველა ამ ჯგუფს თავისი შეხედულება აქვს, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის საშინაო, საგარეო, ეკონომიკური პოლიტიკა და ასე შემდეგ. არიან გარკვეული ჯგუფები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოსთან, იგივე უკრაინასთან და აშშ-სთან საჭიროა დიპლომატიური მუშაობა. არის მეორე ჯგუფი, რომლის აზრითაც, მთავარია ძალა, ტანკები და ასე შემდეგ.

ერთია, რომ კრემლს არა აქვს ჩამოყალიბებული ერთიანი პოლიტიკა, მაგრამ მეორეა, რომ დღევანდელი ვითარება რუსეთს არ აწყობს. საერთაშორისო საზოგადოება არც აფხაზეთსა და არც სამხრეთ ოსეთს არ აღიარებს, ამ ფონზე კრემლი გამოსავლის მონახვას ცდილობს. საერთოდ, რუსეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა, ყველაფერში ამერიკისთვის მიებაძა. ახლაც ასეა, ცდილობენ ობამას მიბაძონ და ვითომ დიპლომატიით გადაწყვიტონ პრობლემები, მაგრამ ისე, როგორც თავად უნდათ.

**— რუსი პოლიტიკოსები და ექსპერტთა უმრავლესობა აცხადებენ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხები დასრულებულია, ასეთი მოსაზრების გათვალისწინებით, რუსული მხარის მიერ თბილისთან კონტაქტების აღდგენის მცდელობა ხომ არ ისახავს მიზნად, რომ, ერთი მხრივ, შეგვაჩვიონ ტერიტორიების დაკარგვა, მეორე მხრივ, გაიგონ, ამ მიმართულებით რას აპირებს ოფიციალური თბილისი?**

— რას აპირებს ქართული მხარე, ისედაც ცხადია. რაც შეეხება მოსკოვს, ეს არის დიპლომატიური თამაში, რომლის მიზანი დასავლეთის თვალში რუსეთის იმიჯის ცოტა გააუმჯობესება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით დროის გაჭიანურებაა. იმის გათვალისწინებით, რომ ახლა რუსეთისთვის ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ძალიან ცუდი დროა, კრემლისთვის მთავარი ამოცანა დროის გაჭიანურებაა.

**— ნოემბრის ბოლოსთვის დაგეგმილია სარკოზი-პუტინის შეხვედრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობით სარკოზი, როგორც ევროპის ერთ-ერთი ლიდერი, შეურაცხოფილი უნდა იყოს, ხოლო რუსეთში რეალურ გადაწყვეტილებებს პუტინი იღებს, რას შეიძლება ველოდოთ სარკოზი-პუტინის შეხვედრისგან?**

— განსაკუთრებული მოლოდინი არ შეიძლება გვქონდეს. საერთოდ, მითია, რომ რუსეთში ყველაფერს პუტინი წყვეტს. სინამდვილეში, პუტინი რუსეთის სახელისუფლო წრეებში დაპირისპირებულ ძალებს შორის თამაშობს. პუტინი რომ ყველაფერს წყვეტდეს, ის სტალინის მსგავსი დიქტატორი იქნებოდა. ეს ასე არ არის. ის საკმაოდ სუსტი ფიგურაა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. პუტინის სტრატეგია დროის გაჭიანურებაშია და ახლა იგი დიპლომატიური ხერხის გამოყენებას ცდილობს. საქართველოსთან მიმართებაში კრემლი ცდილობს, შეაჩვიოს ქართველები, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სამუდამოდ მაინც დაკარგულია და მოდით, ახლა მაინც ერთად ვიცხოვროთ და ასე შემდეგ.

**— ბატონო ავთანდილ, რუსულ ინტერნეტგამოცემა „ყოველდღიურ ჟურნალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში - „სისტემის ნახევრადრღვევა ან ვოლუნტარიზმის ეპოქა. იმიტაციური მოდერნიზაცია“ თქვენ ასკვნით, რომ რუსეთში პროცესების არარევოლუციური სცენარით განვითარების შანსი სულ უფრო ნაკლებია. რა ხდება რუსეთში და არის კი იმის პერსპექტივა, რომ ამა თუ იმ სცენარით რუსეთში პროცესების განვითარება საქართველოს პრობლემების გადაწყვეტას წაადგება?**

— სხვათა შორის, საქართველოს რუსეთის დაშლა არ აწყობს. რუსეთი თუ დაიშალა, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის სახით საქართველოს ძალიან ბევრი პრობლემა გაუჩნდება. საქართველოს დემოკრატიული და ევროპული ორიენტაციის რუსეთი აწყობს. დღეს რუსეთში ხდება იგივე, რაც საქართველოში შევარდნაძის მმართველობის დროს ხდებოდა. კორუმპირებული სისტემა, რომელიც რუსეთში კომუნისტური მმართველობის დროს იყო და პუტინმა გაამაგრა, ახლა ინგრევა. ამ სისტემას არსებობისთვის ეკონომიკური ნიადაგი უკვე არა აქვს. გამწვავდა სახელისუფლო ვერტიკალში არსებულ დაჯგუფებებს შორის ბრძოლა. ხელისუფლებაში არის ლიბერალთა ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთს დასავლეთთან კარგი ურთიერთობა იმის გამო უნდა ჰქონდეს, რომ მისგან კრედიტები მიიღოს. ხელისუფლებაში მოკალათებული ე.წ. ძალოვანები კი თვლიან, რომ რუსეთი დასავლეთზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, უნდა შექმნას ენერგეტიკული იმპერია. ამ ორ მიმართულებას შორის დიდი დავა და დაპირისპირებაა. საბოლოოდ ან ერთმა უნდა გაიმარჯვოს — ან მეორემ.

პუტინი იმით გამოირჩეოდა, რომ ორივე ძალას შორის თამაშს ახერხებდა, მაგრამ როცა პროცესების განვითარების სტრატეგია აბსოლუტურად საწინააღმდეგო გაქვს, ორ სკამზე ჯდომა შეუძლებელი ხდება. ან ერთმა დაჯგუფებამ უნდა გაიმარჯვოს ან — მეორემ, ეს კი მარტო შეტაკებით ხდება. ზემო ეშელონებში დაპირისპირება ბოლოს და ბოლოს ქვედა დონეზეც გადადის. რუსეთში ახლა სწორედ რომ ამ პროცესთან გვაქვს საქმე.

რუსეთში მოვლენები ისე ვითარება, რომ ახლა ჩვენ არავინ არ გვკითხავს, რა იქნება შემდეგ. ამგვარ პროცესებს თავისი ლოგიკა აქვთ და მას უკვე კრემლიც ველარ აკონტროლებს. ჩემი აზრით, პროცესი უკვე კონტროლს აღარ ექვემდებარება და რეალურად, რევოლუციური სიტუაციის ყველა ნიშანი სახეზეა.

**კობა ბენდელიანი**

## გამოფენა

# „ბავშვს აქვს თავის დაცვის უფლება“...

**გუშინ საქართველოში არსებულ ალექსანდრე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრში ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 20 წლისთავთან დაკავშირებით მე-14 და 23-ე სკოლების ბავშვთა ნახატების გამოფენა გაიმართა. „ბავშვთა უფლებები დანახული ბავშვების მიერ“ — ასე ერქვა გამოფენას, სადაც რვა, ცხრა, ათი წლის ბავშვების ნახატები მართლაც რომ აღფრთოვანებას იწვევდა. გამოვარჩევდი მე-14 სკოლის IV და V კლასელთა ნახატებს, რომლებზეც არამარტო ბავშვების ნიჭი, არამედ პედაგოგ ლელა გოქაძის გავლენაც აისახებოდა.**

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თბილი დამოკიდებულება კი ბევრს ნიშნავს ბავშვებისთვის.

**ლელა გოქაძე, ხელოვნების პედაგოგი:** — „ცენტრმა ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ გამოგვიგზავნა ინფორმაცია. გავეცანით მუხლებს. ბავშვებმა შესაბამისი სურათები დახატეს, რომლებიც მეორე დღეს აქ, დიუმას სახელობის კულტურის ცენტრში გამოიფინა. დღევანდელი საღამოს მიზანია ბავშვების დაახლოება, აზრთა გაცვლა და მათი იდეების წინ წამოწევა“.

როგორც აღმოჩნდა, ბავშვები კარგად ხვდებიან, თუ რა უფლებები აქვთ და როგორ უნდა დაიცვან მათ საკუთარი თავი. ამის ნათელი მაგალითი სურათებზე გაკეთებული წარწერები იყო: „ბავშვს აქვს თავის დაცვის უფლება“; „ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება“; „თუკი ვარ შეზღუდული უნარის მქონე, უნდა მქონდეს შესაბამისი გარემო“ და ა. შ. გამოფენის დასასრულს უნისეფმა და საფრანგეთის საელჩომ ბავშვებს საჩუქრები გადასცა. სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე და აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე მსოფლიოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. ბავშვების ნახატებით კმაყოფილმა სურვილი გამოთქვა, რომ ასეთი საღამო ხშირად ჩატარდეს. ბოლოს კი პატარები ტკბილ სუფრასთან მიიპატიჟა.

**ხატია მუსერიძე**

## ოპოზიცია

უფრო ძვირი მისი შენახვა უჯდება. საცოდავი ბათუმელები, არ იციან, რომ ეს მათი ჯიბიდან ამოღებული ფულია და ხელისუფლება ერთი ბოძის განათებაზე თვეში უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე ერთ ადამიანზე.

რესპუბლიკურ საავადმყოფოზე ამბობდნენ, რომ უნიკალურად უნდა გადავაკეთოთო და ოცი მილიონი დახარჯეს, თანაც ცხრაჯერ გახსნეს, ახლა თორმეტ მილიონად იყიდება.

პრეზიდენტი 1996 წლიდან ტრაბახობდა სასამართლო რეფორმით, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი წარუმატებელია და ის არ არის ჯიბის სასამართლო.

კი ბატონო, თქვენ მიხსენეთ შევარდნაძის გუბერნატორი იყავითო, რაც სხვებისგან განსხვავებით მე არ მწყინს. მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ შევარდნაძის ქებას ჩემგან. პრეზიდენტი მსაყვედურობდა, ოპოზიცია არ მლანძღავს ისე, როგორც თქვენო. ეს ახალგაზრდა გუნდი აჯდა თავზე და იცით, ანალიზმა რა დასკვნამდე მიმიყვანა? სპეციალურად კეთდებოდა ის, რომ საქართველო ჩაბნელებული იყო, სპეციალურად არ ხდებოდა პენსიების გაცემა. იმიტომ, რომ მერე ამით ესარგებლათ. იაკობიძის დროს (1994-96 წლებშიძ თუ რიგდებოდა პენსია, მერე რატომ გაჭირდა? რატომ ხდებოდა, რომ შუქი მუდმივად არ იყო? ამას მარტო დღეს კი არ ვამბობ, მაშინაც ვამბობდი. 1997 წელს ვთქვი, სისტემაა კორუმპირებული-მეთქი. რაზეც მაშინ სააკაშვილმა თქვა, შაშიაშვილი მართალია, ქვეყანაში დიდი კორუფციაა, მაგრამ ამის გამო ხომ არ გადავეკიდებით ერთმანეთსო. ხომ წარმოგიდგენიათ, მაშინ რომ შევბრძოლებოდით კორუფციას, რა იქნებოდა? მაგრამ სააკაშვილი ბაზრობების აქციებს მიწყობდა, რადგან თურქული ფქვილის „ფათოღლის“ და ბარკლის გაყიდვა ავკრძალე. ის ფქვილი და ის ბარკალი თურქეთშიც კი აკრძალულია.

**— ისევ წარსულზე გადავერთეთ.**

— ერთი რამეც უნდა გითხრათ: ქართველმა მეცნიერმა ივერი ფრანგიშვილმა ექსპერტთა ჯგუფთან ერთად დაწერა საქართველოსთვის პროგრამა. ის ხალხი, ვინც ამ პროგრამას წერდა, ახლა „თეთრების“ წევრები არიან. და იცით რა წერია? ის, რომ 50 მილიარდი დოლარია საჭირო ბიუჯეტს ზემოთ ხუთ წელიწადში ქვეყანამ რომ ამოისუნთქოს, ხოლო კიდევ ხუთ წელიწადში 50 მილიარდია საჭირო, ქვეყანა რომ ფეხზე დადგეს.

ამიტომ მე ოპოზიციასაც ხშირად ვეკითხები, ქვეყნის სათავეში რომც მოხვიდეთ, გაქვთ კი ის 50 მილიარდი, ან საიდან მოგაქვთ-მეთქი.

**— თქვენ საიდან მიიტანთ?**

— იმიტომაც არ ჩაგვიტარებია „თეთრების“ დამფუძნებელი ყრილობა, რომ ხალხს ვერ მოვატყუებთ. როცა გვექნება კონკრეტული პროგრამა ორი პრობლემის რეალური გადაწყვეტის, მაშინ ჩავატარებთ კრებას. ესენია: კრიზისიდან გამოყვანა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

სკამისკენ მირბიან, მაგრამ დღეს ვინც არის ოპოზიციაში, 99 პროცენტი არც სოფლის გამგებელი ყოფილა, არც ქალაქის მერი და გუბერნატორი. სააკაშვილიც ისე მოვიდა პრეზიდენტად, რომ აზრზე არ იყო. ის რომ სოფლის გამგებლად დაენიშნათ, იქიდან გამოაგდებდნენ. ეს ყველაფერი რომ არ გამოუვლია, იმიტომაც გაიხადა ხალხი მსახურად, თვითონ კი არ არის ხალხის მსახური.

**— თქვენს პროგრამაში ერთი საინტერესო დეტალია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასაცემი მაქსიმალური ხელფასი არ შეიძლება იყოს მინიმალურზე 20-ჯერ მეტი. თანაც პენსია, მინიმალური ხელფასი, ლტოლვილთა და უმუშევრობის შემწეობა და სტიპენდია უნდა გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს.**

— და რა არის ამაში ცუდი?! ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ დღეს 500-ჯერ მეტია ხელფასები. ჩვენი გაანგარიშებით 220 ლარი მაინც უნდა იყოს საარსებო მინიმუმი. ამის ნახევარიც არ არის პენსია, არადა ყველა ყოფილი საბჭოთა ქვეყანა აძლევს საარსებო მინიმუმზე მეტ პენსიას. პედაგოგი ვერ იღებს საარსებო მინიმუმს.

წარმოიდგინეთ, რომ რკინიგზის ხელმძღვანელს 60 ათასი ლარი აქვს ყოველთვიური შემოსავალი, დეპუტატის ხელფასი 3000 ლარია, თუმცა 5-6 ათასი ლარი უჯდება სახელმწიფოს მათი შენახვა. შეიძლება პენსია ამ დროს 80 ლარი იყოს? არადა, იმ პენსიონერმა აირჩია. ქვეყანაში მივლინება ასე დააკანონეს, რომ მგზავრობისა და სტუმრობის გარდა დღეში 350 ლარი ღირს. შეიძლება ერთ დღეში 8-ჯერ მეტი სჭირდებოდეს მივლინებისთვის დეპუტატს, ვიდრე პენსიონერს ერთ თვეში სჭირდება? დემოკრატიის ქვეყნებში მინიმალური და მაქსიმალური ხელფასი განსაზღვრულია.

**— ე. ი. თუკი 80 ლარი არის მინიმალური, მაქსიმალური 1600 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.**

— დიახ. იყოს, კი, ბატონო, თუ უნდათ 5 ათასი მიიღონ, მაგრამ მაშინ გაზარდონ მინიმალური შემოსავალიც.

პენსიონერების პენსიას არიგებდა „სახალხო ბანკი“. ხოლო მის დირექტორს დეკლარაციაში უწერია, რომ ერთი წლის განმავლობაში 800 ათასი ლარი მიუღია ხელფასის სახით. ეს რამდენჯერ მეტია პენსიონერის პენსიაზე? ასჯერ მეტი. ასეთ ადამიანებს არ რცხვენიათ?

ჩვენ საიტზე დევს ინფორმაცია, თუ როგორ გაანაწილა თბილისის მერიამ ხუთი მილიონი გასულ წელს. 120 ათასი ლარი მისცეს პრეზიდენტის დედის უნივერსიტეტს, რომელიც არის კერძო და თურქი უდგას სათავეში. ამდენივე ათასი ლარი აქვს დახარჯული საბავშვო ბაღებისთვის, 600 ათასი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ცენტრალურ ბიუჯეტს. ეს არის სახელმწიფო, რამდენიც პატარებისთვის გაიღე, იმდენივე რომ აჩუქე პრეზიდენტის დედის უნივერსიტეტს?

დეპრესია არის ქვეყანაში. სისხლის დალვრა კი არ არის მძიმე, სისხლის გაშრობაა მძიმე. სწორედ სისხლის გაშრობის პერიოდია ქვეყანაში. 100 მილიონია დახარჯული ბათუმის ინფრასტრუქტურისთვის. ვის სჭირდება დღეს ბაღი და სკვერი, როცა ტოტალური უმუშევრობაა ქვეყანაში? ამიტომ ვამბობთ, რომ კეთილმოწყობა არ შეიძლება უმუშევრობის საფასურად, კეთილმოწყობა უნდა იყოს დასაქმების შედეგი, თორემ ჩვენ ზოგადად კეთილმოწყობის წინააღმდეგი კი არა ვართ. ბათუმში სკვერი მართლაც არაჩვეულებრივად არის გაკეთებული, მაგრამ იქვეა ავტოსადგური, რომელიც სიღატაკის ნიმუშია. რატომ ის ავტოსადგური არ მოაწყვეს? იმიტომ, რომ იმით ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს და უცხოელები იქ არ მიდიან.

„თეთრების“ პროგრამაში გვიწერია, რომ საქართველოს 80 პროცენტი ნიგერიელებზე უარესად ცხოვრობს. ანალიზმა აქამდე მიგვიყვანა, ამ დეტალებზე ხშირად ვსაუბრობთ. მაგრამ ჩვენს ბრიფინგებს სახელისუფლებო არხები არ აშუქებენ. „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ პროექტი დავიწყეთ და არც აჩვენებენ. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის ეს ინფორმაცია.

სამაგიეროდ, ყველა სატელევიზიო არხი მირეკავს ერთად და მეკითხებიან — აი, ებრალიძე რომ რაღაცას აწყობს, იქ მიწვეული ხართ თუ არაო და ა. შ. ვინ არის ებრალიძე? ებრალიძეზე გაინტერესებს ჩემი აზრი და ის არ გაინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი ხელისუფლებაზე?!.

**— ბატონო თემურ, აქ გავწყვიტოთ ჩვენი საუბარი, თუმცა კიდევ მოგეცემათ საშუალება ჩვენს მკითხველს თქვენი შეხედულებები გაუზიაროთ.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

ვაი ზრდილობისგან!

# გალაშებული ჟენია და გაჟენიებული ლაშა






ცუდი სულაც არ არის, რომ ახლა უკვე არც-თუ ახალგაზრდა მწერალი გუდაძე ლაშა თანდათან პოლიტიკურ გუდას ემსგავსება და თავისი საგაზეთო პუბლიკაციებით სულ უფრო განამტკიცებს თავისი გვარის გუდადან წარმომავლობის საფუძვლიანობას.

ვინც „24 საათის“ ფურცლებზე თვალყურს ადევნებს ამ ცნობილი რომანისტის საგაზეთო „კომენტარებს მთავარზე“, უთუოდ დამეთანხმება ამ ჩემი აზრის სისწორეში. აი, თუნდაც 20 ნოემბრის ერთი ჩვენებურის იუბილეს გამო სვეტად ჩამოგრძელებული „კომენტარები“ ჩავიკითხოთ. ამ ჩვენებურ „ვიღაც ლოყებშესიებულ, რომელიმე მავნე მღრღნელის მსგავს ჩინოვნიკს“ თურმე ჩვენი მაოხრებელი პუტინი სწვევია იუბილეზე, ქართველების სადღეგრძელო შეუსვია (შეუსვამს!) და ბრძანებაც მიუცია იუბილარისთვის, საქართველო შენ უნდა გააბრწყინო და გააერთიანოო...

და კიდევ:

... ჟენიას (ალბათ, ასე იხსენიებენო მას ქართველი რუსები) დაბადების დღეზე „ჩვენი საწყალი და დაბნეული თანამოქალაქეებიც“ მიუწვევიათო (მოსკოვში მცხოვრები „შეშინებულ-უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი ინტელიგენტებიო“), რომელთაც ერთსა და იმავე შეკითხვებს უსვამდნენ მოსკოვში მშრომელი ქართველი პოლიტ-ჟურნალისტებიო: „რა თქვა თავის სადღეგრძელოში პუტინმაო?“

და რაც მთავარია, „კომენტარები“ გვატყობინებენ, როგორ იმღერეს ყველაფრით (ნეტავი მაინც რით?!) „დამფრთხალმა ქართველმა რუსმა მომღერლებმა თავიანთი საშინელი რუსული რომანსები“ („ვაიმე, აბა, როგორ ვეტყოდი ჟენიას უარს, ბოლო-ბოლო ჟენიაა, ვიღაც ხომ არა!“), რა დროს წავიდა დაბადების დღიდან „მეორე შეშინებულ-დაბნეული ქართველი“, რა მოისმინა და რისი იმედი მიეცა „მესამე დამფრთხალ-მორიდებულ ქართველს“ და ა.შ. და ა.შ.

ერთი სიტყვით, გაულანძღავი და ლაფშეუსხმელი არავინ დატოვეს ამ ჩვენი არცთუ სახელგაუთქმელი რომანისტის „კომენტარებმა“. არც გარუსებული რატომღაც „დამფრთხალ-შეშინებული ქართველები“ (ალბათ, ჩვენივე ხელისუფლებისგან დამფრთხალ-შეშინებული) და არც გაქართველებული უკვე რუსეთისავე ხელისუფლებისგან დამფრთხალ-შეშინებული რუსები. ამ „დამფრთხალ-შეშინებულ გარუსებულ ქართველთა“ შორის კი აღმოჩნდა ჩვენი უნაზესი ნანი ბრეგვაძეც, რომელიც რატომღაც არა და არ ეშვება „საძაგელი“ და „საშინელი“ რუსული რომანსების სიმღერას. და ახლაც უნდა გენახათ თურმე, როგორ იწონებდა თავს ამ „ვიღაც ლოყებშესიებული, რომელიმე მღრღნელის მსგავსი გარეგნობის მქონე რუსი ჩინოვნიკის“ იუბილეზე (ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, კომენტატორი იუბილარის გვარს საერთოდ არ ახსენებს).

და მთელი ეს ქარიშხალი ჭიქაში გუდაძიანთ ბიჭმა პუტინის ერთი „აფერისტული“ სადღეგრძელოს გამო დაატრიალა.

მაშ, ძვირფასო მკითხველებო, ამ ეგრეთ წოდებული „კომენტარების“ წაკითხვის შემდეგაც არ დაიჯერებთ, რომ გუდაძიანთ გვარი ნამდვილად გუდადან მომდინარეობს?! აბა, გუდას მეტი ვინ მოახერხებდა ამდენ რუს-ქართველ ადამიანზე ერთდროულად და თვითონ მდედრობითი სქესის რუსეთზე ასე გაბედულად და აღტყინებული ზმუილით ამხედრებას?!

იმედია, ჩვენი ამერიკული ხელისუფლებისთვის ამ ფრიად სასურველი და მაამებელი „ძვირფასი ქართული ზრდილობით სავსე“ კომენტარების მხატვრული თარგმანი, ალბათ, მალე რუსულ პრესაშიც გაჩნდება, როგორც ქვეყნებთან და ადამიანებთან დიპლომატიური ურთიერთობის (ყველა სხვა ურთიერთობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ!) იშვიათი მწერლური ნიმუში.

ასეთი ვაიგუდაძისეული ლოგიკით თუ ვიცხოვრეთ და ვწერეთ, გაბრწყინდება და გაერთიანდება საქართველო აბა, რა?!

**გურამ წიკლაური**

ჟურნალისტური გამოძიება

*„ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში „სტუდია მონიტორის“ მიერ მომზადებული ფილმის ჩვენება გაიმართა. ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც გიორგი გელაძემ გადაიღო „პრეზიდენტის იდუმალი სასახლის“ სახელწოდებით წარსდგა მაყურებლის წინაშე. იგი ეხება ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობის კანონიერებას და მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს. ფილმი, ასევე მოგვითხრობს რეზიდენციის ადგილას მცხოვრები ერთი ოჯახის ისტორიას, რომელმაც კუთვნილი სახლი სახელმწიფოს დაუთმო, სანაცვლო კომპენსაცია კი ხუთი წლის განმავლობაში ვერ მიიღო.*

# მერიამ ფიფიების ქონება თაღლითურად შეიძინა

## პრეზიდენტის რეზიდენციის იდუმალი მხარე

აფხაზეთიდან დევნილი იზა გვაჯაია-ფიფია თავისი დუხჭირი ცხოვრების შესახებ პრეზიდენტს უკვე მეცამეტეჯერ წერს წერილს იმ იმედით, რომ იგი ერთხელ მაინც გაიგებს, რა აწუხებს და რა სურს მისი ქვეყნის მოქალაქეს.

ამონარიდი წერილიდან: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, 1992 წელს სოხუმიდან ჩამოსულებმა, ჩვენდა საუბედუროდ, ბინა ავლაბარში შევიძინეთ. 2004 წელს, თბილისის მერიის მოთხოვნით, ჩვენი საცხოვრებელი სახლი იძულებით დავტოვეთ და იქ თქვენი რეზიდენციის მშენებლობა დაიწყო. მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, ჩემი ოჯახი კომპენსაციის მიღებას უშედეგოდ ცდილობს. ეს ხუთი წელი, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად, საშინელ პირობებში ვცხოვრობ. ჩემი ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული საშინელი უსამართლობის მსხვერპლია“.

დევნილმა ოჯახმა ბინა 1992 წელს, თბილისში, ავლაბარში, ყაზარმის უბანში ლუდმილა ზარიცკაია-კოფტონისაგან შეიძინა, მაგრამ მისი გადაფორმება ვერ შეძლო, რადგან პრივატიზებული არ იყო. ამიტომ მყიდველ-გამყიდველს შორის ნოტარიულად დამკიცებული მინდობილობა გაფორმდა.

კრასნოდარში მცხოვრები ლუდმილა ზარიცკაია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა ახალი მინდობილობის გასაფორმებლად. ფიფიები ხელისუფლებას გასახლებაზე იმ იმედით დათანხმდნენ, რომ შეპირებულ კომპენსაციას აიღებდნენ. თუმცა, ამაოდ. საბუთების შეგროვების დროს გაირკვა, რომ ბოლო მინდობილობას ორი თვის წინათ ვადა გასვლია.

ფიფიები იძულებული გახდნენ, ახალი მინდობილობის ჩამოსატანად კრასნოდარში სანდო კაცი გაეგზავნათ. რუსეთის მოქალაქეობის მქონე მამუკა ტყებუჩავამ ახალი მინდობილობა ჩამოუტანა. მან მაშინ შეიტყო, რომ თურმე, ამ ადგილას პრეზიდენტის რეზიდენცია შენდებოდა და გადასახლებულებს ფულად კომპენსაციას პირდებოდნენ.

ამის შემდეგ, ნდობით აღჭურვილი მამუკა ტყებუჩავა კრასნოდარში, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ისევ ჩადის და ზარიცკაიას ახალ მფლობელზე ახალი მინდობილობის გაცემაში არწმუნებს. ეს „ახალი“ მისი მეგობარი ზურაბ ოთარაშვილია და იგი ზარიცკაიასაგან მინდობილობით მიღებულ ქონებას ტყებუჩავას უფორმებს. ასე აღმოჩნდა ფიფიების საცხოვრებელი სახლი ტყებუჩავების საკუთრებაში. პროკურატურამ 2007 წლის დასაწყისში მამუკა ტყებუჩავა და ზურაბ ოთარაშვილი, საეჭვო, არაკანონიერ გარიგებაში ეჭვმიტანილად სცნო და ორ-ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მამუკა ტყებუჩავაზე ძებნა გამოცხადდა. იმავე წელს შედგა მორიგების აქტი, რომლის თანახმადაც მამუკა ტყებუჩავამ ფიფიებს ბინა დაუბრუნა, თუმცა, შესაბამის აქტს ძებნილი ტყებუჩავას ნაცვლად ხელი მისმა წარმომადგენელმა ელდარ გოგიამ მოაწერა.

ქონების დაბრუნების შემდეგ ფიფიებმა კომპენსაციის მიღებაზე მოლაპარაკება ვიცე-მერ მამუკა ახვლედიანთან დაიწყეს. მერიამ 260 კვ.მ. ფართში 595 000 დოლარი შესთავაზა. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო რეესტრში ამ ფართის მხოლოდ ნაწილი – 73 კვ.მ. იყო რეგისტრირებული. საჯარო რეესტრმა ფიფიებს ამონაწერი ხუთი დღის დაგვიანებით მისცა. რეესტრის იურისტი ამას ტექნიკური პრობლემების არსებობით ხსნის. დავიჯერებდით იურისტის ამ ახსნას, რომ არა ერთი საეჭვო დამთხვევა: გვაჯაია-ფიფიას ამონაწერი 15 ივლისს 11 საათსა და 45 წუთზე მისცეს, მას შემდეგ, რაც მის ქონებას, იმავე დღეს, 11 საათსა და 21 წუთზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ყადაღა დაედო, ანუ საჯარო რეესტრმა ყადაღა ამონაწერის მიცემამდე 24 წუთით ადრე დაარეგისტრირა. ამის გამო, ფიფიამ ამონაწერი ველარ გამოიყენა და მერიამ კომპენსაცია აღარ გადაიხადა. ირკვევა, რომ ქონებას ყადაღა თაღლითების მოთხოვნით დაედო. ძებნილ ტყებუჩავას სასამართლოსთვის მიუმართავს. მოუთხოვია მორიგების აქტის გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ ტყებუჩავას არგუმენტაცია დააკმაყოფილა და 2007 წელს ქონების დაბრუნების გადაწყვეტილება 2008 წლის 21 აგვისტოს გაუქმებულად გამოაცხადა. ამჯერად ფიფიების ქონება ტყებუჩავამ ხელახლა დაიბრუნა. იმ დროს პრეზიდენტის რეზიდენცია უკვე აშენებული იყო. 73 კვ.მ. ფართი, რომლის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 150 000 ლარს შეადგენდა, ტყებუჩავამ იმავე დღეს 5.000 ლარად მიჰყიდა ყოფილ პოლიციელს გელა შინჯიკაშვილს. მან 5.000 ლარად შეძენილი ქონება სამ დღეში თბილისის მერიას 1500 ლარად მიჰყიდა. საბოლოოდ მერიამ თაღლითების მეშვეობით ნახევარმილიონიანი ქონება 1500 ლარად შეიძინა. ამას გიგი უგულავას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტიც ადასტურებს. დადგენილებაში აღნიშნულია: 8 სექტემბერს მოქალაქე გელა შინჯიკაშვილმა ქ. თბილისის მერიას მის საკუთრებაში არსებული 73.6 კვმ. ფართის შეძენა შესთავაზა. იმავე დღეს მოიწვიეს სხდომა და მიიღეს გადაწყვეტილება ფართის შესყიდვაზე. მერიასა და გელა შინჯიკაშვილს შორის საჯარო რეესტრში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა.

ფიფიებმა ქონების ხელმეორედ მითვისების გამო გამოძიება დაიწყეს. მოითხოვეს დოკუმენტების კალიგრაფიული ექსპერტიზა. მოსამართლემ მოთხოვნა დააკმაყოფილა. ექსპერტიზა 15 დღეში უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, პროკურატურამ საქმე ისე შეწყვიტა, რომ მოსამართლის ბრძანება არ შესრულებულა. მარცხის მიუხედავად, ფიფიებმა სასამართლოს მიმართეს და მერიისთვის თაღლითურად გადაცემული ქონების ჩამორთმევა მოითხოვეს. სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ირკვევა, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია ძებნილ მამუკა ტყებუჩავას მიწაზე აშენდა, რაც კანონდარღვევაა. ხუთწლიანი დავის შემდეგ საქმე სტრასბურგის სასამართლოს გადაეცა.

თაღლითებისა და მიმტაცებლების ზეობის ხანა დადგა საქართველოში. რა შედეგს გამოიღებს გიორგი გელაძის ჟურნალისტური გამოძიება, დრო გვიჩვენებს. მანამ კი პრეზიდენტი მომღიმარი სახით ღებულობს ძებნაში მყოფი თაღლითის ტერიტორიაზე აშენებულ სასახლეში უცხოელ სტუმრებს და სრულიადაც არ აღარდებს მოტყუებული, ერთხელ უკვე მშობლიური კერიდან იძულებით დევნილი ადამიანის ბედი.

**ეკა მაშიანოვა**

პრეზენტაცია

# დაარღვიე სიჩუმე – ბურღვა ზემოთ და ქვემოთ

**ვიდეო პორტალი (www.hridc.tv) ერთადერთია საქართველოში, სადაც იხილავთ ბევრ რამეს ისეთი მოვლენების შესახებ, რომლის გაშუქებასაც წამყვანი მედიასაშუალებები თავს არიდებენ. მასზე განთავსებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის სატელევიზიო სტუდიის ჟურნალისტური გამოძიებები, დოკუმენტური ფილმები, ტელერეპორტაჟები და ინტერვიუები. ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიების – დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“ გაიმართა.**

„ბურღვა ზემოთ და ქვემოთ“ – ასე ჰქვია ახალგაზრდა ჟურნალისტის გიორგი ჯანელიძის ფილმს, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრის ტელესტუდიის პირველი ნამუშევარია. ფილმი ეხება საგარეჯოს რაიონში მომხდარ ეკოლოგიურ კატასტროფას.

2004 წლის 10 სექტემბერს, სოფელ ნინოწმინდაში, ქართულ-ბრიტანული ნავთობკომპანია „ნინოწმინდის“ (მოგვიანებით – „კანარგო ჯორჯიას“) მე-100 ჭაბურღილზე ავარია მოხდა, რასაც ნედლი ნავთობის ამოფრქვევა მოჰყვა. ნინოწმინდაში სამი დღის განმავლობაში შავად წვიმდა.

ფილმის ნახვის გარეშეც მიხვდება ადამიანი, რომ სოფელში წყლისა და ჰაერის გარდა ნიადაგიც და შესაბამისად მოსავალიც დაბინძურდა. განსაკუთრებულად პირველ დღეებში მოსახლეობაში თავი იჩინა სხვადასხვა დაავადებამ, რასაც რაიონის ექიმებიც ნავთობპროდუქტებთან



კონტაქტს უკავშირებდნენ. თუმცა ფილმის ავტორის ვარაუდით, ექიმები ნავთობკომპანიის წარმომადგენლებმა დააშინეს, რის გამოც უწინდელი პოზიციის დაფიქსირებისგან ახლა თავს იკავებენ.

ნინოწმინდის მოსახლეობამ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა, მაგრამ სარჩელი სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რის შემდეგაც საქმე სააპელაციო სასამართლოს გადაეგზავნა. როგორც მოსახლეობა ამბობს, მოსამართლის გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საქმიდან გაქრა.

ნინოწმინდის მცხოვრებლებს ჭაბურღილის აფეთქებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სხეულზე წყლულები და ლაქები აღენიშნებოდათ, თუმცა როგორც ხედავთ, მათ არავინ მოუსმინა, არავინ ჩააკითხა და სასამართლოშიც ტყუილად ირბინეს. ამერიკული ნვთობისა და გაზის მომპოვებელი კომპანია „კანარგო ენერჯი კორპორეიშენის“ წარმომადგენელმა კი საქალაქო სასამართლოში პრაქტიკულად ნინოწმინდის საქმე მოიგო და ახლა მშვიდად განაგრძობს ზემოთ და ქვემოთ ბურღვასო, – აღნიშნა ფილმის დასასრულ გიორგი ჯანელიძემ.

**ხატია მუსერიძე**

№ 236. შაბათი, 21 ნოემბერი, 2009 წელი.

◉ ინიციატივა!

***ეს წელიც მიიწურა. მთავრობამ წარმატებით დაასრულა მიმავალი წლის ეკონომიკური თამაშები და ახალი წლიდან სრულიად ახალ, „ბანკობანას“ თამაშზე გადადის. ვის ეკუთვნის ეს ახალი ინიციატივა, — პრეზიდენტს, პრემიერს, ეკონომიკისა თუ ფინანსთა მინისტრს, — ჯერჯერობით გაურკვეველია, მაგრამ ნოვაცია, ისევე როგორც სხვა სახელისუფლებო ნოვაციები და ინიციატივები, ქვეყნის ეკონომიკის მორიგ აღმავლობა-აყვავებას რომ წაადგება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ლაპარაკია შიდასამთავრობო ეჭვზე, თორემ გარედან მაყურებელთაგან, ამ იდეას იმდენი მოკრიტიკე გამოუჩნდა, რომ მათი დათვლა თვით „ბანკობანას“ ავტორებსაც გაუჭირდებათ.***

# მთავრობა „ბანკობანას“ თამაშზე გადადის



ისე, წინა სამთავრობო ნოვაციებიდან გამომდინარე, ძნელია, თითქმის წარმოუდგენელია ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ახალი იდეის ავტორობას პრემიერს ან რომელიმე მინისტრს დაუთმობს, თუნდაც ის ვანო მერაბიშვილი იყოს. მით უფრო თუ საქმე ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიც 2010 წლის ბიუჯეტის პროექტია, რომელიც განსახილველად და დასამტკიცებლად პარლამენტში უკვე წარდგენილია. ბიუჯეტი ქვეყნის უპირველესი ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტია და, რა თქმა უნდა, ამიტომაც ჩაწერეს პროექტში, რომ ბიუჯეტიდან სესხის გაცემა განხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის განკარგულებების საფუძველზე. აბა როგორ, ბიუჯეტიდან სესხს ყველა მსურველზე ჰაიჰარად ხომ არ გასცემენ? ადრე, როცა მთავრობაში მძიმეწონიანი კაცი (ბენდუქიძე) იჯდა, ამ საქმეს უპრობლემოდ აგვარებდა, მაგრამ ახლა მას კანონის მტკიცე ხელი დასჭირდა და ხელისუფლება იძულებული გახდა, დიდი მოუცლელობის მიუხედავად, ეს ფუნქცია პირადად შეეთავსებინა.

ზოგმა ეს ვერ გაიგო და ხელისუფლების განქიქება მოიწადინა. ამ მხრივ განსაკუთრებით იაქტიურა „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“, რომელმაც ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხების გაცემის ასეთი პრაქტიკა მიუღებლად ჩათვალა და გააპროტესტა. რას იზამ, ახალგაზრდები არიან, ჯერ კიდევ საქმეში ჩაუხედავები და რაღაც დაუსაბუთებელი ეჭვებიც ამიტომ უჩნდებათო — თავს იმშვიდებენ მთავრობის წევრები. მერე იმასაც ამატებენ — სახელმწიფო თანხების განკარგვა თვითდინებაზე რომ მივუშვათ, წლობით ნაკოწიწები ეკონომიკა ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებივით თავზე ჩამოგვეშლებაო.

**ასეთი განცხადების შემდეგ ძნელია ედავო მთავრობას, მაგრამ „ახალგაზრდა ფინანსისტები“ თავისას მაინც არ იშლიან. მათი აზრით, ბიუჯეტიდან კერძო სტრუქტურებზე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემა, რასაც პროექტი ითვალისწინებს, არის კანონის დარღვევა, კერძოდ, ბიზნესში სახელმწიფოს უხეში ჩარევა. სხვა თუ არაფერი, ეს ეწინააღმდეგება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამასწინანდელ განცხადებას და მის მიერვე გახმაურებულ „ეკონომიკური თავისუფლების აქტით“ დეკლარირებულ პრინციპებსო(!).**

თქვენ ახალგაზრდები ეძახეთ, ხედავთ, რა მოხერხებულად გამოიჭირეს ალოგიკურობაში ჩვენი ოფლნაღვარი, საქმეში ნაწრთობი მთავრობა და თავად პრეზიდენტი სააკაშვილი? თქვენი არ ვიცი და მეც კარგად მახსოვს პრეზიდენტი როგორი რიხით ლაპარაკობდა: მორჩა, რაც იყო, იყო, აწი საქართველოში ბიზნესს, მეწარმეს უბატონოდ ხმას ვეღარავინ გასცემს, ვერც სახელმწიფო და ვერც რომელიმე ჩინოვნიკი. ეკონომიკა ქვეყანაში გალაღდება, რადგან ის მთავრობის ჩარევისგან სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებაო.

რა ხდება, როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი? პრეზიდენტს შეიძლება სხვა ყველაფერში შეედავო — ომის წაგებაში, ტერიტორიების დაკარგვაში, ქვეყნის დამშევაში, მაგრამ ტყუილში? არავითარ შემთხვევაში! სხვა დროს არ უკადრია ტყუილი და ახლა რატომ შეირცხვენდა თავს? მაგრამ ფაქტს სად გავექცევით, გუშინ სააკაშვილი გვიმტკიცებდა, ეკონომიკას ვათავისუფლებო და დღეს უკვე მონობის უღელში აბამს. არადა სწორედ ამას ედავებიან. ძალიან დიდია შანსი, რომ ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ კონკრეტულმა ჩინოვნიკმა საკუთარი მიზნებისა და კონკრეტული შეხედულებების მიხედვით გამოიყენოს ქვეყნის საბიუჯეტო სახსრები, რაც ბიზნესში არაჯანსაღი კონკურენციის ატმოსფეროს შექმნის და კორუფციის შემთხვევებსაც მოამრავლებსო.

თორემ აქამდე ხომ კონკურენციის ტალღით იყო წალეკილი მთელი ბიზნესი საქართველოში და ამ ტალღათა ტყლაშუნში კორუფციის მხოლოდ კნავილიღა ისმოდა. როგორც ჩანს, მთავრობას ეს კნავილი ეცოტავება და უფრო ვაჟკაცური „ბანის მიმცემს“ ეძებს(!).

**აი, ცნობილ ეკონომიკის ექსპერტსა და მეცნიერს ლადო პაპავას კი მთავრობის ასეთი ნაბიჯი მის მორიგ შეცდომად „ეჩვენება“ და ამას პირდაპირ ამბობს კიდეც: „ბიუჯეტიდან სესხის გაცემა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დიდი შეცდომაა, იმიტომ რომ სესხის გამცემი ორგანო, როგორც წესი, არის საკრედიტო ორგანო, ხოლო მთავრობა თავისი ბუნებით, არის პოლიტიკური ორგანო. სესხის გაცემის უფლება იმ ორგანოს ექნება, რომელსაც ეს დაევალება. ამ შემთხვევაში მთავრობა იძულებული იქნება, შექმნას საკრედიტო ორგანო. რა აპირებენ, რომ მთავრობაში ბანკი შექმნანო“?** — კითხულობს განცვიფრებული მეცნიერი.

პირადად მე, არა მგონია მთავრობაში იმდენად გამოყეყეჩდნენ, რომ ბანკი შექმნან, მაგრამ აი „ბანკობანას“ კი ნაღდად ითამაშებენ. ისიც წინასწარვე ცნობილია, ვინ და როგორ ისარგებლებს ამ თამაშის წესებით. რა თქმა უნდა, პრიორიტეტულ პოზიციას დაიკავებენ სახელმწიფო კლანები, მსხვილ-მსხვილი სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც საბიუჯეტო სესხებს იმ კომპანიებზე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გასცემენ, საიდანაც ფულის ჩაჯიბვის მეტი შანსი ექნებათ და არა იმათზე, ვისი სტიმულირებითაც ქვეყნის ეკონომიკა მოღონიერდება.

ყოველივე ამას განა აქამდე არ აკეთებდნენო? — იკითხავთ თქვენ. როგორ არა, ბატონებო, საქართველოს ხელისუფლებაში ამ საქმის დიდოსტატთა დეფიციტი არასოდეს იგრძნობოდა და მით უფრო არ იგრძნობა დღეს, როცა ნაცმოძრაობის მესვეურებმა ქართული ეკონომიკის მიღწევები (პირადი მილიარდების დასტურით) მსოფლიო სამზეოზე გაიტანეს. მთელ ამ საშვილიშვილო „მოღვაწეობას“, უბრალოდ, კანონის ჩარჩოებში მოქცევა სჭირდებოდა და ამიტომ გაისარჯნენ. ასეა მიღებული ცივილიზებულ საზოგადოებაში, ყველანაირი ფული (ნაქრთამევი და ნამამაძაღლარიც) ღიად და გამჭვირვალედ უნდა კეთდებოდეს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ენერგოუსაფრთხოება

***თუმცა წლეულს მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან დაღწევის ურთულეს პროცესებში ცალკეული დამაიმედებელი ძვრები შეინიშნება, ისიც ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში, პოლიტიკური, სოციალური, ენერგეტიკული თუ ეკონომიკური ცხოვრების ფაქტობრივად ყველა მხარეზე მისი გავლენა აშკარაა. ეს გარემოება, თავის მხრივ, ქვეყნების მთავრობათა წინაშე უამრავ, დროულად გადასაჭრელ საკითხს აყენებს, რომელთა შორის, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ერთ-ერთი პირველთაგანია საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფა.***

# ძველი გაკვეთილის გამეორება

ამის საუკეთესო მაგალითია თუნდაც ევროპის ქვეყნების მცდელობა როგორმე ფრთა შეასხან ისეთ მნიშვნელოვან და, რაც მეტად მნიშვნელოვანია ფინანსური კრიზისის პირობებში, ძვირადღირებულ პროექტს, როგორიცაა გაზსადენ „ნაბუქოს“ მშენებლობა, რომელიც მათ რუსეთის მხრიდან „გაზის კეტის“ გამუდმებით ქნევისგან მეტ-ნაკლებად დაიცავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ენერგოშემცველებზე მზარდი მოთხოვნილების პირობებში არც ეს იქნება საკმარისი, ამიტომ ყველა ქვეყანა, ერთადაც და ცალ-ცალკეც, თავისთვის მისაღები გამოსავლის ძებნაშია.



ამ მხრივ, ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი და ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ბაქო-სუფსის აღდგენილი ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გაზსადენი, „ნაბუქოს“ პროექტში ჩართვა და სხვ., თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველივე საკმარისია და ენერგოშემცველთა მეტი ოდენობით გატარების ან, გნებავთ, მათი შენახვის გზები საძებარი არ არის. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობის კარგი მაგალითია ჩრდილოეთ-სამხრეთის კავკასიური გაზსადენი მაგისტრალის რეაბილიტაციის თითქმის დასრულებული სამუშაოები.

XX საუკუნის 70-იან წლებში აშენებული ჩრდილოეთ-სამხრეთის კავკასიური მაგისტრალით რუსეთი გაზს სამხრეთ კავკასიაში თავის პირველი რიგის სტრატეგიულ პარტნიორს სომხეთს აწვდის, რომლისთვისაც, ცხადია, აზერბაიჯანული ენერგოშემცველები, ყოველ შემთხვევაში ორ ქვეყანას შორის გაყინული კონფლიქტის გადაჭრამდე, მიუწვდომელია. ამ სატრანზიტო ტრანსპორტირებას საფასურად საქართველოს ყოველწლიურად გატარებული გაზის 10 პროცენტი რჩება და, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის, როგორც პარტნიორის არასაიმედობა საქვეყნოდაა ცნობილი, ამ მარშრუტის მნიშვნელობა საქართველოში მაინც ძალიან დიდია. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საქართველოსთვის გაზის ძირითადი მომწოდებელია აზერბაიჯანი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამჟამად ჩვენში რამდენიმე ხნის წინათ განახლდა ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივ გეოლოგიურ სტრუქტურებში დიდი ტევადობის გაზსაცავის შესაქმნელად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. განახლდაო იმიტომ ვამბობთ, რომ დაახლოებით 25 წლის წინათ ამ მიმართულებით მუშაობდა მაშინდელი გეოლოგიური სამმართველოს მიერ საგანგებოდ შექმნილი ექსპედიცია, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, მიზეზთა გამო, რომელთაგან, უმთავრესი, ალბათ, დაუფინანსებლობა იყო, სამუშაოები შეწყვიტეს. ამჟამად კი ენერგეტიკის სამინისტრო „ათასწლეულის ფონდთან“ ერთად ასეთი გაზსაცავის შექმნაზე მუშაობს და თუკი ჩანაფიქრი განხორციელდა, ეს ბევრად გაზრდის საქართველოს ენერგეტიკულ ავტონომიურობას.

უნდა ითქვას, რომ ბუნებრივ გაზსაცავებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით იყენებენ. მათ შორის აზერბაიჯანსა და სომხეთში. ექსპერტების საყოველთაო აზრით, ამ ტიპის ბუნებრივი საცავების არსებობის გარეშე რომელიმე ქვეყნის ჭეშმარიტ ენერგოუსაფრთხოებასა და, მით უმეტეს, ამ მხრივ მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არც ღირს. როგორც წეღან აღვნიშნეთ, თუ აქამდე ეს საკითხი, ასე ვთქვათ, ერთგვარად „დაკონსერვებული“ იყო, ახლა იგი კვლავ დღის წესრიგშია და საამისოდ მოსამზადებელი სამუშაოებიც დაწყებულია.

ქვეყნის ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზსაცავის შესაქმნელად სპეციალისტებმა სამი უბანი შეარჩიეს: **ნინოწმინდის საბადო, სამგორის სამხრეთი თაღი და რუსთავის გაზის კონდენსატი.**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში პერსპექტიული გაზსადენისთვის სამივე უბანზე სტრუქტურები დაცლილი საბადოების ტიპს განეკუთვნება. სადღეისოდ სამივე ობიექტზე გეოლოგიური, სეისმური, ტექნიკური და სხვა სახეობების სპეციალური სამუშაოები მიმდინარეობს, რისთვისაც „ათასწლეულის ფონდს“ საწყის ეტაპზე 18 მილიონი დოლარი აქვს გამოყოფილი. საბოლოოდ შერჩეულ უბანზე გაზსადენის აშენების მიახლოებითი თარიღისა და, მით უმეტეს, საამისოდ საჭირო თანხის განსაზღვრა ჯერჯერობით, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ვინაიდან ყველაფერი კონკრეტულ უბანზე და, რაც მთავარია, თავად მის მოცულობაზე იქნება დამოკიდებული.

ასე რომ, ახლა ჩვენ, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის მხრივ, თუ შეიძლება ითქვას, ძველ გაკვეთილს ვიმეორებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია თემაში

**არსებობს ბუნებრივი გაზსაცავების ორი ტიპი: 1. ნავთობისა და გაზის უკვე დაცლილი საბადოები და 2. ბუნებრივი საბადოების მსგავსი ხელოვნური ფორმაციები, რომლებიც მარილის შემცველი ქანების გამორეცხვით იქმნება. ამ ტიპის გაზსაცავების ღირებულება, ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობისა და ტექნიკური სირთულის გამო, მეტად მაღალია.**

◉ ინფორმაცია

## მოსახლეობა საქმის კურსში უნდა ჩააყენონ

**დეპუტატი რომან მარსაგიშვილი ითხოვს, რომ ყაზბეგში პარლამენტარები ჩავიდნენ და აუხსნან მოსახლეობას, რატომ ხდება ლარსის გამშვები პუნქტის გახსნა. ეს მოთხოვნა მარსაგიშვილმა გუშინ სესიაზე დააყენა. როგორც მან აღნიშნა ადგილობრივ მოსახლეობას ლარსის გამშვები პუქნტის გახსნასთან დაკავშირებით უარყოფითი შეხედულება აქვს, რადგან შიშობს, რომ ლარსის გახსნა იქნება საფრთხის შემცველი მოსახლეობისათვის.**

**როგორც მარსაგიშვილი აცხადებს, აღნიშნულთან დაკავშირებით 21 ნოემბერს, ადგილობრივი მოსახლეობა იკრიბება და პარლამენტარებს როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლებს მოუწოდებს, რომ პირადად შეხვდნენ მოსახლეობას და აუხსნან, რატომ ხდება ლარსის გახსნა.**

**ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე იმედოვნებს, რომ ხელისუფლების მხრიდან შესრულდება ყველა ის დაპირება, რაც დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებასთან და მიიჩნევს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობა არის აუცილებელი.**

**— ჩვენ მზად ვართ ჩავიდეთ მოსახლეობასთან და მათ ყველა კითხვას გავცეთ პასუხი, — აცხადებს თარგამაძე. პარლამენტის თავმჯდომარე კი იმედოვნებს, რომ მოსახლეობასთან პარლამენტარები აუცილებლად ჩავლენ და მათ კითხვებს პასუხებს გასცემენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სიტყვა ერის გასაგონად

*ველოდები იმ დღეს, როდესაც სასიხარულო და ქვეყნის სასიკეთო მოვლენებზე მომიწევს ჩემს მკითხველებთან საუბარი, მაგრამ არ იქნა და ცხოვრების გაუმჯობესებას საშველი არ დაადგა. რას ამბობთ, ნუთუ ვერ ხედავთ? — განცვიფრდება ზოგიერთი და აქეთ დაგამუნათებს, გაიხსენეთ უწინდელი თბილისიო. ასე შეედავა ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე მიწვეული ნაციონალური პარტიის წარმომადგენელი ქალბატონი ოპოზიციური პარტიის ლიდერს, პოლემიკის დროს. დიახ, ზოგიერთებს სწამთ, რომ დღეს ყველაფერი კარგად არის, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებსაც კი შეგვიძლია მეტოქეობა გავუწიოთ, ზოგიერთები ვერ ხედავენ, თორემ, და ასე შემდეგ...*

ყველაფრის დანახვა შეუძლებელია და ამაზე პრეტენზია ვის ექნება! მთავარია, რომ დაინახო ის, რასაც ხალხი ხედავს და გრძნობს. როგორც ჩანს, როცა თავად კარგად ხარ, საქმეც გაქვს, ფულიც და საყოფაცხოვრებო საკითხებიც მოგვარებული, გიძნელდება სხვისი ჭირის დანახვა, თუნდაც ეს ჭირი საქვეყნო იყოს. აქაც ისეთი განსაკუთრებული ნიჭია თურმე საჭირო, რასაც ვერავითარი პოეტური, მათემატიკური თუ სხვა სახის ტალანტი ვერ ჩაენაცვლება. მაგრამ მე, ჩემდათავად, თუ გულუბრყვილობაში არ ჩამომერთმევა, მაინც მივმართავ ზოგიერთს: საკუთარი, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად მთავრობისაგან ნაბოძები ჯიპიდან თუ გადმოვა, სამოქალაქო ტრანსპორტით იმგზავრებს ან იკადრებს და ფეხითაც დაივლის თბილისის გარეუბნებს, თუნდაც ცენტრალურსაც, მაშინ... იქ ნანახმა და გაგონილმა იქნებ სიცხადე შეიტანოს ურწმუნოთა ცნობიერებაში

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა მეოცე საუკუნე კი არაა, უკვე ოცდამეერთე საუკუნემ ცხრა წელი აითვალა და თავიც კარგად დაიმკვიდრა. ალბათ, ისიც უნდა გვახსოვდეს, ვინ ვართ, რანი ვართ. ვართ ის პრეტენზიული და ამბიციური (სავსებით მართებულადაც!ძ ერი და ქვეყანა,რომელიც საუკუნეების მიღმიდან არამც თუ მოვისწრაფვით სინათლისკენ, არამედ თავადაც მოგვქონდა ჩვენი შუქი და სინათლე, სხვათათვის მოსაწონი და მისაბაძი. ამიტომ ჩვენ დღეს მეტი მოგვეთხოვება და მეტიც უნდა გავაკეთოთ...მეტის ნაცვლად რომ ნაკლებიც არა გვაქვს, ამ საუკუნის შესაფერად რომ ფეხი ვერ მოვიდგით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან კი არა, კავკასიის რეგიონის პირობებშიც რომ ჩამოვრჩით, ამისთვის და ამის გამო ნამდვილად არ უნდა გვესახელებოდეს 50 წლის წინანდელი თბილისის შედარება დღევანდელთან. მოსახლეობის ათი პროცენტის გამდიდრება, მათი, ან ჩამოსული ინვესტორების მიერ აშენებული ბანკები, სავაჭრო ცენტრები, მცველთა ალყაში მოქცეული, მოკვდავთათვის შეუვალ-შეუღწეველი ოფისები და ორგანიზაციები, მხოლოდ ამ შენობების წინ ძვირადღირებული ფილებით დაფენილი ტროტუარები, იქვე (მხოლოდ იქ!ძ აყვავებული სკვერები, ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველმა ხალხმა თავი დააღწია სიღარიბეს და ეკონომიკურ კრიზისს. მთავრობის ექვსწლიანი მოღვაწეობის შედეგად, თუ იგი სწორად, მიზანდასახულად, ქვეყნისათვის შესაფერისი სტრატეგიით და პოლიტიკით იღვწოდა, მაშინ ნახევარი საქართველო თუ არა, მესამედი მაინც უნდა გათანამედროვებულიყო და ხალხსაც საშუალო საყოფაცხოვრებო პირობები შექმნოდა.

თბილისელებს მოწესრიგებული ქალაქის მხრივ, ნამდვილად არა გვაქვს საქმე სატრაბახოდ, რადგანაც, თუ რაღაცა არის უკეთესობისკენ, ორჯერ მეტი უარესობა იგრძნობა ქალაქში და ამის დასანახავად მოვუწოდებ ზოგიერთებს კომფორტული, ძვირადღირებული მანქანიდან გადმოსვლას და თუნდაც ფალიაშვილის ქუჩის ყურადღებიანად დათვალიერებას. ამ ქუჩის ფეხით მოსიარულეთა ერთ-ერთ პრობლემას ვინ არ შეამჩნევს. მანქანების დაუსრულებელი ნაკადი მოძრაობის საშუალებას არ აძლევს ფეხით მოსიარულეს. ქუჩაზე ტროტუარი თითქმის არ არის და სადაც არის, კარგი სპორტსმენი უნდა იყო, რომ ფეხი არ მოიტეხო, წვიმიან ამინდებში კი გუბეებში არ ჩავარდე. სამი წელი გათავდა მას შემდეგ, რაც ამ ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლები ამაოდ ითხოვდნენ მათი სახლის წინ ტროტუარის შესწორებას და ტბადქცეული ეზოსადმი ყურადღებას... მაგრამ ეს წვრილმანი დეტალები რა მოსატანია ქალაქის სხვა უამრავ, მნიშვნელოვან პრობლემასთან... თავი დავანებოთ ქალაქის მოუვლელ ქუჩებს, „თანამედროვე“ არქიტექტურით „დამშვენებულ“ უბნებს (მაინც საიდან მოიგონეს ეს უცნაური გუმბათებიანი სახლები!ძ, თორემ ძველ თბილისთან შედარებაც კი სირცხვილში ჩაგვაგდებს.... ამისათვის დღევანდელი „აბაზრებული“ დიდუბის უბანიც კი საკმარისია, რკინიგზის სადგურის მიდამოებს რომ თავი დავანებოთ. ახლა მათხოვართა ყოველდღიურ ზრდას არ იკითხავთ? სად არ შეხვდებით მათ, მარკეტებთან თუ სუპერმარკეტებთან, გადასასვლელ გვირაბებში, ეკლესიებთან თუ თვით ეკლესიებში. მშიერი ხალხის ურნებში ქექვასაც თვალი არ უნდა დავუხუჭოთ და არც უფასო სასადილოებში მიმავალ უღარიბესთა ნაკადს... ეს მშიერი ხალხი რომ შენი თვალით ნახო, „კათარზისში“ შესვლაც არ არის საჭირო, იქვე ავტობუსის გაჩერებასთან იკრიბება გაჭირვებულთა დიდი რაოდენობა და მოისმინეთ მათი საუბარი.

ბავშვები? უპატრონო ბავშვებით ხომ მოფენილია ჩვენი ქალაქი, შიმშილის დასაოკებლად რამდენი ზღვარსგადასული დანაშაული ხდება დღეში, რამდენი ბავშვის სული სახიჩრდება და მორალი იხრწნება. ვინ არის მათი პატრონი და სად არის გამოსავალი. თანდათანობით, ყოველ წუთსა და წამში უცნაური სახის ფენა შავ ლაქად და მძიმე ტვირთად ემატება და ემატება ჩვენს საოცრად დამახინჯებულ სოციალურ სურათს

როდესაც ქალაქს და, საერთოდ, ქვეყანას, ასეთი უმძიმესი პრობლემები აქვს, არ შეიძლება მის წინსვლაზე ნიშნისმოგებით ვისაუბროთ. რომელი თექვსმეტ და ოცდაათსართულიანი შენობები ან ტყუპის ცალებივით ერთმანეთის მსგავსი შადრევნები, ან ახლად დაგებული გზები შეცვლის და გამოგვისწორებს მდგომარეობას და იმ დევნილი ოჯახების ტანჯვა-წამებას, რომელთაც წლების მანძილზე რუდუნებით, შრომით და ოფლით მოპოვებული ქონება და ძვირფასი საცხოვრისები დაკარგეს და დღემდე წესიერი თავშესაფარის გარეშე, შესაბრალის პირობებში იმყოფებიან.

# ჭეშმარიტების მტერი ერის მტერია!



მინდა გაკვრით მაინც შევეხო იმ ქალაქელთა სატკივარსაც, ათეული წლების მანძილზე არასაკმარისი საცხოვრებელი ფართით, ან სრულიად უბინაოდ, ქირით რომ ცხოვრობდნენ, ჭირითა და ოფლით დაგროვილი თანხა ბინის მშენებლობებში ჩადვეს და უცებ მოხდა ის, რაც საქართველოში უნდა მოხდეს მაინცდამაინც: არც ბინა, არც ფული! კანონი კი იმ უიმედო, უფრო სწორად, იმ სატანჯველი ადგილისკენ მიგითითებს, რომელსაც ჩვენში „უსამართლო სასამართლო“ ჰქვია. რა უნდა ჰქნან უფულოდ და უბინაოდ დარჩენილმა ოჯახებმა? სად იპოვონ საშველი და გამოსავალი? არადა, ამ ბოლო ათი წლის მანძილზე უამრავი საცხოვრებელი სახლი აშენდა ქალაქში, მაგრამ, უმეტესწილად მათთვის, ვისაც ერთი კი არა, რამდენიმე ბინაც აქვთ და აგარაკიც. საქართველოში ასეა: მდიდრის ეზოში მამალიც კი კვერცხებს დებს, ღარიბს კი ქვა აღმართშიც მიეწევა. სად არის გამოსავალი? დღესდღეობით არ არის საშველი და გამოსავალი მშრომელი, მუშა და პატიოსანი ხალხისთვის. თუმცა, არც მუშა და პატიოსანია ადვილად საპოვნი. ტერმინი „მუშა“ მგონი გაქრა ჩვენი სიტყვათა ლექსიკონიდან და, შესაბამისად, მგონი ცნობიერებიდანაც. ყბადაღებული და ავადსახსენებელი „მუშათა კლასი“ ნუთუ მართლა არ არის საჭირო? ეს უკანასკნელი საკითხი ალბათ მკითხველებისთვისაც არ იქნება უინტერესო თუ რედაქცია ამ თემას შეუკვეთს რომელიმე სანდო სოციოლოგს, თორემ ათას-ათას ლარიანი ხელფასით უზრუნველყოფილ ჩინოვნიკ-სოციოლოგი მუშათა კლასს სამთავრობო სტრუქტურებშიც კი აღმოაჩენს...

თბილისი ამ ათეული წლების წინათ ნამდვილად უფრო ლაღი და მოწესრიგებული ქალაქი იყო, მარტო იმიტომ კი არა, რომ ცოტა მაცხოვრებელი ჰყავდა ქალაქს და თითქმის ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით. არა, რა თქმა უნდა. ცხოვრების სიდუხჭირე მაშინ გაცილებით უფრო საგრძნობი იყო. თავზე საყრელად არც საჭმელ-სასმელი გვქონდა და არც ტანთსამოსი, მაგრამ ადამიანებს შორის იყო მეტი გულისხმიერება, მორიდება და პატივისცემა. ეს პატივისცემა იგრძნობოდა ქუჩაშიც, ტრანსპორტშიც, სამეზობლოშიც და დაწესებულებებშიც. თავისი ადგილი ჰქონდა პროფესორს, ასისტენტს, სტუდენტს. განსაკუთრებით დიდი მოწიწება იგრძნობოდა ინტელექტუალებისადმი. არაფერი ფასდებოდა ისე, როგორც ცოდნა, განათლება, ნიჭიერება. აი, რას ჰქონდა საზოგადოებისთვის უმაღლესი ღირებულება. დღეს კი გამქრალა ყოველივე ეს. ბანკის თანამშრომელ გოგონას შეუძლია უძვირესი ავტომობილის შეძენა, ხოლო მაღალკვალიფიციურ ექიმს, პედაგოგს და მეცნიერების ამა თუ იმ დარგის პროფესიონალს ავტობუსში სამგზავრო ბილეთის ყიდვა უჭირს.

საქართველო ჩვენი სამშობლოა, ყველასი, ვინც აქ ვცხოვრობთ და ჩვენ ყველას სამშობლო გვიყვარს, მით უმეტეს იმათ, ვინც დღესაც კი აქა ვართ დარჩენილები და მიუხედავად რთული გარემოებებისა და საცხოვრებელი ყოფისა, არც ვაპირებთ არსად წასვლას. დედაქალაქი ჩვენი უსაყვარლესი ქალაქია, აქაურებიც ჩვენი ხალხია, ჩვენი ერი. ჩვენია თავისი ავიან-კარგიანად, მთავრობიან-ჩინოვნიკებიანად, ოპოზიციონერ -პოზიციონერებიანად. ეს არის სამშობლო, ტკბილიც და მწარეც, ავიც და კარგიც, მაგრამ მაინც შენი, შენი ნავსაყუდელი, შენი ადგილი, ოჯახივით თბილი და გულისფიცრამდე საყვარელი, თუმცა იცი, რომ ამ სიყვარულში ყველა ერთნაირად სანდო და ერთგული როდია! მაინც გიყვარს შენი ერი და მათში შერეულ ვიღაც-ვიღაც ორგულებს გულგრილობას (და მეტსაც!ძ პატიობ, ერთი გამონაკლისის გარდა: ქვეყნის სათავეში ასეთი არ უნდა მოხვდეს! ქვეყნის საპატრონოდ არჩეულ ერის შვილებს ხალხის ერთგულება, ხალხისა და ქვეყნის მოვლა, ხალხის ტკივილის მოსმენა და გაგება, პატივისცემა, მსახურება, დიდი ჭკუა და გონება მართებთ და არა თეთრზე შავიაო, — ახირებული მტკიცება. ასეთთა ხელში ერი ვერ გაიხარებს, ქვეყანაც დაიჩაგრება. ასეც მოხდა საუბედუროდ, ხალხმა წინამძღოლთა გამოსაფხიზლებლად რამდენჯერმე შეჰყვირა კიდეც; ან გონს მოდით. ქვეყანას მიხედეთ, ან გზა დაუთმეთ ქვეყნის მოვლა-პატრონობის შემძლეთო.

საქართველოს დღეისთვის უამრავი საჭირბოროტო საკითხი დაგროვებია, ყველაფერს მაინც აღემატება ოკუპანტების ხელში ჩავარდნილი ჩვენი მამულის ძირძველი კუთხეები, სადაც ახლა მოთარეშე მტერმა საზღვრები დაგვიწესა და ჩვენი მამა-პაპის ძვლებით და სისხლით გაჟღენთილ მიწაზე ნახევარი ტერფიც რომ გადაგცდეს, ეს გადამთიელი ოკუპანტები დაგატყვევებენ და „პასუხს“ გაგებინებენ. ასე მოხვდა მრავალი ჩვენი მოქალაქე ოკუპანტთა და მარიონეტთა ხელში. ყოველივე ეს აღმაშფოთებელია, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ხალხი არასრულწლოვანი ოთხი ბიჭის დატყვევებამ შეძრა. რას გაუძლოს ჩვენმა ერმა, რომელ ერთ ვარამს. გვაქვს კი ახლა დამშვიდებისა და რომელიღაც უბანში საბავშვო კარუსელისა თუ შადრევნის გახსნის გამო მეტისმეტი ზარ-ზეიმის უფლება?

ვიშრომოთ, საჩვენო და საქვეყნო საქმე ვაკეთოთ უხმაუროდ და უჩუმრად, მაგრამ არც ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ჭირ-ვარამი, რომელშიც ჩვენ ახლა ვართ გახვეული, მხოლოდ მტრის ბრალი როდია!

ჩვენი საქმე ცუდი და დაუმთავრებელი ზღაპარივითაა და მანამ გაგრძელდება, სანამ თითოეული ჩვენგანი არ შეიგნებს, რომ სამშობლო ერის კუთვნილებაა და არა სახელისუფლო სტრუქტურებში დროებით მოსულთა, რომელთაც მოინდომეს სამშობლოს მისაკუთრება. ამ შენ-ჩემობიაში დაიკარგა ჩვენი მამულის საკმაოდ დიდი ნაწილი. დაგვიცოტავეს სამშობლო და განა დრო არ არის ვეძებოთ და მივაგნოთ იმ ჭეშმარიტებას, რომლის ფასეულობა დღემდე ვერ შეგვიგნია, დღემდე უდიერად ვექცევით ყოველივე მაღალსა და ძვირფასს, ყოველივეს, სადაც ჭეშმარიტების მარცვლები შეინიშნება... იქნებ სამშობლო თავად არის ის ჭეშმარიტება, რომლის ზემოთ არ არსებობს არანაირი ღირებულება, იქნებ შინაური მტრებიც, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, იმიტომ ებრძოდნენ სამშობლოს, რომ სწორედ ის იყო ერთ-ერთი და ერთადერთიც, რომელიც ჭეშმარიტებაში არამც თუ მოიაზრებოდა, არამედ მისი საფუძველიც იყო? რა გასაკვირია ჭეშმარიტებას მტერი ყოველთვის რომ ჰყავდა და ახლაც ჰყავს. მისი ძიების გზებს უსასტიკესი ძალადობითაც კი ახშობდნენ ხშირად. და არა მარტო ჩვენში... ჭეშმარიტების მტერი ერის მტერია!

**გულნარა სტურუა**

## გვეხმაურებიან

# გაგვაგებინეთ, უროლოგიის ცენტრი მართლა იყიდება?

### ბენდუქიძეს ჩვენი ჯანმრთელობა „ერთ ადგილზე“ ჰკიდია

**ჩვენ, მეზობლები გწერთ ამ წერილს. გლდანის დასახლებაში ვცხოვრობთ და ორ ათეულ წელზე მეტია თბილისის უროლოგიის ცენტრის მედპერსონალის მომსახურებით ვსარგებლობთ. მართალია საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩვენში უფასოდ აღარავინ მკურნალობს, მაგრამ ამის მიუხედავად, დასახელებული სამედიცინო დაწესებულების მუშაობით მაინც კმაყოფილი ვართ. აქ, სხვა კლინიკებთან შედარებით, ფასებიც შეღავათიანია და მედპერსონალიც კვალიფიციური და ყურადღებიანი. მაგრამ რად გინდა რა, მალე ალბათ ესეც აღარ გვექნება, რადგან როგორც თქვენი გაზეთის მეშვეობით გავიგეთ („საქართველოს რესპუბლიკა“, 13 ნოემბერი, 2009 წ.), მას თურმე ყველასთვის კარგად ცნობილი ჩარჩი და მქაფავი კახა ბენდუქიძე ყიდულობს.**

ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, გულს შემოგვეყარა. მართალია წერილის ავტორი ამას ისე გვამცნობს, როგორც ყურმოკრულს და იქაური მედპერსონალისგან შემთხვევით გაგონილს, მაგრამ ხომ ყველას მოგვეხსენება — ტაშტი რომ არ გატეხილიყო, ხმა ტყუილუბრალოდ არ გავარდებოდა. თანაც კახა ბენდუქიძეს ხომ ვიცნობთ, რა მამააბრამის ბატკანი ბრძანდება. ჯერ იყო და მინისტრობის დროს გადაჭამა ქვეყანა, რაც რამე გააჩნდა საქართველოს, უძრავ-მოძრავი ქონება, ტყეები, წყალი თუ წიაღისეული, ყველაფერი გაყიდა, ახლა კი სკამიდან გადმოგდებული, თუ დაგორებული, არმად ნაშოვნი ფულით, ყველა ჩვენს სიმდიდრეს კაპიკებად ყიდულობს. ამიტომ სულაც არ იქნება მოულოდნელი და გასაკვირი თუ ეს ჩარჩი სხვა ყველაფერთან ერთად უროლოგიის ცენტრსაც თავის ბინძურ ტორებში მოიგდებს. იმის დაჯერება კი გვიჭირს, თუ ამ არაკაცთან ერთად ცნობილი უროლოგი და დასტაქარი ლაურ მანაგაძე მეწილე-პარტნიორობას იკადრებს.

თუმცა დღეს ისეთი ამბები ხდება, აღარაფერია გასაკვირი. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთი-ორი წლის შემდეგ მომგებიან ვარიანტში ამ ნაგებობას ბენდუქიძე თავისზე უარეს ჩარჩს მიჰყიდის, ან დაწესებულებას პროფილს შეუცვლის და მას სასტუმროდ ან სავაჭრო ცენტრად გადააკეთებს. სახელმწიფოც ისეთი გვაქვს, რომ ჩვენს საწინააღმდეგოდ, ჩვენი შრომისა და ოფლის ხარჯზე გამდიდრებულ „ბიზნესმენებთან“ მეგობრობს, ყველაფერს მათ სთავაზობს (გასაგებია რის ფასადძ, ჩვენ კი, მშრომელ ხალხს, უპატრონოდ და ულუკმაპუროდ გვტოვებს. ასე გაყიდა ხელისუფლებამ ბევრი საავადმყოფო და კლინიკა, ვითომ იმ მიზნით, რომ იქ მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდებოდა, სინამდვილეში კი ფასები გაიზარდა და მომსახურება გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა. დარწმუნებული ვართ, ასე მოხდება უროლოგიის ცენტრშიც. მუცელღმერთა ბენდუქიძე, რა თქმა უნდა, შეეცდება მასში გაღებული თანხა ასმაგად აინაზღაუროს, ჩვენ კი — უქონელი და ღვთის ანაბარა მიტოვებული ავადმყოფები, როგორც იმ სტატიის ავტორი წერს, „ერთ ადგილზე“ დაგვიკიდოს.

ეს არ უნდა დავუშვათ. თქვენი გაზეთის მეშვეობით, საზოგადოებას ვთხოვთ, გვერდით დაგვიდგეს, ყველამ ერთად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ბენდუქიძისნაირმა წურბელებმა ჩვენი ეროვნული სიმდიდრეების დაპატრონება ვერ შეძლონ.

**ვახტანგ ბასიშვილი,**
**ირაკლი თარგამაძე,**
**ზურაბ პაპასკირი.**
**თბილისი, გლდანის III მიკრ. რაიონის მე-5 კორპ.**

პოეტის გახსენება

***ხანდახან უნებურად შევკრთები, როცა გავიხსენებ თუ რამდენ ადამიანს, რომლებსაც კარგად ვიცნობდი, უკვე შეუსრულდა ან ეს-ესაა შეუსრულდება ასი წელი. ირაკლი აბაშიძე ერთი მათგანია, ვინც ამ დღეებში სახელოვან ასწლოვანთა კოჰორტას შეემატება და ვისთან ნაცნობობაც საკუთარი ბიოგრაფიის საგულისხმო ნიშანსვეტად მიმაჩნია. ამ დიდი პოეტის შემოქმედება ჩემთვის დაიწყო მისი საყმაწვილო პოემით „რას გადაურჩა თბილისი“, რომელიც მშობლიური სკოლის დირექციამ მაჩუქა „სანიმუშო ყოფაქცევისა და ფრიადი წარმატებისთვის“ (ასე ეწერა წიგნზე). მახსოვს ასევე მისი ლექსთა მომცრო კრებული „მიახლოება“, რომელშიც ნახევარი საუკუნის მიჯნაზე მდგარი მგოსნის განცდები დიდი შინაგანი მღელვარებითა და თრთოლვითაა გადმოცემული. მერე და მერე კი, რაც უფრო ღრმად შევდიოდი ქართული მწერლობის წიაღში, რაც უფრო უკეთ ვეცნობოდი სახელოვანი პოეტის შემოქმედებას, მით უფრო ვხედავდი და ვგრძნობდი თუ მისი სახით რაოდენ მასშტაბურ (როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) მოღვაწესთან გვქონდა საქმე.***

# ნიჭი, დადებული საქართველოს საკურთხეველთან



გატონ ირაკლის მე შევხვედრივარ კიევსა და თბილისში, მიკოლა ბაჟანის სტუმართმოყვარე ჭერქვეშ და მის საკუთარ ბინაში ბარნოვის ქუჩაზე. ჩემი თაობის პოეტთაგან მე ერთადერთი მიმიწვია მან თავის 70 წლის იუბილეზე, რომელიც ხალხით გაჭედილ ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩატარდა და სადაც სწორედ ბაჟანის მისადმი მიძღვნილი ლექსის თარგმანი წავიკითხე. მევე მერგო პატივი მომემზადებინა მისი ლექსთა კრებული „ქარები რიონის ხეობაში“, რომელიც უკრაინულ ენაზე გამოიცა 1982 წელს. მადლობის ნიშნად პოეტმა ჩემი ლექსების თბილისურ გამოცემას გულთბილი წინასიტყვაობა წაუმძღვარა და მხარდაჭერა გამომიცხადა, რაც იმ დროისთვის თითქმის უჩვეულო მოვლენა იყო.

ირაკლი აბაშიძესთან პირად შეხვედრებზე, ასევე მის ურთიერთობებზე უკრაინელ კოლეგებთან მოთხრობილი მაქვს ადრე, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ უმთავრესს, რისი თქმაც, ჩემი აზრით, უპრიანია სწორედ ამჟამად.

ირაკლი აბაშიძემ დაგვიტოვა რიცხვობრივად არც თუ უხვი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭეშმარიტი ოსტატის ხელით ნაძერწი პოეზია, რომელშიც უდავო დამაჯერებლობით გაკრთა ეპოქის საბედისწერო პერიპეტიები, ქართული ისტორიისა და ყოფის შთამბეჭდავი სურათები, გახმიანდა ერის სულიერი მისწრაფებები. მან, როგორც მისი თაობის ყველა პოეტმა, რთულ და ულმობელ დროში იცხოვრა, როცა არა მარტო მართალ შემოქმედად, უბრალო ადამიანადაც დარჩენაც კი ძნელი იყო. ბევრმა ეს, სამწუხაროდ, მართლა ვერ შეძლო და გატყდა, ბევრმა მანკიერ სისტემასთან შებმა გაბედა და მისი გიგანტური მანქანის მუხლუხოებქვეშ გაისრისა, ირაკლი აბაშიძე კი იმ ბედნიერ გამონაკლისთა შორის აღმოჩნდა, ვისაც წილად ხვდა მზეგადასული მეგობრების ნაცვლადაც ეზიდა საქვეყნო ტვირთი. მას მთელი ცხოვრება მოუშუშებელ იარად აჩნდა ტიციანისა და პაოლოს, ნიკოლო მიწიშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის გულისშემძვრელი ტრაგედიები და თუმცა დარდიმანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი და თითქოს ასეთიც იყო (პოეტის ვაჟი ბატონი ზურაბი მომიყვა: კარლო კალაძისთვის უთქვამთ, ირაკლი ვერაა კარგად, ფეხები სტკივაო. აბა, რა იქნება, როცა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიაო, მოუჭრია კარლოს), სინამდვილეში გულით დიდ სევდასა და ტკივილს დაატარებდა.

ზოგ-ზოგები დღესაც ამბობენ, ირაკლი მჟავანაძესთან კარგად იყოო, შევარდნაძესთან მეგობრობდაო, და ამას უპატიებელ ცოდვად უთვლიან. კი მაგრამ რისთვის იყენებდა ამ „წარჩინებულ ამხანაგებთან“ მეგობრობას პოეტი, რომელსაც მართლაც ჰქონდა ადამიანებთან, მათ შორის ქვეყნის საჭეთმპყრობელებთან კეთილდამოკიდებულების განსაკუთრებული ნიჭი? როგორც თავად მის მიერ გასრულებული საქმეები ღაღადებენ, უპირველესად ქართული ლიტერატურისა და კულტურის საჭირბოროტო საქმეთა მოსაგვარებლად. განა რესპუბლიკის პირველ პირთა მხარდაუჭერლად, რომლებიც კრემლში დიდი გავლენით სარგებლობდნენ, შესძლებდა ბატონი ირაკლი ისეთი გრანდიოზული, საშვილიშვილო პროექტების განხორციელებას, როგორიც რუსთაველის 800 წლის იუბილე ან ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა იყო?

მაშინ მეორე კურსზე ვსწავლობდი და მშვენივრად მახსოვს ის საყოველთაო ზეიმი და ეროვნული სულის გაცისკროვნება, რომელიც უკვდავი შოთას იუბილემ თან მოიყოლა. რუსეთის იმპერიაში, რომლის ნაწილიც ჩვენ ვიყავით, თითქმის წარმოუდგენელი იყო ვინმეს პუშკინზე მეტი ეპითეტი რგებოდა, და სწორედ ეს წარმოუდგენელი რამ შესძლო ქართველ მწერალთა მაშინდელმა თავკაცმა. საქართველოში, რომლის სახელწოდებაც კი სოციალისტური სამყაროს მიღმა ხეირიანად არავინ იცოდა, ჩვენი უკვდავი შოთას თაყვანსაცემად მსოფლიოს უპირველესმა კალმოსნებმა მოიყარეს თავი. ბევრმა მათგანმა რუსთაველის სახოტბო სიტყვებთან ერთად თან ჩამოიტანა „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანიც. ამ უპრეცედენტო აქციამ, რომელსაც არა მარტო სანახაობითი, არამედ შემეცნებითი და, უფრო მეტიც, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა, საქართველო, როგორც ახლა იტყვიან, მსოფლიო „ტოპში“ მოაქცია, გააცნო იგი ცივილიზებულ სამყაროს.

30-წლიანი პაუზის შემდეგ ეს იყო რუსთაველის მეორე შთამბეჭდავი გარღვევა და მისი მედროშე ირაკლი აბაშიძე გახლდათ. იგი სრულიად ყმაწვილი ჩაერთო დიდ ლიტერატურულ ცხოვრებაში და სიცოცხლის ბოლომდე მისი შუაგული არ მიუტოვებია. ჯერ კიდევ 1934 წელს ჭაბუკი ირაკლი უკვე საკავშირო მწერალთა კავშირის პირველი ყრილობის დელეგატი იყო. როგორც მისივე ცნობილი ლექსიდან ვიცით, ყველაზე მეტად იგი იქ აღაფრთოვანა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მრავალეროვნული პოეზიის კლასიკოსებთან ერთად შოთა რუსთაველის პორტრეტის გამოჩენამ. უკვდავი წინაპრის ბედი თანდათან გახდა მისი შთაგონების უშრეტი წყარო და „რუსთაველის ნაკვალევზე“ თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოიარა, ვიდრე იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ ფრესკას აღმოგვიჩენდა.

ირაკლი აბაშიძეს სხვა რომ არაფერი დაეწერა გარდა ისეთი შედევრებისა, როგორიცაა „მამა“, „პირველი თოვლის სიმღერა“, „ხმა კატამონთან“, იგი მაინც დარჩებოდა საუკუნის ერთ-ერთ დიდ პოეტად. იგი თხემით ტერფამდე ლირიკოსი იყო და სწორედ ამ ჟანრში შესძლო მან საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლინება. ირაკლი აბაშიძის ემოციური, ოდნავ პათეტიკური, მაგრამ მუდამ მართალი და გულლაღი პოეზია გვხიბლავს თავისი მაღალოსტატური უბრალოებით, რიტმული დაძაბულობით, შინაგანი მღელვარებითა და სიწმინდით.

ირაკლი აბაშიძეს საკუთარ თავზეც შეეძლო გაემეორებინა ის სიტყვები, ზეთისხილის ბაღთან რუსთაველს რომ ათქმევინა, **„გულიც და სუნთქვაც, ყველა ნიჭი ჩემი კაცობის მე წმინდად დავდე საქართველოს საკურთხეველთან“.**

შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ ათწლეულების მანძილზე ბატონი ირაკლი – ეს გამორჩეული ერისკაცი, იყო ჩვენი კულტურის ბრენდი, რაშიც მას ხელს უწყობდა მართლაც ქართული თვალტანადობა, ახოვანება, გახსნილი გონება და ცინცხალი იუმორი. მისი ბევრი ფრთიანი გამონათქვამი ხალხში გადავიდა და ფოლკლორის ნაწილად იქცა.

მამულისთვის დამაშვრალი 83 წლის ირაკლი აბაშიძე იმ დროს განერიდა წუთისოფელს, როცა საქართველოზე, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაენის სულის აღზევებამ“ ხელმეორედ გადისრიალა. ქვეყანამ, რომელსაც ერთნაირი დაუნდობლობით და უტიფრობით გლეჯდა და ძარცვავდა გარეშე თუ შინაური მტერი, ვერ მოიცალა ღირსეული შვილისთვის ღირსეული პატივის მისაგებად. თუმცა ამის გაკეთება არც ახლაა გვიან.

ჩემი მოკრძალებული აზრით, ირაკლი აბაშიძის ადგილი იქაა, სადაც საუკუნო ძილით განისვენებენ მისი დიდი თანამოკალმეები გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი. იგი სიცოცხლეში ქართული ლექსის ამ სწორუპოვარი რაინდების გვერდით იდგა და ახლაც მათ გვერდით უნდა იყოს. ეროვნულ მეხსიერებაში ისინი, ვფიქრობ, ისედაც განუყოფელნი არიან.

ბრწყინვალე ლირიკა, რუსთაველის სახელის მსოფლიო სივრცეებში დასამკვიდრებლად გაწეული უდიდესი გარჯა და პირველი ქართული ენციკლოპედიის გამოცემა ის წარუვალი სამებაა, რისთვისაც იგი საქართველოს უკვდავთა პანთეონის ბინადრობას იმსახურებს.

**სასიხარულო იქნება თუ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც ამ ბოლო დროს სწორი გადაწყვეტილებები მიიღო და მთაწმინდაზე ააბრძანა ზვიად გამსახურდია, ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე და ოთარ ჭილაძე, ირაკლი აბაშიძესაც ადგილს იქ, დიდ წინამორბედთა და თანამედროვეთა გვერდით მიუჩენს.**

**რაულ ჩილაჩავა,**
რიგა, 2009 წლის 15 ნოემბერი

ირაკლი აბაშიძე

## ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის
დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა
ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა
და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის
პირთან.
ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა
მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოველის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო,
წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან – ფუნჯო ჩემო,
ხან – საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა
ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა
დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის
პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ,
დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ,
დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატადქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის
დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა
ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა
და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

1961

ნომრის სტუმარი

## წერილი „საქართველოს რესპუბლიკას“



*მიყვარს შენთან საუბარი. მამულის განცდა და მომავლის იმედი გადმოდის შენი ფურცლებიდან. ასე მგონია, ცოცხალი ორგანიზმი ხარ, შენ გესმის ჩემი, ერთი შენი მკითხველისა და მწერლისა. ამიტომაც მეიმედები და მეგულები ასე (მაინც, რა საოცარი სიტყვაა „მეგულები“, როგორ გინდა თარგმნო იგი უცხო ენაზე, ვერც გაიგებენ).*

*ბათუმი შენდებაო... მშვენდებაო... ზღვისპირა პარკი არასოდეს ყოფილა ასეთიო, — ერთ გადაცემაში მოვისმინე. ბარემ ისიც თქვან, ზღვისპირა პარკის ბილიკზე ამდენი მათხოვარი არასოდეს ყოფილაო.*

*მოსეირნეებს მათხოვრებისგან მოწყობილი სირცხვილის დერეფნის გავლა უწევთ მიწყივ.*

*უყვარს საკაშვილს ამ ბილიკზე ჩვეული სიჩაუქით ჩაქროლება, მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად, ცხადია, ოღონდ ერთი საათით ადრე გარეკავენ მათხოვრებს ბილიკიდან და მიმდებარე ტერიტორიებიდან. რა საჭიროა. ბედნიერმა პრეზიდენტმა იხილოს თავისგან გაუბედურებულ-დაბეჩავებული ადამიანები.*

*ვიცი, გულით ხარ ჩემთან, ამიტომაც მიყვარს შენთან საუბარი.*

*ჩემი „ცაში გაფრენილი ბილიკების“ ციკლი, რომელიც პერიოდულად იბეჭდება შენს ფურცლებზე, თქვენის წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის მძაფრი განცდაა.*

*ულრმესი პატივისცემით*

***ვახტანგ ახვლედიანი***

ციკლიდან:

# „ცაში გაფრენილი ბილიკები“

**ვახტანგ ახვლედიანი**

## საწებელი

ჩვენს დაწესებულებაში ახალი თანამშრომელი მოვიდა. კრავივით უწყინარი და იასავით მორცხვი გამოხედვით.

ჩემი შორეული ახალგაზრდობის ამბავს გიყვებით ახლა.

ანდრო მქვიაო, გამოგვიცხადა. ჩვენც გავეცანით. ცხადია, დიდი არ იყო ჩვენი დაწესებულება – სულ რაღაც ოცდაათიოდე კაცი, მაგრამ ანდრომ ერთბაშად დაგვიმახსოვრა ყველა, სახელ-გვარებით.

– კაცო, მაგი სპეციალურად შემოგზავნილი ხომ არაა, – ჩურჩულით იკითხა კადრების ინსპექტორმა.

– მაგი უპირველესად შენ უნდა გცოდნოდა.

– კი, გაარკვევ, სწორედ...

– არ ჰგავს ეგ ბიჭი მასეთს. არიან ადამიანები, სახელების დამახსოვრების ნიჭი რომ მოსდგამთ.

სამუშაოს დასასრულ ანდრომ კარადიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი გამოაძვრინა და რიდით თქვა:

– საწებელია აგი... ბებიამ ჩამომიტანა სოფლიდან გუშღამ...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში.

– თქვენი არ ვიცი და მე მაგალითად ლეღვის საწებელი ყველაფერს მირჩევნია, ძმაო. – კარებიდან თავი შემოყო განყოფილების უფროსმა და ნერწყვმომდგარი ტუჩები ააწკლაპუნა, – ერთი გამასინჯე მაგი, ბიძიკო.

ანდრომ თავი წაუხსნა ბოთლს და აქეთ-იქიდან გაწვდილ ხელისგულებზე სათნოებით გვაპკურა. საწებლის სურნელებით გაივსო ოთახი.

– ეჰ, ეჰ... რა არი, ბიჭო!

– ახლა მაგ საწებელში მწვადის ნაჭერი ამომაწებინა!..

– ზედ თითო ჭიქა ღვინოც!

სამსახურის დამთავრებას ვეღარ დავუცადე, ისე გავედი ქუჩაში.

ყველს მჭადი მოჰყვა, მჭადს – მწვადი, მწვადს – ღვინო, კონიაკი და ცოტა ხნის შემდეგ კარგად შეზარხოშებულები ერთი-მეორეს ვეხვეოდით, ყველა კი – ანდროს და საუკუნო მეგობრობას ვეფიცებოდით.

მეორე დღეს, დილიდანვე ყველას ანდროს საწებელი გვადგა ენაზე. შურით შემოგვყურებდნენ ისინი, ვისაც სხვადასხვა მიზეზით არ ხვდა წილად ჩვენთან ერთად ყოფნის ბედნიერება.

სამუშაოს ბოლოს ანდროს მაგიდაზე კვლავ გაჩნდა საწებლით სავსე ბოთლი, მაგრამ საწებელი მხოლოდ საწებელია და მიუტანებლად ვერ ჭამ. ქართული სუფრა უმწვადოდ და უმწვანილოდ? მწვადი კი, მოგეხსენებათ, მშრალი საჭმელია და ყელზე დადგომა იცის. ღვინო კი ამ დროს სულზე მისწრებაა სწორედ.

შინ ბარბაცითა და ღიღინ-ღიღინით მივედი. ჩემმა ახალმოყვანილმა ცოლმა ერთი ამოიოხრა და საბან-გობანი მეორე ოთახში გადაიტანა.

მეორე დღეს საწერი მაგიდიდან თავი არავის აგვიღია. სამსახურის ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ანდროს მაგიდისკენ გავაპარე მზერა.

მაგიდაზე საწებლით სავსე ბოთლი აღმართულიყო.

საწებელს კი, მოგეხსენებათ, ბევრი არაფერი უნდა...

## აზიზ ახვლედიანი და გორკის „ქარიშხალა“

ადამიანებს გონება ისე გვაქვს მოწყობილი, რომ ყველაფერი თანმიმდევრობით არ გვახსენდება. ეს, მე თუ მკითხავთ, კარგიცაა. აბა, ცხოვრებაში რაც გადაგვხდენია, და საათების მიხედვით რომ გვქონდეს ჩაჭუჭკნული, სიტყვა „დავიწყებაც“ აღარ იქნებოდა და ვერც მასწავლებლის წინაშე ვიმართლებდით თავს – „ვიცოდი, მარა დამავიწყდა, მასწ“. არადა, რა კარგია, უცებ რომ გაიხსენებ.

ამ ცოტა ხნის წინათ რუსულმა დიასპორამ მოაწყო ლიტერატურული საღამო – წყნარი, თბილი, უშუალო, გემოვნებით თეატრალიზებული და უპრეტენზიო.

ჩემს საუბარში გორკის შევეხე. აბა, როგორ შეიძლება ქართულ და რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე ილაპარაკო გორკის გარეშე, მერე „ქარიშხალადან“ რამდენიმე სტრიქონი ვთქვი ზეპირად. ბოლომდე წაიკითხეო, მთხოვეს.

არ ვიცი, ჩვენ ვიყავით სხვანაირები თუ დრო იყო ასეთი, პატარაობიდან ვკითხულობდით და ვკითხულობდით ბიბლიოთეკებში. წიგნები გაცრეცილ-გადაქექილი იყო. ფრთხილად უნდა გადაგეფურცლა, რომ არ შემოგხეოდა. ქართულ და რუსულ სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი მოთხრობები და ლექსები ზეპირად ვიცოდით.

გორკის „ქარიშხალა“ არ მომეწონა გულწრფელად. ზეპირად უნდა შეგვესწავლა და იმიტომ, „კაცო, ლექსის დაწერა გინდა? – დაწერე. არ შეგიძლია? – ვინ გაძალებს – ვფიქრობდი, – დაგვიწერა ლექსი პროზად და იზეპირე შენ!“

მოახლოვდა „ქარიშხალას“ შესწავლის დღეც და უცებ რუსულის მასწავლებელი შეგვიცვალეს. ახალი მასწავლებელი შემოვიდა კლასში – დღეს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ეროვნული ტრადიციების ხმალამოწვდით დამცველი – აზიზ ახვლედიანი.

ზეპირად ისე წაგვიკითხა „ქარიშხალა“, ყველას ბუსუსებმა დაგვაყარა ტანზე.

„ეს რა კარგი ლექსი დაუწერია გორკის!“– გავიფიქრე უნებურად.

დღესაც „ქარიშხალა“ ზეპირად რომ მახსოვს, აზიზ ახვლედიანის დამსახურებაა.

## კაცი, რომელიც სულ ზედაპირზე ტივტივებს...

მეგობრების წრეში ვსაუბრობდი. უცებ ერთი ნაცნობი მომვარდა, მობილური ამოიღო და ეკრანს მაჩვენებს.– ნახე, ვახტანგ, ვისთან მაქვს სურათი გადაღებული, – საakაშვილთან ხელგადახვეული ზის, – მაგარია, არა?

– ძალიან, – ვუპასუხებ, – ადრე ასლანთან იყავი მასე ჩახუტებული.

– ოპოზიციის ჯინაზე არ გადააგდო-მეთქი, მიშას ვუთხარი.

– ასლანსაც მასე ეუბნებოდი.

## დაწყვეტილები

გაზეთ „აჭარის“ რედაქციის წინ კაფეში ფინჯან ყავაზე ვიკრიბებით ხშირად ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

– რას აკეთებთ აქ ყოველდღე? – მეკითხება ნაცნობი.

– საქვეყნო პრობლემებს ვწყვეტთ, – ვხუმრობ.

– მერე?

– მერე – დაწყვეტილები ვბრუნდებით შინ

## ის გოგონა აღარ გამოჩენილა...

– მინდა, თქვენს შესახებ გვერდი მივცე გაზეთში. თქვენ კარგი მოსაუბრე და მრავალი მიმართულების შემოქმედი ბრძანდებით... – მეუბნება გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტი გოგონა.

– გმადლობთ, ჩემო კარგო, – ვაწყვეტინებ, – თქვენს რედაქტორს ჰკითხეთ?

– არა... რა საჭიროა... თქვენ ისეთი... – კვლავ იწყებს.

– ჰკითხეთ. ნებართვას რომ მიიღებთ, მერე ვისაუბროთ, კარგი?

– კარგი. მალე შეხვედრამდე, – მიპასუხებს და მიდის.

ის გოგონა მერე აღარ გამოჩენილა.

## ზღვისპირა კაფე – მუსიკა და ნაყინი

ასლან კაკაბაძე გამორჩეულია ბათუმში – ურთიერთობით, თავდაჭერით, ღირსებით და, რაც დღეს იშვიათია, პატიოსნებით. გარეგნობაზე აღარაფერს ვამბობ. თვითონ განსაჯეთ, სამოცდაათს გადააბიჯა, მაგრამ კვლავაც თვალებს ატანენ მანდილოსნები. ჩემი მეგობარია ასლანი, ურეხში ცხოვრობს. ბათუმის მიმდებარე სოფელია ურეხი. ქალაქისგან მთისძირას (ახლა მამია ვარშანიძის) ქუჩა ჰყოფს. ქუჩის მეორე მხარეს, უკვე სოფელში, აღმართულია ასლან კაკაბაძის თეთრი სასახლე. ასე რომ ტერიტორიული პრინციპით, იგი სოფელია და სულ რაღაც ათიოდე მეტრითაა დაშორებული ქალაქელობას.

მაგრამ მაინც ბათუმელია ასლან კაკაბაძე. ბათუმელობა ცხოვრების წესია. მისი ახსნა ძნელია, ვერც პუნქტებად ჩამოაყალიბებ და ვერც ვრცელი ტრაქტატით გადმოსცემ. ეს შენი და ბათუმის სამყაროა. იგი უნდა იგრძნო, შეიმეცნო და გაითავისო – შენებურად და მაინც ბათუმურად.

ასლანი მდიდარია, უფრო სწორედ – იყო. ახლა კრიზისი აქვს და ძალიან განიცდის. მე კიდევ ბედი მაქვს ასეთი – თანამდებობის პირები და ბიზნესმენები იერარქიული და ფინანსური კრიზისის შემდეგ ხდებიან ჩემი მეგობრები. ვგრძნობ, არა ვარ ახლა სამართლიანი ჩემი კეთილი მეგობრის მიმართ. მჯერა, ასლან კაკაბაძე მალე დაძლევს კრიზისს, ჩვენს მეგობრობას კი ვერაფერი მოერევა (ერთხელ მაინც ხომ უნდა მოხდეს გამონაკლისი!).

ყოველ საღამოს ზღვისპირა პარკის პალმებით აშრიალებულ ბილიკს გავუყვებით ხოლმე ორი ჭაღაროსანი. ვიხსენებთ ამ მთისას, იმ ბარისას. მერე თითო ბოთლ ლუდს მივუსხდებით რომელიმე კაფეში და არაქისსაც ავაწკაპუნებთ.

ზაფხულში ხმაურიანია ზღვისპირა პარკი. კაფებარებში და რესტორნებში ისე გრიალებს მუსიკა, გეგონებათ, დინამიკების ამოცნობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ჩემი მუსიკალური გემოვნების შესახებ იცის ბათუმმა. ვცდილობ, სწრაფად გავეცალო კაკაფონიას.

– იქ ცოცხალი მუსიკაა ნაღდად, – ვეუბნები ასლანს და პლაჟზე გამართულ ღია კაფეზე ვანიშნებ. კაფეს თეთრი ბრეზენტი ახურავს და ასაფრენად გამზადებულ თოლიების გუნდს ჰგავს.

– როგორ მიხვდი? – მეკითხება.

მე მხრებს ვიჩეჩავ.

– მაგის ახსნა არ შემიძლია.

სოლისტი გოგონა გემოვნებით ასრულებს ამერიკულ სიმღერებს (ახლა მხოლოდ ამერიკულს მღერიან). ჩვენს დანახვაზე რატომღაც თვალები უბრწყინდებათ მუსიკოსებს. ოდნავი თავდახრით გვესალმებიან. გოგონა ლამაზია. გამომწვევად არ აცვია, უფრო სწორად, შიშველი არ არის და ძალიან უხდება.

– ნაყინი შევუკვეთოთ, – მეუბნება ასლანი.

– მე შევუკვეთავ, – ვუპასუხებ, – ხომ შეიძლება ერთხელ მაინც გადავიხადო.

– როგორც გენებოს.

კარგად უკრავენ, ჩანს, პროფესიონალები არიან. მალე შესვენებას აცხადებენ. ბენდის ხელმძღვანელი გვიახლოვდება. ახალგაზრდა კაცია, თვალებღიმილიანი. ვთხოვთ, ჩვენთან დაჯდეს.

– მუხრანი, – გვეცნობა.

– ქართული მუსიკა რეპერტუარში არ გაქვთ? – ვეკითხები.

– არა.

– რატომ?

– ჩვენ შარდენზე ვუკრავთ, ერთ-ერთი დიდი სასტუმროს რესტორანში, სადაც მხოლოდ უცხოელები შემოდიან. თანაც, ანგლო-ამერიკული მუსიკა ჩვენი სტილია. ახლა შვებულებაში ვართ და ცოტ-ცოტას ფულსაც ვაკეთებთ. ეს ჩვენი რეპეტიციაცაა.

– შარდენის ქუჩა – საქართველოა, ის თქვენი სასტუმროც უცხოელებისთვის – საქართველოა, თქვენიც, ჩემო მუხრან, ქართველი მუსიკოსები ბრძანდებით. დაუკარით ანგლო-ამერიკული მუსიკა, ვინ გიშლით, მაგრამ... ქართულის გვერდით, – ამბობს ასლანი. მერე მე მიბრუნდება, – კარგი ხმა აქვს ამ გოგონას, შენ რას იტყვი, ვახტანგ?

– ჰო, რბილი და მრგვალი ბგერა აქვს, თუ სერიოზულად მოეკიდება ვოკალს, შეიძლება შორს წავიდეს. „რა მენტორობა ამიტყდა!“ – თავისთავს ვუწყრები.

– კონსერვატორიის სტუდენტია, – ამბობს მუხრანი.

– მაგრამ ვოკალის ფაკულტეტზე არ სწავლობს, ხომ მართალია?

– ვიოლინოზე უკრავს.

ასლანი გაკვირვებულია:

– ამდენი საიდან იცი, ვახტანგ?

ბენდი თავის ადგილს იჭერს. გოგონა ტუმბზე ჯდება და პოპულარულ სიმღერას ასრულებს „მზიური ველის სერენადიდან“.

– კააი, გოგოა, – ამბობს ასლანი, – მუხრანისაა ნაღდად. – ხმაში ნაღველს ვგრძნობ.

– იყოს, შენ რა...

– არაფერი, ისე ვთქვი...

სამიოდე წლის წინ ცოლი გარდაეცვალა ასლანს. უყვარდა ძალიან. ქალიშვილები თავს ევლებიან, ცივ ნიავს არ აკარებენ. ცდილობენ, გაუნელონ დარდი.

– ცოლი მაინც სხვაა, დაიხსომე ეს, – მეტყვის ხშირად.

ახლაც უყვარს, მაგრამ, ვამჩნევ, ქალებისკენ კი არა, უფრო გოგონებისკენ გაურბის თვალი.

ოფიციანტს ვუხმობ. ჯიბეში ექვსი ლარი მქონია მხოლოდ. გუშინწინ მეზობელ კაფეში ორას-ორასი გრამი შევუკვეთა ასლანმა და ოთხი ლარი და სამოცი თეთრი გადაიხადა. ახლა ას-ასი გრამი მოგვიტანეს „არაუშავს... პრობლემა არ მექნება...“ – თავს ვამშვიდებ.

– რვა ლარი და ოთხმოცი თეთრი! – განაჩენივით ამბობს ოფიციანტი გოგონა.

– ჩვენ მხოლოდ ორი ნაყინი შევჭამეთ... ას-ასი გრამი... – ბორძიკით ვუპასუხებ.

– ვიცი. ასე ღირს ჩვენთან, ბატონო, და რა ვქნა.

ისევ ასლანის ჩარევა დამჭირდა...

## თავს დააზრალონ...

აკაკი ზოიძე ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობდა. დახვეწილი პიროვნება, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული პედაგოგი და მეცნიერია. ერთ დღეს შეწუხებული სახით მხვდება.

– ბატონო ვახტანგ, ინსტიტუტს გვიუქმებენ, რა გვეშველება?!

– გეშველებათ, – ვუპასუხებ მცირე პაუზის შემდეგ, – ეგ კი არა, კარგადაც დაგაფინანსებენ.

ეჭვით მიყურებს.

– სერიოზულად გვეუბნებით მაგას?

– სრულიად სერიოზულად, ჩემო აკაკი, ვისი სახელობისაა თქვენი ინსტიტუტი?

–იაკობ გოგებაშვილის.

– არ ვარგა. სასწრაფოდ დაარქვით ჯორჯ სოროსის („სახელობის“ არ გინდათ, უცხოეთში არ არის მიღებული, თანაც ჭეშმარიტებასთან ახლოს იქნება) ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

– მერე – ხალხი რას იტყვის?

– გამოსოროსირებულანო. სამაგიეროდ, ხელისუფლებისგან პატივიც გექნებათ და კარგი ხელფასებიც. ინსტიტუტსაც გადაარჩენთ.

არ დამიჯერეს. საკუთარ თავს დააზრალონ.

## მე იატაკზე ვკოტრიალობ...

სადაც წავალ, აუცილებლად რაღაც უნდა შემემთხვეს.

მახსოვს, მახინჯაურის საშუალო სკოლაში დიდი ლიტერატურული საღამო ჩატარდა. დარბაზი გაჭედილი იყო. მწერლები სცენაზე მიგვიწვია სერგი ჯაყელმა – სკოლის დირექტორმა და ფრიად განსწავლულმა პიროვნებამ. ქართული დარბაისლობის ნიმუშია ბატონი სერგო. 70-იანი წლების ამბავს გიყვებით ახლა.

ვსხდებით. მე კუთხის სკამს ვირჩევ.

– თქვენ მანდა არა, – ამბობს უცებ იგი, – თქვენ აქეთ. და მოულოდნელად სკამს იღებს. მე იატაკზე ვკოტრიალობ.

* * *

ლამაზია აჭარა, მაგრამ მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე ღირსეული ადამიანებია. მე ვამაყობ მათით. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის.

ამ ოცდაათიოდე წლის წინათ ქალაქს ისეთი კაცი დააკლდა, რომლის გამოჩენა სხვა ხიბლსა და ღირსებას ანიჭებდა.

ეს – ბატონი იბრაიმ აბაშიძე იყო.

მისმა მოულოდნელმა გარდასვლამ ისე დააცარიელა ჩვენი ქალაქი, რომ, მახსოვს, იმ დღეებში დავწერე მინიატიურა:

## დადიოდა ჩვენს ქალაქში კაცი

დადიოდა ჩვენს ქალაქში კაცი, რომელმაც გამორჩეული შეხვედრა და სალამი იცოდა. ქუდს მოიხდიდა, თავს დახრიდა ღირსებით, ულამაზეს ღიმილს ჩაიტანდა თვალებში და გეტყოდათ:

– ო, მამულიშვილს ვახლავარ!

– სიკეთე და ბედნიერება ნუ მოგაკლოთ უფალმა, მამულიშვილო!

– იცოცხლეთ, იმრავლეთ და იბედნიერეთ, მამულიშვილო!

მივუყვები ქუჩას ზოგჯერ ჩემთვის ჩაფიქრებული და უცებ სულის სიმწრით შემომენთება სურვილი, კვლავ მომმართოს ვინმემ:

– როგორ ბრძანდებით, მამულიშვილო?

## სხვა გაზეთიდან

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით ნოდარ დუმბაძის ცხედარი 14 სექტემბერს, მისი გარდაცვალების 25-ე წლისთავზე დასვენების პარკ მზიურიდან მთაწმინდის გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.**

დუმბაძის რომანები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ბაირაღები“, „ნუ გეშინია, დედა“, „მარადისობის კანონი“ თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ისეთ იშვიათ ენებზეც, როგორებიცაა ბენგალური, ნორვეგიული, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ყველა ენაზე.

ოცი წელი ვიცხოვრე დასავლეთ საქართველოში, ვხედავდი, როგორი პოპულარული იყო დუმბაძე თავის სამშობლოში. მაგრამ რუსეთშიც მას ნაკლებად როდი იცნობენ და პატივს სცემენ.

ერთხელ ორი კვირა გავატარე დასასვენებელ სახლში სოხუმთან.

შემთხვევით გავიგე, რომ ჩვენსავე სანაპიროზე, მეთერთმეტეში, არის უკვე გარდაცვლილი ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძის აგარაკი.

საღამო ახლოვდებოდა.

წვიმის შემდეგ ღრუბლები გაფერმკრთალდნენ, გამოიჭყიტა მზემაც.

აგარაკი სახლიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში იყო ზღვისპირას.

ფიჭვებში რაღაც უნდილად გამოიყურებოდა წყნარი, უბრალო ორსართულიანი სახლი. ბაღში ბალახი წელამდე გწვდებოდა. ბილიკი წაიშალა. კუტიკარზე, რომლის მახლობლად მოეწყვინათ მაგნოლიის ყვავილებს, წვრილ ჯაჭვზე ეკიდა ერთი ციცქნა კლიტე ჟანგის ნალექებით... ყველაფერს გაუკაცრიელობის კვალი ეტყობოდა.

არსად არაფერი, ჩვეულებრივი აზრაც კი არსად იყო.

ნოდარის მამულს ობლად ერტყა გარს ძველი ღობე.

აქ კუტიკარებთან ვერსად დაინახავ სკამს. სამაგიეროდ ნოდართან – რამდენიც გინდა.

ჩამოვჯექი ერთ-ერთ სკამზე და სევდიანად გავიხედე აზოზოქრებული ზღვისკენ. წყლის გორაკები ერთი მეორეს მიერეკებოდნენ.

ზღვასაც აქვს თავისი შემოქმედებითი წამებანი...

მახლობლად ორი დელფინი მიცურავდა. სამხრეთისკენ მიდიოდნენ, ნოდარის საყვარელი მხარისკენ.

თავზე უცნობი წითური ბიჭი დამადგა და დაიტრაბახა: – მწვანე კენჭებს ვაგროვებ! – გამომიშვირა დაჟანგული კონსერვის ქილა. – მერე დედას ვაჩვენებ.

– შენი მწვანე კენჭები ოდესღაც ბოლის ნამსხვრევები იყო. ზღვამ ქვებიც კი გააპრიალა.

– ეს წყალმა შეარცხვინა ისინი!

– რა, როგორ თქვი?

ის მოთმინებით, მშვიდად მიხსნის:

– ღელვის დროს ბოთლები ცინგლიან მედუზებს ეჯახებიან. იმსხვრევიან. წყალმა კი ნამსხვრევები შეარცხვინა.

– გააპრიალა?

# უცნობი დუმბაძე



– არა. შეარცხვინა! – გაბრაზებით წამოიძახა ბიჭუნამ.

ჯოხზე დაყრდნობით გაჭირვებით მოგვადგა სქელი დედაბერი დასიებული ფეხებით.

ის ნოდარის სკამზე ჩამოჯდა და ბიჭს შეეკითხა:

– ანათლევ ბიძიას?

ბიჭი შეიშმუშნა და წყნარად გაუყვა ზღვის ნაპირს, თან აზრეშუმივით ქვიშაში მწვანე კენჭებს ეძებდა.

– შვილიშვილია, – თვალით ბიჭზე მანიშნა. – კოლიას ნაშიერია... თავად კოლია უკვე გაგვშორდა. კიბომ წაგვართვა...

მარია პავლეს ასული ბატიუკი – მეზობელია.

მათი ოცდაათწლიანი მეზობლობის განმავლობაში ერთი უსიამოვნო სიტყვაც არ ყოფილა. დუმბაძეები და ბატიუკები – კეთილი მეზობლები იყვნენ. ეზოები ერთმანეთს ეკვროდნენ, სკამებიც ეზოში!

ნოდარს უყვარდა რუსული ლაპარაკი, რუსული შაირები და რუსული საჭმელები. და ყოველთვის, როცა მარია პავლეს ასული რაღაც კერძს ამზადებდა ეზოში, ნოდარი შეუცდომლად იტყოდა, თუ რა იქნებოდა იქ სუფრაზე. განსაკუთრებით ბორშჩი უყვარდა.

– სუნი მომდის, ბორშჩი გაქვთ. მოვდივარ.

მათ ეზოებს ღობე არ ყოფდა. გამოდიოდა, რომ ეზო საერთო იყო. არ იყო საჭირო კუტიკარში შესვლა. ის პირდაპირ მივიდა ვიწრო ბილიკით ბატიუკებთან. ეცვა მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი, შორტი და ეხურა ჯარისკაცური პანამა, რომელიც მას ნიკოლაი ბატიუკმა აჩუქა.

ნიკოლაი ბატიუკმა.

არაფერს გეუბნებათ ეს სახელი? მაშინ, გადაშალეთ დუმბაძის რომანი „ნუ გეშინია, დედა!“ ძირითად გმირებს შორის თქვენ შეხვდებით მესაზღვრეს ამ სახელით...

– ხალხთან ნოდარი უბრალო იყო, როგორც გლეხი. – მითხრა ავთანდილ გვაზავამ, ავთომ, მისმა მეზობელმა და ერთ-ერთმა მეგობარმა, სოხუმელმა მძღოლმა. – თავის წიგნებს ის მხოლოდ ღამით წერდა. ერთხელ დილით ადრე დავინახე კიბესთან. ვეკითხები, რატომ არ გძინავს-მეთქი. მან ხელი ჩაიქნია: „ე-ე! ჩემი მუზა ისეთი ცუღლუტუნაა, რომ... მხოლოდ ღამით მეწვევა ხოლმე“.

ყოველ დილით ნოდარი ზღვაში ბანაობდა.

ნავიდან იჭერდა სტავრიდას, კეფალს, ბარაბულკას.

და რაც მის ბაღში იზრდებოდა, მისი დარგული იყო. ფიჭვებიც, ვაშლიც, ლეღვიც, ზღმარტლიც...

ერთხელ ნოდარმა უპატრონო ძაღლი მიიყვანა. სილვია დაარქვა. მეტად თვინიერი და მოალერსე ძაღლი იყო, უყვარდა თამაში. სულ უკანა ფეხებზე დადიოდა. მადლიერებით ულოკავდა ხელებს, სახეს, ვინც მას აჭმევდა.

და ეს ხელს არ უშლიდა სილვიას, ყოფილიყო ქათამმოძულეც. მეზობლებს სულ გაუწყვიტა ქათმები.

და მაშინ ნოდარმა ძვირფას მეზობლებს უთხრა:

– თქვენი ქათმები გმირულად დაეცნენ. თქვენვე გადაწყვიტეთ სილვიას ბედი. როგორც იტყვით, ისე იქნება. მე წინააღმდეგი არ წავალ.

და მეზობლებმა ძაღლი წაიყვანეს შორეულ მთის სოფელში. დატოვეს მდიდრულ რესტორანთან. აქ ის არ დაიკარგებოდა!

მალე ნოდართან სტუმრები მოვიდნენ. წაიყვანა ნოდარმა ისინი ამ სახელგანთქმულ რესტორან „მერხეულში“.

სხედან მაგიდასთან ტერასაზე. სვამენ, ხუმრობენ და წამოიწყეს საუბარი ადამიანის ზნეუნარიანობაზე.

– აქ თქვენ ლაპარაკობთ მაღალფარდოვანი ფრაზებით, – თქვა ნოდარმა. – მაგრამ ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია. ჩემი კი ესმის ყველა ცხოველს! აი, ხედავთ, ოფიციანტი სამზარეულოს იქით ძაღლს როგორ ეთამაშება? მე იმ ძაღლს დავუძახებ და ის უმალვე გაჩნდება ჩემთან, როგორც მშობლიურ ადამიანთან.

ყველა დაინტერესდა.

– სილვია! სილვია! – დაუძახა ნოდარმა.

გაიგონა სილვიამ, მოფრინდა და დაუწყო ნოდარს ხელებზე, სახეზე ლოკვა. რამდენი ხანია, ერთმანეთი არ უნახავთ!

ყველა გაოცებული იყო.

– შენ ალბათ ძალიან კარგად იცნობდი ამ ძაღლს ადრე? – ეკითხებოდნენ სტუმრები.

– საიდან! აი, კითხეთ, თუ გინდათ, ოფიციანტს, რა ჰქვია ამ ძაღლს.

მან უპასუხა:

– ნაიდა.

– მე მისი სახელიც არ ვიცოდი! – თქვა ნოდარმა. – სილვია დავუძახე. დავუძახე, რაც ენაზე მომადგა.

ყველა შოკირებული იყო.

ჩადის ნოდარი აგარაკზე და ეუბნება მის გარშეამო თავმოყრილ მეზობლებს:

– დიდი მოკითხვა შემოგითვალათ პატივცემულმა ქალბატონმა სილვიამ. ის ცოცხალია და ჯანსაღადაა, რასაც გისურვებთ თქვენც!

**ანატოლი სანჟაროვსკი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## საუკუნის სიყალბე

***ნოემბერში რუსეთმა აღნიშნა რევოლუციის მორიგი წლისთავი. ბევრი რამ დროის იმ მშფოთვარე მონაკვეთიდან უკვე გადაფასდა. რიგი იმპერატორის ტახტზე ნიკოლოზ II უარის თქმაზე მიდგა.***

***საბჭოთა პერიოდის (ინერციით კი ახლანდელ) სახელმძღვანელოებში ეს წარმოდგენილი იყო, როგორც უტყუარი ფაქტი. თუმცა სერიოზული დადასტურების გარეშე. „სამაგიეროდ არის იმის დადასტურება, რომ მანიფესტი ტახტზე უარის თქმის შესახებ – საუკუნის სიყალბეა“, – ამბობს ისტორიკოსი პეტრ მულტატული.***

# ნიკოლოზ მეორეს ტახტზე უარი არ უთქვამს



### მატარებლის დატყვევება

– 1917 წლის 4 მარტს პრაქტიკულად ყველა გაზეთში გამოქვეყნდა მანიფესტი იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ ტახტზე უარის თქმის შესახებ თავისი ძმის, დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს ძის სასარგებლოდ. მაგრამ მანიფესტის ორიგინალი არავის უნახავს... 1928 წლამდე, როდესაც იგი აღმოაჩინეს ლენინგრადში მეცნიერებათა აკადემიის არქივში, ეს იყო საბეჭდ მანქანაზე აწყობილი ტექსტი, სადაც ნიკოლოზ მეორის ხელმოწერა ფანქრითაა გაკეთებული (!). არაა იმპერატორის ტიტული და იმპერატორის პირადი ბეჭედი. სწორედ ეს დოკუმენტი ითვლება დღემდე მანიფესტის ორიგინალად და ინახება იგი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში! გასაგებია, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტს ხელს არასოდეს აწერდა მეფე ფანქრით. 2006 წელს მკვლევარმა ანდრეი რაზუმოვმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ „ფანქრით ხელმოწერა“ აღებულია ნიკოლოზ II-ის 1915 წლის ბრძანებიდან არმიისა და ფლოტის მიმართ. „გადმოტანილია“ სპეციალური ტექნოლოგიით. მანიფესტზე არის აგრეთვე იმპერატორის სახლის მინისტრის გრაფ ფრედერიკსის ხელმოწერა. ეს ხელმოწერაც ფანქრითაა და მერე კალმითაა შემოვლებული. ხოლო როდესაც დროებითი მთავრობის საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ დაკითხა ფრედერიკსი, მან განაცხადა: „იმ დროს მე იმპერატორის გვერდით არ ვყოფილვარ“. ეს დაკითხვა დოკუმენტირებულია.

**– რა იყო სინამდვილეში?**

– 1917 წლის თებერვლისთვის უკვე ერთი წელი იყო, რაც მზადდებოდა შეთქმულება ნიკოლოზ მეორის ჩამოსაგდებად. ამ საქმეს აწარმოებდნენ სახელმწიფო დუმის სათავეში მდგომები (მისი თავმჯდომარე როძიანკო, კადეტების ლიდერი მილიუკოვი, მრეწველი კონოვალოვი, დუმის რევოლუციური ფრთის თავმჯდომარე კერენსკი), სამხედრო-სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელობა (გუჩკოვი) და ბანკის წარმომადგენლები (გენერლები ალექსეევი, რუზსკი, ბრუსილოვი). გადატრიალებისკენ კი მათ უბიძგებდა თავდაჯერებული წარმოდგენა, რომ მათ უკეთ, ვიდრე მეფეს, შეეძლოთ ემართათ რუსეთი. შეთქმულებას მხარს უჭერდნენ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეები. თავისი გაიტანა ძალამ, რომელიც მონარქიის გაუქმებას ელტვოდა. ამისთვის საჭირო იყო ტახტზე უარის თქმა კანდიდატის სასარგებლოდ, რომელსაც, ერთი მხრივ, თითქოს ჰქონდა უფლება ტახტზე, მეორე მხრივ კი – თუ სურვილიც იქნებოდა, შეიძლებოდა ამ უფლების სადავოდ გახდომა. ასეთი იყო იმპერატორის ძმა დიდი თავადი მიხეილ ალექსანდრეს ძე. მას შემდეგ, რაც 1912 წელს მან ცოლად შეირთო ორჯერ განქორწინებული ნატალია ვულფერტი, მის შთამომავლობას ერთმეოდა უფლება ტახტზე. თავად მიხეილს კი – უფლება გამხდარიყო სახელმწიფოს მმართველი ნიკოლოზ II-ის სიკვდილის შემთხვევაში. შეეძლო ნიკოლოზ II ნებაყოფლობით დაეტოვებინა ტახტი ასეთი ადამიანისთვის? რასაკვირველია, არა! მოქმედი კანონმდებლობით იმპერატორს არ შეეძლო საერთოდ ტახტზე უარის თქმა.

**– მაშ, როგორღა იღვწოდნენ შეთქმულები გადადგომას?**

– შტაბის უფროსმა გენერალმა ალექსეევმა გამოიტყუა მეფე პეტროგრადიდან მთავარბანაკში, რათა შემადგენლობა დაეპატიმრებინათ. დამკვიდრებული რწმენის საპირისპიროდ, ნიკოლოზ მეორეს ჩამოერთვა თავისუფლება არა 1917 წლის 8 მარტს მოგილიოვში, არამედ 28 თებერვლის ღამით მცირე ვიშერაში. იმპერატორის მატარებელმა ვერ შეძლო ტოსნოში, შემდეგ კი ცარსკოე სელოში ჩასვლა არა იმიტომ, რომ „რევოლუციურმა ჯარებმა“ გადაკეტეს რკინიგზის ხაზი, როგორც დიდი ხნის განმავლობაში გვატყუებდნენ, არამედ იმიტომ, რომ მცირე ვიშერაში შეთქმულებმა მატარებელი ძალით გაგზავნეს ქ.დონში, შემდეგ კი ფსკოვში. 28 თებერვლიდან ნიკოლოზ II მთლიანად დაბლოკილი იყო. იმავდროულად პეტროგრადში თავად პუტიატინის ბინაში მილიონის ქუჩაზე დაბლოკეს დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე. ფსკოვში მეფის მატარებელი მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანა აქტიურმა შეთქმულმა, ჩრდილოეთის ფლოტის არმიების მთავარსარდალმა, გენერალ-ადიუტანტმა რუზსკიმ. ვერავის შეეძლო იმპერატორთან მისვლა მისი ნებართვის გარეშე. აი, ასეთ პირობებში შედგა ხელმწიფის მიერ ეგრეთ წოდებული „ტახტზე უარის თქმის“ „ხელმოწერა“. შეთქმულთა გამოქვეყნებული მოგონებების აღწერით, ხელმწიფე შევიდა კაბინეტში, შემდეგ კი დაბრუნდა რამდენიმე „ჩეტვერტუშით“ (დეპეშის ბლანკებია), რომლებზეც მოეწერა ხელი მანიფესტის ტექსტზე. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ იმპერატორი, რომელიც ბეჭდავდეს მანქანაზე მემანქანის მსგავსად? ამბობენ, რომ იმპერატორმა თავად შეადგინა მანიფესტი. სინამდვილეში დოკუმენტს რამდენიმე დღით ადრე ხელი მოაწერეს რუზსკიმ და როძიანკომ. ხელმწიფეს ის არც უნახავს. იმპერატორის ხელმოწერა გააყალბეს. ტახტზე უარის თქმის შესახებ მანიფესტის „დაწერის“ შემდეგ 1917 წლის 8 მარტს იმპერატორი ოფიციალურად დააპატიმრეს. შეთქმულებს შეეშინდათ, რომ, თუ ხელმწიფე კონტროლიდან გამოვა, ის უმალვე ალაპარაკდება და უარყოფს თავის გადადგომას. იმპერატორი სიკვდილის ბოლო წუთამდე მკაცრი საოჯახო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

### ჯვარი რუსეთისთვის

**– მაგრამ ხომ არის ნიკოლოზ II დღიურები, რომლებშიც აღიარებს, რომ უარს ამბობს ტახტზე.**

– რაც შეეხება დღიურებს, არის სერიოზული საფრთხე, რომ მათში ბოლშევიკებმა შეიტანეს სიყალბეები. იმპერატორის მეგობარი ქალი ანა ვირუბოვა 20-იან წლებში უცხოეთში გამოცემულ მოგონებებში წერდა, რომ მეფემ, როდესაც ის ალექსანდრეს სასახლეში მიიყვანეს, მას უთხრა: „ფსკოვის იმ მოვლენებმა ისე შემარყიეს, რომ მთელი ამ დღეების განმავლობაში არ შემეძლო დღიურის წარმოება“. იბადება კითხვა: მაშ ვინ წერდა მას? ამას გარდა, ნიკოლოზ II-ის დღიურებით გამოდის, რომ მან არ იცოდა არც პერმიდან მთავარბანაკში თავისი წასვლა, არც მოგილიოვში მისვლა, ვინაიდან დღიურში მითითებული არც წასვლის, არც მისვლის დრო არ ემთხვევა მთავარბანაკის დოკუმენტებში მითითებულ დროს.

**– რატომ არ შეეცადა იმპერატორი გაქცევას?**

– ნიკოლოზ II მართლმადიდებელი იყო. მან, როდესაც უარი თქვა ტახტიდან გადადგომის შესახებ ნებისმიერ ქაღალდზე ხელმოწერის შესახებ, გაიგო, რომ, ამის მიუხედავად, მანიფესტი მისი სახელით მაინც გამოქვეყნდა, აღიქვა ეს ყოველივე, როგორც ღვთის ნება და აღარ დაიწყო ხელისუფლებისთვის ბრძოლა. მან და მისმა ოჯახმა მიიტანეს თავიანთი წამების ჯვარი რუსეთის საკურთხეველზე.

**მარია პოზდნიაკოვა**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### ექსპერტის კომენტარი

***ვლადიმირ ლავროვი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე:***

*–საბჭოთა პერიოდში ნიკოლოზ II-ის მიერ ტახტზე უარის თქმის თემა დახურული იყო. ისტორიკოსები ენდობოდნენ იმ ხალხის დამოწმებას, ვინც გადატრიალებას ახდენდა, ესე იგი იმეორებდნენ მოვლენათა მათს ვერსიას. დღეს ისტორიული მეცნიერება სხვა დონეზე გამოდის – ხდება დოკუმენტების სინამდვილის ანალიზი, მათ შორის ეგრეთ წოდებული ტახტზე უარის თქმის მანიფესტისაც.*

*ანალიზს მივყავართ მართლაც სენსაციურ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ ტახტზე უარის თქმა მართლაც არ ყოფილა.*

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვაი ნათლიმამისაგან

**18 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამართა მოლაპარაკება თავის უკრაინელ კოლეგასთან ვიქტორ იუშჩენკოსთან. პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსკოვისთვის ამ ორი ყველაზე მიუღებელი პოლიტიკოსის შეხვედრის ფორმალური საბაბი გახდა უკრაინის დედაქალაქში საქართველოს საელჩოს ახალი შენობა. სხვათა შორის, ბატონი იუშჩენკოსთვის, ვისთვისაც შანსი, რომ დარჩეს პრეზიდენტად, ელვისებურად ეცემა დაბლა, გუშინდელი საქართველო-უკრაინის შეხვედრა შეიძლება გახდეს უკანასკნელი შესაძლებლობა იქონიოს ურთიერთობა თავის თანამოაზრესთან სახელმწიფოს ხელმძღვანელის სტატუსით. და ორივე პრეზიდენტმა გამოიყენეს ეს, რათა გაეკრიტიკებინათ რუსეთი.**

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ჩაფრინდა ოთხშაბათ საღამოს და მთელი დღე გაატარა თავისი უკრაინელი კოლეგის საზოგადოებაში. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს უკრაინის ბევრმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ, აგრეთვე ვიქტორ იუშჩენკოს სამდივნოს თანამშრომლებმა უწოდეს არა სამუშაო, როგორც ეს იყო გამოცხადებული ორი ქვეყნის ხელმძვანელთა პრესსამსახურების მიერ, არამედ, როგორც „მეგობრული". საქართველოს დღევანდელი ლიდერი ხომ უკრაინელის არა მხოლოდ კოლეგა, არამედ პირადი მეგობარი და ნათლიმამაცაა. ვიქტორ იუშჩენკომ მონათლა მიხეილ სააკაშვილის უმცროსი შვილი ნიკოლოზი.

ბატონების სააკაშვილისა და იუშჩენკოს საუბარი დაიწყო პირისპირ შეხვედრით, შემდეგ მათ გააგრძელეს მოლაპარაკება გაფართოებული შემადგენლობით, რის შემდეგაც მიიტანეს ყვავილები უკრაინაში შიმშილის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალზე, გახსნეს საქართველოს საელჩოს ახალი შენობა კიევში და ბოლოს შეხვდნენ ჟურნალისტებს.

შემაჯამებელ ბრიფინგზე ვიქტონ იუშჩენკომ უწინარეს ყოვლისა განაცხადა, რომ მისი კონტაქტები ბატონ სააკაშვილთან იმართება შესაშური ინტენსიურობით:

– მე და მიხეილი უკვე მეათედ ვხვდებით ორი წლის განმავლობაში. ეს მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, გვქონდეს მეგობრული ურთიერთობანი.

სხვათა შორის, სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცეში ორი მთავარი რევოლუციონერის შეხვედრათა სიხშირემ გამოიწვია ის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დღის წესრიგში პრაქტიკულად არ დარჩა გადაუწყვეტელი საკითხები.



საპასუხოდ, რათა ხაზი გაუსვას უკრაინელ ხალხთან სიახლოვეს, მიხეილ სააკაშვილმა თავისი შესავალი სიტყვა წარმოთქვა უკრაინულ ენაზე, შემდეგ გადავიდა ინგლისურზე. რუსული ენის გამოყენებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად გააიოლებდა პრეზიდენტების ურთიერთობას პრესასთან, ორი ლიდერი დემონსტრაციულად აცხადებდა უარს. თუმცა დახურულ შეხვედრაზე, როგორც ეს ჩვენთან აღიარა ვიქტორ იუშჩენკოს სამდივნოს ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა, ისინი სწორედ რუსულ ენაზე საუბრობდნენ.

უკრაინა-საქართველოს მოლაპარაკების დროს ყველაზე დიდი ყურადღება რუსეთს დაეთმო. როგორც ბატონებმა სააკაშვილმა და იუშჩენკომ აღიარეს, უკრაინისა და საქართველოს მოსკოვთან ურთიერთობის პრობლემები იყო ერთ-ერთი მთავარი თემა.

– როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანი ყურადღება ჩვენ დავუთმეთ უშიშროების საკითხებს შავი ზღვის რეგიონში. ჩვენი პოზიცია უცვლელია – უკრაინა მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და მთლიანობას და არ უჭერს მხარს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, – აღნიშნა ბატონმა იუშჩენკომ.

საპასუხოდ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა კოლეგას პოლიტიკური მხარდაჭერისთვის, რაც კიევმა გაუწია თბილისს შარშანდელი ომის დროს და უწევს ამჟამადაც. შეგახსენებთ, რომ კონფლიქტის დროს რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტი გამოვიდა სევასტოპოლიდან და წავიდა საქართველოს სანაპიროსკენ. მან მადლობა გადაუხადა ვიქტორ იუშჩენკოს, რომელმაც ამას ხელი შეუშალა. ხოლო უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტს რუსეთთან აგვისტოს დაპირისპირების პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა უწოდა „გმირული საქციელი".

– მისი თვითმფრინავი შეიძლება ჩამოეგდოთ რუსეთის იგივე შავი ზღვის ფლოტის გემებიდან! – აღფრთოვანებული იყო იგი თავისი კოლეგის სიმამაცით. – და როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით, ქართველ ხალხს ეხსომება ეს გმირობა.

მოგვიანებით მადლობის ნიშნად მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა ვიქტორ იუშჩენკო საქართველოს უმაღლესი ჯილდოთი – წმინდა გიორგის ორდენით „გმირობის, მეგობრობისა და მხარდაჭერისთვის". ამავე დროს მან განაცხადა, რომ უკრაინა შეიძლება გახდეს „რუსეთის აგრესიის შემდეგი მსხვერპლი". ბატონი სააკაშვილის სიტყვებით, საქართველოს სცენარის გამეორება ყირიმში სერიოზულად ემუქრება უკრაინას.

რუსეთის საკითხი დიდად აინტერესებდათ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ჟურნალისტმა ქალმა თბილისიდან სთხოვა ვიქტორ იუშჩენკოს, გაეკეთებინა კომენტარი იმისთვის, რომ რუსეთმა უახლოეს პერიოდში შეიძლება გაზარდოს თავისი შავი ზღვის ფლოტი ერთბაშად რამდენიმე ავიამზიდით. ამ შეკითხვამ უკრაინის პრეზიდენტს მისცა საბაბი კიდევ ერთხელ გაემეორებინა თავისი მთავარი თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა უნდა დატოვოს უკრაინა 2017 წლის შემდეგ (ამის შესახებ არის საუბარი მის წინასაარჩევნო პროგრამაშიცკ.

ბატონი იუშჩენკოს სიტყვებით, კიევში მიაჩნიათ, რომ რუსეთის სამხედროების ყოფნა ყირიმში არ გაძლიერდება 2017 წლამდე, როდესაც რუსეთის ფედერაციის გემებმა უნდა დატოვონ უკრაინის ტერიტორია. უკრაინის პრეზიდენტმა შეახსენა შეკრებილთ, რომ მოქმედი ხელშეკრულების თანახმად შავი ზღვის ფლოტი უნდა გამოვიდეს სევასტოპოლიდან 2017 წლის 28 მაისამდე, და გამოთქვა იმედი, რომ მოსკოვი შეასრულებს თავის ვალდებულებას. ამავე დროს ვიქტორ იუშჩენკომ ისაუბრა სერიოზული პრობლემების არსებობაზე გაზთან დაკავშირებით მოსკოვსა და კიევს შორის.

ქართველი ლიდერის ვიზიტი კიევში დამთავრდა გუშინ. და არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშჩენკოსთვის ეს იყო უკანასკნელი შესაძლებლობა ჰქონებოდათ ურთიერთობა ერთმანეთთან თანაბარ პოლიტიკურ სტატუსში. მომავალი წლის იანვარში უკრაინაში გაიმართება პრეზიდენტის არჩევნები და ჯერჯერობით ვერავინ საუბრობს იმის შესახებ, რომ ბატონი იუშჩენკო დარჩება კიდევ ერთი ვადით სახელმწიფოს მეთაურად. მისი რეიტინგი არ აჭარბებს 8 პროცენტს, ზოგიერთი მონაცემით კი 5 პროცენტს შეადგენს. შედარებისთვის: მისი მთავარი კონკურენტების – რეგიონების პარტიის ლიდერის ვიქტორ იანუკოვიჩისა და პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს რეიტინგები შესაბამისად შეადგენენ 36,5 და 20,8 პროცენტებს.

**სერგეი სიდორენკო,**
**ევგენი კოსპოდინოვი**

Коммерсантъ

## პერუს კონგრესი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხს განიხილავს

**პერუს ოპოზიციურმა ნაციონალისტურმა პარტიამ პერუს კონგრესში წარადგინა წინადადება აღიარონ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. როგორც აფხაზეთის პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, კონგრესს არ ექნება საბაბი, უარი თქვას ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის აღიარებაში, იტყობინებოდა ოთხშაბათს პარტიის ლიდერი ორიანტა ჰუმალა.**

ჰუმალა პოპულარული პოლიტიკოსი გახდა პერუში თავისი ნაციონალისტური, ანტიიმპერიალისტური და ანტიამერიკული იდეებით. 2006 წელს ის მონაწილეობას ღებულობდა პრეზიდენტის არჩევნებში და მოაგროვა ხმების 44,56 პროცენტი (სახელმწიფოს მოქმედი ხელმძღვანელის ალან გარსიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 55,54 პროცენტმაძ. მან ამომრჩეველთა ფართო მხარდაჭერა მოიპოვა პერუს ყველაზე ღარიბ რაიონებში. პერუს ნაციონალისტური პარტია, რომელსაც ის უდგას სათავეში, – თავისი მნიშვნელობით ქვეყანაში მეორე პოლიტიკური ძალაა.

„პერუ ერთ-ერთი ქვეყანაა მათ შორის, ვინც ოფიციალურად აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ასევე იმსახურებენ ოფიციალურ აღიარებას, როგორც ახალი რესპუბლიკები. ამან გვიბიძგა შევვეტანა აღმასრულებელ ორგანოში წინადადება თხოვნით – ოფიციალურად აღიარონ ეს ახალი რესპუბლიკები", – თქვა ჰუმალამ.

მან დაუმატა, რომ ეს წინადადება წარედგინა კონგრესს გასულ კვირას, ამას გარდა პერუს ნაციონალისტური პარტია ასევე აწარმოებს მოლაპარაკებას სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან და საპარლამენტო ჯგუფებთან, რათა მათ მხარი დაუჭირონ წინადადებას.

РОСБАЛТ

## საქართველოს სომხური ტაძრების განადგურებაში სდებენ ბრალს

**საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიამ ბრალი დასდო ამ ქვეყნის სახელმწიფო და რელიგიურ ხელისუფლებას თბილისში სომხური ტაძრების „განზრახ განადგურებაში".**

როგორც „იტარ-ტასი" იუწყება, ორი დღის წინათ თბილისში ჩამოინგრა წმინდა გიორგის სომხური ტაძარი, რომელიც 1356 წელს აშენდა. ეს საქართველოს დედაქალაქში უკვე მეორე ჩამონგრეული სომხური ეკლესიაა. პირველი წმინდა ღვთისმშობლისა – ჩამოინგრა 1989 წელს.

„პასუხისმგებლობა ყოველივე ამისთვის უნდა იკისროს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, რომლის ბალანსზეც იმყოფება ეკლესია, – ნათქვამია ეპარქიის განცხადებაში. – იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო და ხელისუფლება არ წყვეტენ სომხური ტაძრების სომხეთის ეკლესიისთვის დაბრუნების პრობლემას, არ უთმობენ ყურადღებას ამ ეკლესიების შენარჩუნებას, განზრახ ანადგურებენ სომხური კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს".

„საბჭოთა პერიოდში მრავალწლიანი არსებობის შემდეგ წმინდა გიორგის ტაძარი დაიკეტა და გადააქციეს ეთნოგრაფიულ მუზეუმად, შემდეგ კი – საწყობად", – იტყობინება ეპარქია. 1990 წელს ტაძარი ავარიულ ნაგებობად გამოაცხადეს, რომელიც საჭიროებდა რეკონსტრუქციას, და იგი საბოლოოდ დახურეს.

РОСБАЛТ

## შპს „თბილგვირაბმშენი" აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ფართების იჯარით გაცემაზე

**ლოტი 1.** ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირსა და შავიშვილის ქ. №15-ის გადაკვეთაზე მდებარე შენობის, არასაცხოვრებელი ფართი 115 კვ. მ. იჯარის საწყისი ოდენობა თვეში – 7 ლარი 1 კვ.მ-ზე. ამავე მისამართზე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, იჯარის საწყისი ოდენობა თვეში – 5 ლარი 1 კვ.მ-ზე.

**ლოტი 2.** ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. №13-ში მდებარე შენობის არასაცხოვრებელი ფართი 1000 კვ.მ. იჯარის საწყისი ოდენობა თვეში – 5 ლარი 1 კვ.მ.-ზე. ამავე მისამართზე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, იჯარის საწყისი ოდენობა თვეში – 3 ლარი 1 კვ. მ-ზე.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობაზე;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელის;
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 30 ნოემბერს, დღის 12 საათზე შპს „თბილგვირაბმშენის" ადმინისტრაციულ შენობაში.

განცხადებების მიღება წარმოებს შპს „თბილგვირაბმშენის" ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართზე: ცაბაძის ქ. №8, მე-3 სართული. აუქციონის გამოცხადების დღიდან ყოველ სამუშაო დღეს 10 სთ-დან 16 სთ-მდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 12 სთ-მდე.

**დამატებითი ცნობების მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №8, ტელ.: 95-14-07.**

შპს „თბილგვირაბმშენი"

## დედამიწის ზურგზე



**იაპონიის მთავრობამ დაადასტურა რუსეთის მიერ სამხრეთ კურილიის კუნძულების „უკანონო ოკუპაცია"**

ფორმულირება „უკანონო ოკუპაციის შესახებ" თავდაპირველად გამოიყენა იაპონიის პრემიერმა, შემდეგ კი ტრანსპორტის მინისტრმა. ამან სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია იაპონელ დეპუტატებს შორის, რომლებმაც მთავრობას გაუგზავნეს შეკითხვა. მინისტრებმა დაადასტურეს ფორმულირება.

* * *

**თვითმკვლელმა მოტოციკლისტმა ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთში 13 კაცი მოკლა**

ტერორისტმა თავი აიფეთქა ქალაქ ფარახის მჭიდროდ დასახლებულ რაიონში. 35 კაცი დაიჭრა, 5 მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია. აფეთქება მოხდა პრეზიდენ ჰამიდ კარზაის ინაუგურაციიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ.



* * *

**კოლუმბიამ ბრალი დასდო ვენესუელას ორი საზღვრისპირა ხიდის აფეთქებაში და განზრახული აქვს მიმართოს გაეროს**

კოლუმბიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ უნიფორმაში მყოფმა პირებმა ხიდებს ესროლეს დინამიტები ვენესუელის ტერიტორიიდან. მას განზრახული აქვს გადასცეს გაეროს შეგროვილი დამადასტურებელი მასალები. ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტმა დაადასტურა აფეთქება და განაცხადა, რომ ხიდები აშენებული იყო უკანონოდ და გამოიყენებოდა ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის.



* * *

**ფლორიდის მცხოვრებმა ქალბატონმა „ფილიპ მორისს" რეკორდული თანხა – 300 მილიონი დოლარი მოუგო**

მიზეზი, რამაც აიძულა სინდი ნოგლი ხელში აეღო სიგარეტი ოცი წლის ასაკში, მისი სიტყვებით, „ყველაზე ბანალურია": ამ სიგარეტით იგი უფრო ხანდაზმულად გამოიყურებოდა. სინდი აცხადებს, რომ თუ ეცოდინებოდა რა დამოკიდებულება ექნებოდა ნიკოტინს, „არასოდეს მოწევდა ამ სიგარეტს". იგი იტანჯება ფილტვების ამფიზემიით. ატარებს ჟანგბადის ნიღაბს, გადაადგილდება ინვალიდის ეტლით.



**ჯერ კარგად გათენებული არც იყო, წითელქუდამ სავსე კალათას ხელი რომ წამოავლო და სოფლის შარაგზას დაადგა. გზას ვამბობ, თორემ ისეთ ანგრეულ-დანგრეული, ორმოებად და თხრილებად იყო ქცეული, რომ ეშმაკიც ფეხს მოიტეხდა. ამიტომ ამჯობინა წითელქუდამ ტყეტყე, ბილიკ-ბილიკ სიარული.** გრილოდა, არც კალთა იყო მძიმე და წითელქუდა კი არ მიდიოდა, მიჰქროდა. მოდაზე ეცვა წითელქუდას. მუხლებთან გამოხეული ჯინსის შარვალი, ასევე, იდაყვებგამოხეული კურტკა, წითელი ფერის კედები და, რა თქმა უნდა, წითელი ქუდი. ის-ის იყო, დაბურულ ტყეში შევიდა... დაბერებული, კბილებჩამპალი მგელიც „გაეჩითა“. წითელქუდა შეკრთა, დაკივლება დააპირა, მაგრამ მგელმა უკბილო პირი დააღო და უთხრა: არ იკივლო, წითელქუდა, მე იმ ასაკში ვარ, რომ აღარც ადამიანებისთვის, აღარც სახელმწიფოსთვის საშიში აღარ ვარო...

— შენ რანაირი მგელი ხარ, ასე გამართული ქართულით რომ მელაპარაკებიო, — მიუგო წითელქუდამ.

— რას ამბობ გოგო? ბავშვი კი არა, ჩემს ახალგაზრდობაში ბატკანსაც კი ვეფერებოდი — მეცოდებოდა და ამ სიბერეში, მით უმეტეს, ჩემი კბილების პატრონი, შენ შეგჭამ?! კაციჭამიები, ხარბები და ნაძირალები თქვენსკენ მოიკითხე, რომ გაძარცვეს მთელი ქვეყანა.

— კაი, კაი, ნამეტანი ნუ გაუბერე, თორემ აღარც ბებიაჩემს მივუტან ამ ხაჭაპურებს და მაწონს, ისე ბინძურად დამიხატე ადამის მოდგმა.

— ხა! ხა! ხა! — გადაიხარხარა მგელმა, — ქალაქიდან რომ სოფელში მაწონს და ხაჭაპურს წაიღებს პატარა გოგო... სოფლის შემოგარენში რომ დავწანწალებდით, ხაჭაპურები, ხაშლამა, გოჭი, ინდაური და ქათამი სანაგვეზე ეყარა.

* * *

— წითელქუდა, ბებიაშენი ის ხომ არ არის, სოფლის ბოლოში „ცხენიჭამია ხევის“ ნაპირზე რომ უდგას ნახევრად დანგრეულ სახლი?

— შენ საიდან იცნობ ბებიაჩემს?

— იმას ვინ არ იცნობს? ამას წინათ, ჩვენი ბუნაგის მახლობლად მცხოვრები ცოლ-ქმარი მგლები შესაჭმელად მივიდნენ და... გადაიფიქრეს, ცარიელი ძვალი და ტყავია, შეჭმად არ ღირსო. მართლაც ეგრეა. ხელი თუ არ შეუწყვეთ, მოკვდება ის საცოდავი და სოფელში ორი მოსახლელა დარჩება — შაქრიაანთ კოლა თავისი დედაბრით და კაკალაანთ თებრო, თავისი დაქვრივებული რძლით. ის ხომ სოფელი აღარ არის, კარგამოკეტილი, სახურავჩანგრეული, ფანჯრებჩალეწილი სახლები მღრღნელებისა და კაჭკაჭების საბუდრებად არის ქცეული. მიუხედავად იმისა, რომ სოფელს მთელი არსებობის განმავლობაში არც სასმელი და არც სარწყავი წყალი ჰქონდა საკმარისი, მაინც ჰყვაოდა იქაურობა. სხვათა შორის, მაშინ ჩვენი წილი საკვებიც იშოვებოდა ირგვლივ...

# „წითელქუდა“

**სოციალურ-ზნეობრივი ზღაპარი დიდებისთვის. 16 წლამდე ბავშვებისთვის წაკითხვა აკრძალულია**



— ეს ხომ ზღაპარია, ჩემო პატარავ, ზღაპარი! ზღაპარში კი მგლებიც ლაპარაკობენ და ცხვრებიც, — თქვა მგელმა და ნერწყვი გადაყლაპა, — ცხვარზე გამახსენდა, რა კარგი იყო კომუნისტების დრო, კვირა არ გავიდოდა, რომ 1-2 ცხვარი არ შეგვეჭამა მე და ჩემი ოჯახის წევრებს... თურმე, ჩვენ რომ 1 ცხვარს შევჭამდით, ფერმის გამგე ათს ჩამოწერდა... ასე შეაგროვა ერთი ფარა ცხვარი და სიდედრის ბიძაშვილზე გააფორმა.

ეჰ, გახსენებაც არ მინდა, იმდენ სისაძაგლეს სჩადიოდნენ ადამიანები; საკუთარ დანაშაულს ვილას არ აბრალებდნენ. ქორს რომ 1 წიწილა მოეტაცა, ნახევარი ფერმის ქათმებს ჩამოსწერდნენ. ეგეთმა სინდისგარეცხილმა ადამიანებმა დააქციეს ქვეყანა, თორემ იმ ნაძრახი კომუნისტების დროს, ადამიანებსაც ჰქონდათ საჭმელ-სასმელი და ცხოველებსაც.

— კი, მაგრამ, ამდენი ისტორია საიდან იცი, შენ მგელი ხარ თუ კაცი? — ჰკითხა წითელქუდამ.

— ჯერ შენ მითხარი, რამდენი წლისა ხარ, სად მიდიხარ, რა მიგაქვს და მერე გიპასუხებ.

— თექვსმეტისა ვსრულდები...

— მერე, არა გრცხვენია, სიგარეტს სიგარეზე რომ აბოლებ და ეგ ჭიპიც „დაგიჭყეტია?“

— რა ვქნა? — მოდაშია.

— მოდას რომ ბოზები იგონებენ, ეგ არ იცი მოწიფულმა გოგომ?—

— როგორ?!

— როგორ და „ჩვეულებრივად“... სექსუალურად თავაწყვეტილი ძუკნები ყველაფერს კადრულობენ იმისთვის, რომ ხვადებს თავი მოაწონონ. სხვათა შორის, მეც ბოზის შვილი ვარ, დედაჩემი გერმანული ნაგაზი იყო, ტყეში მოწანწალე უნახავთ მამაჩემ მგელიკას და ისე გაუბრუებია შამპუნის სუნს, გვერდიდან აღარ მოსცილებია... მერე, მე და ჩემი და-ძმა გავჩენილვართ. ასე რომ, მე მგელი კი არა, მგელ-ძაღლა ვარ.

— უიმე! უიმე! მგელძაღლაზე თქვეს, რომ განსაკუთრებით მსუნაგი და ხარბიაო — ხომ არ შემჭამ?

წითელქუდა, ერთი სათხოვარი მაქვს, ქალაქში რომ ჩახვალ, ბუნების დაცვის კომიტეტში მიდი და ჩემზე უთხარი ერთი საშინელი, კაციჭამია მგელი დადის სოფელში და იქაურობას აწიოკებს-თქო, იქნებ, დამიჭირონ და ზოოპარკში მომათავსონ, იქსალაფავს მაინც მაჭმევენ. ვერც სოფელ-სოფელ წანწალით გავიძღე კუჭი და ვერც ქალაქის სანაგვეებში ვშოულობ რაიმეს — იქაც ადამიანები იქექებიან და საჩემოს არაფერს ტოვებენ.

წითელქუდას თვალზე ცრემლი მოადგა. კუნძზე ჩამოჯდა, მგელსაც უთხრა ჩამოჯექი, დაისვენეო. მერე კალათას თავი მოხსნა, ერთი ხაჭაპური და ერთი ქილა მაწონი ამოიღო, ბუერას უშველებელი ფოთოლზე დაასხა, შიგ ხაჭაპური ჩააბუყბუყა და მგელს ახლოს მიუწია — მიირთვიო. მგელს თავპატიჟი არ გამოუდია, თვალის დახამხამებაში ჯერ ფოთოლი მილოკმოლოკა, მერე წითელქუდას გაუღიმა და ტყეში წაძუნძულდა.

წითელქუდას გაახსენდა მგლის ნათქვამი — ეს ზღაპარია, გოგო, ზღაპარიო და თვითონაც ზღაპრივით დააბოლოვა

ქათმის ჭირი აქა,
ღორის ჭირი იქა,
კაცისკვლა და ნარკომანია აქა,
ქატო და ფქვილი იქა!..

*ერთ დაბურულ ტყეში*
*ზღაპარი იპოვა*
**ნიკოლოზ იოსებიძემ**

## ◉ უსიტყვოდ



# ვერ მიცანი?

**ის იყო რედაქციის შენობას მივუახლოვდი, რომ ვიღაც ჯენტლმენი მომღიმარი სახით წინ გადამიდგა, გადამკოცნა და შინაურულად მომიკითხა:**

— რას შვრები, ძველო, ეჭიდები ცხოვრებას?

— მეტი რა გზა მაქვს, კაი ბიჭი ხარ და ნუ შეეჭიდები.

— რაღაც ისე მიყურებ... ვერ მიცანი?

— რას ქვია, ვერ გიცანი, — თავი გამოვიდე. არადა ნამდვილად ვერ ვიცანი.

— ახლა სად მოღვაწეობ? — არ მეშვება

— ისევ იქ, რედაქციაში.

— ჰო, ვკითხულობ, მომწონს შენი წერილები.

— გმადლობთ. ახლა ისეთი დროა, ყველა ვერ ყიდულობს გაზეთს.

— აბა კაცო, ძალიან გაჭირდა. აი ახლაც საავადმყოფოდან მოვდივარ, მამაჩემი დავაწვინე, რაც მქონდა ექიმსა და ექთანს მივეცი და უკაპიკოდ დავრჩი. ერთი-ორი ლარი ხომ არ გექნება, შინამდე რომ მივიდე?

ჯიბეზე ხელი გავიკარი. ორი ცალი ორლარიანი ამომყვა.

— აჰა, ძმურად გავიყოთ, — ვუთხარი და ერთი კუპიური მას გავუწოდე.

— აგაშენა ღმერთმა, დღესვე დაგიბრუნებ, — დამიბარა სწრაფი ნაბიჯით და გამშორდა.

— ნეტავ ვინ იყო? — გავიფიქრე, როცა თვალს მიეფარა. მომკალი და ვერაფრით გავიხსენე. ეჰ, ასაკს ბევრი რამ მიაქვს, მათ შორის მეხსიერებაც...

...ის დღე კი არა, ბარე ორი თვეც მიიწურა, მაგრამ ჩემი ნაცნობი ჯენტლმენი აღარ გამოჩენილა. მხოლოდ გუშინ მოვკარი თვალი ქუჩაში, ჩემს მეგობარ ჟურნალისტსა და მეცნიერს პროკოფი ხვიჩიას ემასლაათებოდა. ვიდრე წამოვეწეოდი, უკვე დაემშვიდობა.

— ვინ იყო? — ვკითხე პროკოფის.

— შენ წარმოიდგინე, ვერ ვიცანი. ისე, ძველი ნაცნობივით მელაპარაკებოდა და უარი ვერ ვუთხარი.

— ფული გთხოვა?

— ჰო, სამი ლარი ვასესხე.

— ვერც ამან იცნო, ჩავილაპარაკე ჩემთვის. ეტყობა სკლეროზმა იმასაც მიუკაკუნა. თუმცა, რა გასაკვირია, პროკოფი ხომ ჩემზე სამი წლით უფროსია!

მერე თავი გავიმხნევე. ვერ დაემდურები, საბაზრო ცხოვრება ისეა დაბალანსებული, როგორც უნდა იყოს. მე და ჩემნაირებს მეხსიერება რომ არ გვღალატობდეს, მაგნაირ ხალხს ხელს ვინ გაუმართავდა?!

**ოტია ჩართოლანი**

## ◉ უსიტყვოდ



## ◉ მხატვრის ღიმილი



— ვაგონ-რესტორანი სად არის, შვილო?
ამირან ერაძის ნახატი.

## ◉ ანეკდოტები

— მიხო, ბევრი ქალი გყოლია?

— უუჰ, ძალიან ბევრი!

— მოდელებიც გყოლია?

— ქალების მოდელი კი, მაგრამ მოდელი ქალები — არა...

* * *

— დაშა, მოდი, ვიმეგობროთ!

— ვიმეგობროთ, მაგრამ ჩემი მშობლები სახლში არიან.

* * *

ქორწინების შემდეგ სიძემ სახლში ხელში აყვანილი შეიყვანა პატარძალი. ის კი ეუბნება:

— ივან, ჩვენ ხომ უკვე მოვაწერეთ ხელი, მოდი, კისერზე გადმოგაცოცდები!

* * *

ღრმად ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთი მსმელთა ქვეყანაა. ბოლო მონაცემებით, რუსეთი წელიწადში ბევრად ნაკლებს სვამს, ვიდრე იგივე ამერიკა, გერმანია, ავსტრალია, კანადა და ჩინეთი ერთად აღებული.

* * *

უცოლო პეტკას ლოცვა: ღმერთო, დამიფარე ქორწინებისგან... მაგრამ თუ მაინც დავქორწინდები, დამიცავი რქებისგან... მაგრამ თუ ურქებოდ არანაირად არ გამოვა, იქნებ მე ეს არ გავიგო... მაგრამ თუ ეს მაინც უნდა გავიგო, იქნებ არ მეწყინოს!!!



# შპს „ქალაქის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

**1.1.** შ.პ.ს. „ქალაქის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საარბიტრაჟო საქმიანობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.

**1.2.** „არბიტრაჟი“ მხარეთა შეთანხმებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას, მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით.

**1.3.** შეთანხმება მხარეთა მიერ დავის „არბიტრაჟი“-სათვის გადაცემის შესახებ იდება წერილობით.

**1.4.** მუდმივმოქმედ არბიტრაჟში საქმის წარმოებას მხარეები იწყებენ კანონით და დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანის გზით.

**1.5.** საარბიტრაჟო საქმის წარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, პირს რომელიც არ ფლობს საქმის წარმოების ენას დაენიშნება თარჯიმანი.

**1.6.** საარბიტრაჟო საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

**1.7.** მხარეებს შეუძლიათ საქმე დაამთავრონ მორიგებით, პრეტენდენტს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს-მთლიანად ან ნაწილობრივ სცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

**1.8.** „არბიტრაჟი“-ს სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**1.9.** „არბიტრაჟი“ ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

**1.10.** თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, „არბიტრაჟი“ იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, „არბიტრაჟი“ ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

**1.11.** „არბიტრაჟს“ გადაწყვეტილება გამოაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელით.

**1.12.** „არბიტრაჟი“-ს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის.

**1.13.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

**1.14.** საარბიტრაჟო განხილვის ადგილია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ან მისი წარმომადგენლობის იურიდიული მისამართი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 2. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

**2.1.** „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ – შპს. „ ქალაქის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“;

**2.2.** „არბიტრაჟი“ – ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია კანონით და დებულებით დადგენილი წესით განიხილოს მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა.

**2.3.** „არბიტრი“ – არბიტრაჟის წევრი;

**2.4.** „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ – შპს„ ქალაქის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი “-ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

**2.5.** „დავა“ – სამოქალაქო დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს;

**2.6.** „მხარეები“ – პრეტენდენტი და მოპასუხე;

**2.7.** „პრეტენდენტი“ – მხარე, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

**2.8.** „მტკიცებულება“ – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

**2.9.** „საარბიტრაჟო შეთანხმება“ – დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

**მუხლი 3. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება**

**3.1.** არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**3.2.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

**3.3.** მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

**3.4.** თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ან მხარე უარს ამბობს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე, ან საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრაჟის შემადგენლობა განისაზღვრება ერთი არბიტრით, არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**3.5.** არბიტრი (არბიტრები) უნდა დაინიშნოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, მხარე ნიშნავს არბიტრაჟის წევრს მეორე მხარის მოთხოვნის ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

**3.6.** თუ მხარე დებულების 3.6. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნავს არბიტრს (არბიტრებს), ეს ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმად.

**3.7.** მხარის მიერ არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, არბიტრს (არბიტრებს) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე დანიშნავს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

**3.8.** თუ ერთ-ერთი მხარის მიერ დანიშნული არბიტრი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ან დატოვებს არბიტრაჟის სხდომას, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გადააყენებს მას არბიტრობიდან, ხოლო მის მაგივრად დანიშნავს ახალ არბიტრს.

**3.9.** ყოველი პირი მის არბიტრაჟის წვრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას და ავსებს სპეციალურ ბლანკს.

**3.10.** მხარის მიერ დანიშნულ არბიტრთან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.

**3.11.** თუ არბიტრთა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი უნდა დაინიშნოს არბიტრაჟის თავმჯომარედ. არბიტრაჟის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს მხარის მიერ დანიშნული არბიტრი.

**3.12.** არბიტრაჟი თავის თავმჯდომარეს ნიშნავს შექმნიდან 5 დღის ვადაში ან პირველივე სხდომაზე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების გაყოფის შემთხვევაში არბიტრაჟის თავმჯდომარეს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**3.13.** არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

**3.14.** მხარეს შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**3.15.** მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განაცხადოს წერილობით 10 დღის ვადაში, შესაბამისი არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ეს გარემოება ცნობილი გახდა ან უნდა ცოდნოდა. განცხადება აცილების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული. განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია ზეპირადაც, რაც შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში.

**3.16.** თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

**3.17.** აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში.

**3.18.** ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

**მუხლი 4. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება.**

**4.1** საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

**4.2** საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

გ) განცხადებაზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) საჩივარზე საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

**4.3.** ქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა, ხოლო დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3000 ლარს - არანაკლებ 200 ლარისა.

**4.4.** 4.2 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და საჩივარზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შეადგენს 150 ლარს.

**4.5.** ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

**4.6.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟს თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაანთავისუფლოს (გადაუვადოს ან გაუნაწილვადოს) ერთი ან ორივე მხარე საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან.

**4.7.** ერთი მხარის ნაწილობრივ განთავისუფლება საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან, მეორე მხარის საარბიტრაჟო შენატანის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

**4.8.** თუ პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე, საარბიტრაჟო შენატანი შემცირდება ოცდაათი პროცენტით და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ პრეტენდენტმა უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება 30%-ით, ხოლო არბიტრაჟი პრეტენდენტის თხოვნით მოპასუხეს დააკისრებს პრეტენდენტის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ამასთან, ასეთ შემთხვევებში საარბიტრაჟო შენატანი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

**4.9.** თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეულ ხარჯებით.

**4.10.** თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო – საპროცესო ვადები**

**5.1.** საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**5.2.** საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება დღეებით.

**5.3.** საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

**5.4.** არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

**5.5.** განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი მხარეთათვის შეუტყობინებლად.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება**

**6.1.** არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს.

**6.2.** საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

**6.3.** მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება ოქმი.

**6.4.** საარბიტრაჟო უწყება დასაბარებელ პირს უნდა ჩაბარდეს მხარის მიერ მითითებული მისამართის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან არბიტრაჟისთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. თუ პრეტენდენტის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, არბიტრაჟი უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება პრეტენზიის განუხილველად დატოვების შესახებ.

**6.5.** საარბიტრაჟო უწყებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

**6.6.** მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში, მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის ასლი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

**6.7.** საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. ადრესატისთვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც არბიტრაჟს უნდა დაუბრუნდეს.

**6.8.** მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, უწყების მეორე ეგზემპლარზე მისი ხელმოწერით, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს უფლებამოსილ პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს.

**6.9.** თუ უწყების მიმტანმა პირმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, - იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

**6.10.** თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა.

**6.11.** მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

**6.12.** თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

**6.13.** თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. იგი უნდა შეიცავდეს იმ დოკუმენტებზე მითითებას, რომლებსაც უნდა გაეცნოს მოპასუხე. პრეტენდენტი ვალდებულია არბიტრაჟის განკარგულების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით. საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან 7 დღის ვადაში. ამ ვადის განმავლობაში საქმის წარმოება შეჩერდება და იგი გაგრძელდება ავტომატურად, აღნიშნული ვადის გასვლისთანავე.

**მუხლი 7. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო ქმედუნარიანობა**

**7.1.** მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

**7.2.** მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

**7.3.** ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

**7.4.** ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

**7.5.** ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

**მუხლი 8. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება**

**8.1.** თითეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

**8.2.** არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**8.3.** თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მიმართოს სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით.

**8.4.** კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

**8.5.** არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**8.6.** არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

**8.7.** არბიტრაჟი, ხოლო საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანამდე ან არბიტრაჟის დანიშვნამდე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე მხარის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით მიმართავს სასამართლოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

**მუხლი 9. ექსპერტიზის დანიშვნა**

**9.1.** თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, თუ მხარეები ამას მოითხოვენ.

**9.2.** უარი ექსპერტიზის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს.

**9.3.** ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტიზის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.

**9.4.** მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით, ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება არბიტრაჟის სხდომა-

ზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, ხოლო დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

**9.5.** ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**9.6.** თუ არბიტრაჟი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

**9.7.** არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზა, თუ მხარეები ამას მოითხოვონ.

**9.8.** ექსპერტებს აუნაზღაურდებათ არბიტრაჟში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და დღიური თანხა, აგრეთვე არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.

**მუხლი 10. საარბიტრაჟო პრეტენზია**

**10.1.** საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო პრეტენზია

**10.2.** საარბიტრაჟო პრეტენზია შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) პრეტენდენტის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ პრეტენდენტი იურიდიული პირია – მის სახელწოდებასა და მისამართს;

გ) წარმომადგენლის გვარს, სახელსა და მისამართს, თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს.

დ) მოპასუხის გვარს, სახელსა და მისამართს, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია, – მის სახელწოდებასა და მისამართს;

ე) პრედენდენტის მოთხოვნას;

ვ) გარემოებებს, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს;

ზ) მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

თ) საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება;

ი) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

კ) არბიტრობის სასურველი კანდიდატის (კანდიდატთა) სახელს, გვარს, მისამართსა და სხვა მონაცემებს, თუ არბიტრს (არბიტრებს) ნიშნავს პრეტენდენტი;

ლ) თუ პრეტენდენტი არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის უფლებას გადასცემს სხვა პირს, მითითებას ამის თაობაზე და ამ პირის რეკვიზიტებს. ასეთ შემთხვევაში საარბიტრაჟო შეთანხმებას თან უნდა ერთვოდეს არბიტრის (არბიტრების) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ პუნქტის „კ" ქვეპუნქტში აღნიშნულ მონაცემებს;

მ) საარბიტრაჟო შენატანის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

ნ) საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის თანდართული საბუთების ნუსხას.

**10.3.** საარბიტრაჟო პრეტენზიას აუცილებლად უნდა ერთვოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ.

**10.4.** საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

**10.5.** თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეტანილია ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას და პრედენდენტს მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, პრეტენზია შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება პრეტენდენტს.

**10.6.** მუდმივმოქმედ არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია პრეტენზიის ჩაბარებიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით მიიღოს იგი წარმოებაში ან უარი თქვას მის მიღებაზე.

**10.7.** მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) ცნობს თუ არა მოპასუხე პრეტენზიას;

ბ) თუ პრეტენზიას არ ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი პრეტენზიის წინააღმდეგ;

გ) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები;

დ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე პრეტენზიისგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული პრეტენზიის აღძვრას, ხომ არ უარყოფს პრეტენზიის დასაშვებობას და ა.შ.;

ე) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად;

ვ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული არბიტრაჟის სხდომაზე;

ზ) სხვა საკითხებს, რასაც მნიშვნელობა აქვს საარბიტრაჟო წარმოებისათვის.

**10.8.** მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო პრეტენზიის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას პრეტენდენტის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია პირვანდელ პრეტენზიასთან ერთად განსახილველად.

**10.9.** მოპასუხის წერილობითი პასუხისა და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს პრეტენდენტს.

**10.10.** პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე თავისი მოსაზრებები წერილობით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარის მიერ დანიშნულ ვადაში.

**10.11.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას თუ:

ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსამართლის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრების თაობაზეც მხარეები არ შეთანხმებულან ან დარღვეულია გასაჩივრებისათვის კანონით გათვალისწინე-ბული 30 დღიანი ან მხარეთა მიერ დადგენილი ვადა;

დ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

ე) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ვ) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

**10.12.** პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება.

**10.13.** პრეტენზიის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება პრეტენდენტს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო შენატანის 90 %.

**მუხლი 11. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია**

**11.1.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ პრეტენზიას, თუ:

ა) შეგებებული პრეტენზიის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული პრეტენზიის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ პრეტენზიასა და პირვანდელ პრეტენზიას შორის არის

ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად გადაწყდება.

**11.2.** პირვანდელი და შეგებებული პრეტენზიის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.

**მუხლი 12. საქმის მომზადება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად.**

**12.1.** არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**12.2.** არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია:

ა) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;

ბ) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;

გ) განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს;

დ) გადაწყვიტოს საარბიტრაჟო პროცესში თანამონაწილეების დაშვების საკითხი;

ე) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს არბიტრაჟში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;

ვ) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;

ზ) მისცეს დავალება;

ი) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;

კ) დაიბაროს მოწმეები, სპეციალისტები საარბიტრაჟო სხდომის დღისათვის.

**12.3.** მუდმივმოქმედი არბიტრაჟის (არბიტრაჟის) თავმჯდომარეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობენ არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

**12.4.** თუ მოსამზადებელ სხდომაზე არბიტრაჟი საქმეს საკმაოდ მომზადებულად მიიჩნევს და მხარეებს დამატებით არ აქვთ წარმოსადგენი, არბიტრაჟს შეუძლია გადავიდეს მთავარ სხდომაზე და არსებითად განიხილოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

**12.5.** თუ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე ცნობს პრეტენზიას, არბიტრი გამოიტანს გადაწყვეტილებას პრეტენზიის დაკმაყოფილების შესახებ.

**მუხლი 13. გამოუცხადებლობა და დოკუმენტების წარმოუდგენლობა.**

**13.1** თუ დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებილი მხარე არ გამოცხადდება სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა.

**13.2** თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადებში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე.

**მუხლი 14. არბიტრაჟის მთავარი სხდომა.**

**14.1.** არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს საარბიტრაჟო სხდომას.

**14.2.** თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

**14.3.** საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ - ამ სხდომის მასალებსა და ოქმს.

**14.4.** თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.

**14.5.** არბიტრაჟი ჯერ მოისმენს პრეტენდენტისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნებს და უარს ხომ არ ამბობს პრეტენზიაზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

**14.6.** შემდეგ არბიტრაჟი მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს პრეტენზიას, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

**14.7.** მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე.

**14.8.** არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს არბიტრაჟს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყლებლად.

**14.9.** თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მისგან.

**14.10.** არბიტრაჟის ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია არბიტრაჟს.

**14.11.** არბიტრაჟის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ობიექტურად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და არბიტრაჟში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

**14.12.** მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

**14.13.** მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რაც წარმოებს დებულებით დადგენილი წესით.

**14.14.** საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ არბიტრაჟი ეკითხება მხარეებსა და წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ ასეთი სურვილი არ გამოითქვა, არბიტრაჟი საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს, რის შემდეგაც იწყება მხარეთა პაექრობა.

**14.15.** პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

**14.16.** პირველად გამოდიან პრეტენდენტი და მისი წამომადგენელი, შემდეგ – მოპასუხე და მისი წარმომადგენელი.

**14.17.** მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს.

**14.18.** პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ არბიტრაჟი ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

**მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.**

**15.1.** საქმეზე არბიტრაჟს გამოაქვს გადაწყვეტილება არბიტრაჟის მიერ პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებიდან 30 დღის ვადაში, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**15.2.** თუ გადაწყვეტილება გამოაქვს რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს, იგი დადგენილი უნდა იქნეს ხმათა უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში. არბიტრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს. არბიტრებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა.

**15.3.** გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი ან/და სხვა იურიდიული ნორმა უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა პრეტენზია.

**15.4.** გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით.

**15.5.** არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

**15.6.** გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და დადგენილებითი ნაწილებისაგან.

**15.7.** თუ მხარეები არ მოითხოვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ან ამას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების შესავალი, აღწერილობითი და დადგენილებითი ნაწილების ჩამოყალიბებით.

**15.8.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან ხუთი დღის ვადაში.

**15.9.** არბიტრაჟის გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

**15.10.** არბიტრაჟს შეუძლია მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

**15.11.** გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ არბიტრაჟში იგივე საპრეტენზიო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

**15.12.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, თუ მხარეებს შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სხვა კერძო არბიტრაჟის მიერ გადასინჯვის შესახებ.

**15.13.** მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არის დასაშვები მისი იძულებითი აღსრულება. სააღსრულებო ფურცელს (წარწერას) გასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

**მუხლი 16. საქმის წარმოების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.**

**16.1.** არბიტრაჟი, დებულებით განსაზღვრული შემთხვევის გარდა, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეტა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიაზე;

გ) მხარეები მორიგდნენ;

დ) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

**16.2.** საქმეზე წარმოება შეწყდება არბიტრაჟის გადაწყვეტილებით.

**16.3.** საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შირის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

**მუხლი 17. პრეტენზიის განუხილველად დატოვება**

**17.1.** არბიტრაჟი, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს პრეტენზიას, თუ:

ა) პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

ბ) საარბიტრაჟო სხდომაზე პრეტენდენტი არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა;

გ) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

**17.2.** იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო პრეტენზიის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

**მუხლი 18. საქმის წარმოების შეჩერება**

**18.1.** არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

დ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ე) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

**18.2.** საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

**მუხლი 19. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი**

**19.1.** არბიტრაჟის თითოეული სხდომის შესახებ და აგრეთვე სხდომის გარეშე შესრულებული თითოეული ცალკეული საარბიტრაჟო-საქსპერტო მოქმედების შესახებ დგება ოქმი.

**19.2.** ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ძირითად მომენტებს.

**19.3.** ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.

**19.4.** ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

**19.5.** ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავს – ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

**19.6.** არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს აუდიო ჩაწერა, რომელიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ აუდიო ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში.

**19.7.** სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობასა თუ უსრულობაზე.

**მუხლი 20. საქმის გადასინჯვა.**

**20.1.** მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია გადასინჯოს განხილული საქმე.

**20.2.** საქმის გადასინჯვა წარმოებს დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული დამატებებით.

**20.3.** საქმის გადასინჯვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული მხარის საარბიტრაჟო საჩივარი საქმის გადასინჯვის შესახებ.

**20.4.** საქმის გადასინჯვაში არ შეიძლება მონაწილეობას იღებდნენ ის არბიტრები, რომლებიც მანამდე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.

**20.5.** არბიტრაჟი უფლებამოსილია:

ა) გააუქმოს ამ საქმეზე არსებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;

ბ) არ დააკმაყოფილოს საჩივარი და არსებული გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში.

**20.6.** საქმის გადასინჯვის დროს საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს დებულებით გათვალისწინებული საერთო წესების თანახმად.

№ 236. შაბათი, 21 ნოემბერი, 2009 წელი.

## ბატუტზე ხტომა



# მეოთხე ადგილი იკმარა

**სანკტ-პეტერბურგში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალები ცამეტ-თოთხმეტწლიანმა სპორტსმენებმა მოსინჯეს. საკვალიფიკაციო ეტაპზე შესანიშნავად იასპარეზა ნანა გოგაშვილმა.** იგი ფინალში მე- 4 შედეგით შევიდა. გადამწყვეტ ეტაპზე 34.300 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გასულ ლილა კასაპოღლუს (საბერძნეთიძ 0,5 ქულით ჩამორჩა. პირველ-მეორე ადგილებზე, შესაბამისად, ანა ტარნოვსკა (უკრაინაძ და პამელა კლარკი (ბრიტანეთიძ გავიდნენ.

თერთმეტ-თორმეტწლიანების სინქრონულ ხტომებში თეონა ჯანჯღავამ და ანა ოდიშვილმა 40.100 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავეს.

## ჭადრაკი

# სამი ტურით ადრე



**ანტალიაში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს 28 წარმომადგენელი მონაწილეობს. სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი დაკარგა.** თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც ბოლო ტურებში წარმატების შემთხვევაში მედლის მოპოვება შეუძლიათ. უპირველესად ეს ითქმის თვრამეტწლიანებში მოასპარეზე დავით ბენიძესა და სოფიკო გურამიშვილზე. ბენიძემ მე-8 ტურში რუმინეთის ეროვნული ნაკრების წევრ ჩირილას სძლია და 6 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილებს იყოფს. პირველ-მეორე ადგილებზე მყოფი მოჭადრაკეები მას ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებენ.

სოფიკო გურამიშვილმა რუს ანასტასია სავინასთან ქულა გაიყო და მანაც 6 ქულას მოუყარა თავი. ამ ასაკში ისევ სავინა მეწინავეობს 7 ქულით.

16-წლიანებში მედლის მოპოვების რეალური შანსი აქვს მერი არაბიძეს, რომელიც 6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. 7,5 ქულით პირველ ადგილზეა პერუელი დეისი კორი. 14-წლიანებში 6-6 ქულა აქვთ ანა კუჭავასა და ანა შამათავას. მათ ქულა-ნახევრით უსწრებს ეფროიმსკი (ისრაელიძ. 10-წლიანებში თეა ჭოლაძეც 6 ქულით საპრიზო ადგილებზე გასვლის შესაძლებლობას ინარჩუნებს.

## ძიუდო

# თბილისმაც დააკომპლექტა

**საქართველოს ძიუდოისტთა სეზონის ბოლო შეჯიბრება ქვეყნის ჩემპიონატი იქნება, რომელსაც ქუთაისი უმასპინძ-**



**ლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება ყველა რეგიონი, მათ შორის თბილისი, რომელმაც ის ფალავნები გამოავლინა, დედაქალაქის ღირსებაც რომ დაიცავენ.** საგულისხმოა, რომ ნაკრებში წინასწარ დაუბევეს ადგილი მინდია ხომიზურს (66ძ, ზაზა კედელაშვილს (73ძ, ლევან წიკლაურს, ხვიჩა ხუციშვილს (ორივე – 81ძ, ლაშა გუჯეჯიანს (მძიმე წონაძ. ისინი თბილისის ნაკრებში ბრინჯაოს მედალოსნების ნაცვლად იჭიდავებენ.

**გაუწყებთ წონითი კატეგორიების მიხედვით დედაქალაქის ჩემპიონატის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**60 კგ.** 1. თორნიკე ქუმსიაშვილი, 2. გიორგი გიგანი, 3. ბონდო კიკნაძე და მურად მურადოვი.

**66 კგ.** 1. უჩა ხუციშვილი, 2. ილო დვალიშვილი, 3. გიორგი შოშიაშვილი და დიმიტრი აზნარაშვილი.

**73 კგ.** 1. ზურაბ ნოზაძე, 2. ილია ქემერტელიძე, 3. არსენ მაჭარაშვილი და შალვა უთურგაული.

**81 კგ.** 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი, 2. იოსებ წელაური, 3. გოჩა ხუციშვილი და ლაშა ყიზილაშვილი.

**90 კგ.** 1. თედორე აბელაშვილი, 2. გიორგი ნოზაძე, 3. შოთა ცინცაძე და ნიკოლოზ ბულაძე.

**100 კგ.** 1. რევაზ ჩიკოიძე, 2. ბექა ბერძენიშვილი, 3. თამაზ მეთოშვილი და ტატო პიტიურიშვილი.

**მძიმე წონა.** 1. ვაჟა დაბრუნდაშვილი, 2. ივანე გოგოლაშვილი, 3. გიორგი სულხანიშვილი და გიორგი დაბრუნდაშვილი.

# ანტალიაში იასპარეზებენ

**თურქეთის ქალაქ ანტალიაში გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ქალ-ვაჟთა ნაკრები შეჯიბრებაზე სრული გუნდებით გამოვა.** ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: **ვაჟები.** პაატა მერებაშვილი (60 კგძ, ზურაბ შერვაშიძე (66ძ, ზვიად ბაზანდარაშვილი (73ძ, გიგა წიკლაური (81ძ, არჩილ შინჯიკაშვილი (90ძ, კონსტანტინე მუკვანი (100ძ, ლევან მუქერია (მძიმე წონაძ. მწვრთნელი სოსო ლიპარტელიანი. **გოგონები:** დარინა აბულაძე (48ძ, ნათია როსტომაშვილი (52ძ, სოფიო ბერიძე (57ძ, შორენა შარაძე (63ძ, სალომე წოწკოლაური (70ძ, ნინო ოძელაშვილი (78ძ, ლია გვიანიძე (+78ძ. მწვრთნელი გია თენაძე.

## სუმო

# „შავ ზღვას“ დაქვეითება ემუქრება

**22 წლის სუმოისტი ლევან გორგოძე (ტოჩინოშინიძ წარმატებით ასპარეზობს ნოემბრის ბაშოზე. ხუთ ტურში მან მე-4 გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად 35 წლის მონგოლი კიოკუტენჰო დაამარცხა.**

უხეიროდ გამოდის მეორე ქართველი სპორტსმენი ლევან ცაგურია (კოკაი, იგივე „შავი ზღვა“ძ, რომელსაც მხოლოდ ერთი მოგება აქვს 4 წაგების წილ. ამგვარი უარყოფითი ბალანსით მას ქვედა ეშელონში დაქვეითება ემუქრება.

ბაშოს ხუთ-ხუთი გამარჯვებით მონგოლი იოკოძუნები – ასაშორიუ, ჰაკუჰო და აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა იოშიკაძე ლიდერობენ.



## ინტერნეტიდან

# ირლანდიის მთავრობა გადათამაშებას მოითხოვს

**მთელი მსოფლიოს ფეხბურთის მოყვარულები, და მარტო ისინი კი არა, აალაპარაკა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრი შესარჩევი ტურნირის პლეი-ოფის განმეორებით მატჩზე – საფრანგეთი – ირლანდია – მსაჯის უხეშმა შეცდომამ, ფრანგებს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგზურები რომ უზრუნველყო.**

შეგახსენებთ, რომ ამ ნაკრებების პირველი მატჩი 14 ნოემბერს დუბლინში გაიმართა და ის ფრანგების გამარჯვებით დამთავრდა მინიმალური ანგარიშით – 1:0. საპასუხო შეხვედრაში გაიმარჯვეს ირლანდიელებმა – 1:0, რის გამოც დაინიშნა ოვერტაიმი. დამატებით დროში ვილიამ გალასმა გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელიც მას ტიერი ანრიმ გადააწოდა მას შემდეგ, რაც ის ხელით გაისწორა (ფოტოზეძ. შვედმა მსაჯმა მარტინ ჰანსონმა გოლი ჩათვალა, ირლანდიელების აქტიური პროტესტის მიუხედავად.

მატჩის შემდეგ ტიერი ანრიმ აღიარა, რომ წესები დაარღვია. „პატიოსნად რომ გითხრათ, ბურთს ხელით შევეხე. მაგრამ მე ხომ არბიტრი არა ვარ, მან კი დარღვევა არ აღნიშნა, ისე რომ, კითხვები მას დაუსვით“. – თქვა ფრანგების კაპიტანმა.

ირლანდიის იუსტიციის მინისტრმა დერმოტ აკერიმ მოსთხოვა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას, ოფიციალური პროტესტი გაუგზავნოს ფიფას. მისი აზრით, თუ საფრანგეთ – ირლანდიის მატჩის შედეგი ძალაში დარჩება. ეს ნიშნავს, რომ ფეხბურთის მატჩების მოგება თაღლითობით შეიძლება.



ფიფა გამორიცხავს ფეხბურთის წესების მე-5 პუნქტის თანახმად მატჩის გადათამაშებას. ამავე პუნქტის თანახმად, მსაჯს უფლება აქვს, ჩათვალოს ან არ ჩათვალოს გოლი და ეს გადაწყვეტილება საბოლოოა.

# პრემიერმა ფეხბურთელებს ბუცები გაუწმინდა

**სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა ბორუტ პახორმა შეასრულა ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელებისთვის მიცემული სიტყვა, რომ თუ ისინი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გადავიდოდნენ, ყველას ფეხსაცმელს გაუწმენდდა.**

და აი, მარიბორში პლეი-ოფის განმეორებით მატჩში რუსეთის ნაკრებთან (პირველი დამთავრდა რუსების გამარჯვებით – 2:1ძ მასპინძლებმა აღმაფრენით ითამაშეს და საპატიო სტუმრების – რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევისა და მილიარდელის რომან აბრამოვიჩის თანდასწრებით, სამხრეთ აფრიკისკენ გზა გაიხსნეს – 1:0. რასაკვირველია, ამ ერთობ საპასუხისმგებლო მატჩს ესწრებოდა სლოვენიის პრეზიდენტი დანილო ტიურკიც.

საფინალო სასტვენის შემდეგ, სლოვენიის ნაკრების გამარჯვება რომ დააფიქსირა, პრემიერი პახორი დაუყოვნებლივ გაეშურა ფეხბურთელთა გასახდელისკენ „ანგარიშის გასასწორებლად“. როდესაც, პრემიერი იქიდან გამოვიდა, სლოვენიელ ტელეჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ ნამდვილად გაუწმინდა ბუცები ტრიუმფატორ ფეხბურთელებს, თუმცა ეს მთლად უნაკლოდ ვერ გააკეთა.



სლოვენიის ნაკრები თავის ისტორიაში მსოფლიო პირველობის ფინალურ სტადიაზე მეორედ გავიდა. პირველად ეს იყო 2002 წელს, როცა ჩემპიონატი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ჩატარდა, თუმცა მაშინ თავი დიდად ვერ გამოიჩინა.

სპორტული კომენტატორების აზრით, ნაკრების ახლანდელი შემადგენლობა „ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც ნამდვილი გმირები“.

# საცხენოსნო დოპინგს – უარი

**საცხენოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ФЕИძ კოპენჰაგენში ხმების დიდი უმრავლესობით მოიწონა დოპინგთან ბრძოლის ახალი პროგრამა.**

90 ეროვნული ასოციაცია თანახმაა, რათა ბოლო მოეღოს გუნდებისა და მხედრების მაქინაციებს, ცხენებს დოპინგით რომ ტენიან. ფედერაციის პრეზიდენტმა, იორდანიის პრინცესამ ჰა იამ ამ ხმის მიცემას „საცხენოსნო სპორტის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი“ უწოდა.

ფედერაციამ გადამჭრელი ზომები მიიღო რამდენიმე ოლიმპიური სკანდალის შემდეგ. მაგალითად, შარშან პეკინის ოლიმპიადაზე 6 ცხენი „გაება“ დოპინგის საქმეში, 2004 წლის ათენის ოლიმპიადის შემდეგ კი ოქროს მედლები ჩამოერთვა 3 მხედარს, დოპინგის მიღებაში რომ ამხილეს.

# კეთილი საქმის კარნახით

**რას არ გააკეთებ კეთილი საქმისთვის. ეროტიკული კალენდრისთვისაც კი „გაწირავ“ თავს.**

ცნობილი მოდელები შუასაუკუნეების გამომწვევი ჩაცმულობით წარდგებიან კალენდარში „მისტიკა – 2010“. ლამაზმანებს რამდენიმე საათიანი პოზირება მოუხდათ ერიკო რიკარდის ფოტოობიექტივის წინ. როგორც ამბობენ, კალენდრის გაყიდვით შემოსული მთელი ფული ქველმოქმედებას მოხმარდება.



გადაღებებში მონაწილეობდნენ ნინა სენიჩარი, სელვაჯია ლუკარელი, ალექსანდრა სორჩინელი, სესილია როდრიგესი (ფოტოზეძ, აგრეთვე მისი უმცროსი დაც, „მილანის“ ფორვარდის მარკო ბორელიოს ყოფილი სატრფო ბელენი.

◎ ჩვენს საკონცერტო დარბაზებში

# გასაჭირი სიმდიდრისგან

## შემოდგომის მუსიკალური მარათონი

**მიმდინარე შემოდგომამ, როგორც მუდამ, მდიდარი და მრავალფეროვანი მუსიკალური შთაბეჭდილებებით დაგვაჯილდოვა. აფიშებზე ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალის, შესანიშნავი უცხოელი თუ ჩვენი მუსიკოს-შემსრულებლების და კონცერტების დასახელებები. შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, მით უმეტეს, რომ ისინი ხშირად პარალელურად მიმდინარეობდნენ სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში. ეს იყო როგორც ფრანგები იტყვიან, ნამდვილი „embarra derichesses" — „გასაჭირი სიმდიდრისაგან".**

რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა სასულე საკრავთა ფესტივალი, რომელიც უმაგალითო იყო, როგორც ძალზე მაღალ საშემსრულებლო დონით, ისე პროგრამების სიახლით და მრავალფეროვნებით. მისი დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ ახალგაზრდა ნიჭიერი კლარნეტისტი — თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი ლევან ცხადაძე. იგიც და მისი მეგობრებიც დიმიტრი სტავრიანიდი (ფლეიტა), გიორგი გვანცელაძე (ჰობოი), თემურ ბუხნიკაშვილი (ფაგოტი) — ამჟამად ევროპული ქვეყნების ცნობილ საშემსრულებლო კოლექტივებში მოღვაწეობენ. მათთან ერთად კონცერტებში მონაწილეობდნენ სპეციალურად მოწვეული ევროპელი, უმაღლესი კლასის სასულე საკრავებზე დამკვრელები და აგრეთვე ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტები და მევიოლინეები.

მათ კონცერტებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს და შესაბამისი შეფასებაც დაიმსახურეს.

ჩვენმა შეუდარებელმა ელისო ვირსალაძემ თავის მუდმივ შესანიშნავ პარტნიორთან, გამოჩენილ მუსიკოსთან — ნატალია გუტმანთან ერთად შეასრულა ბეთჰოვენის სონატები (№№ 1, 2, 4, 5) ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

მე ვიტყოდი, ეს იყო უმაღლესი ესთეტიკური „სინჯის" კონცერტი. შემდეგ კი გაიმართა პროფ. ე.ვირსალაძის კლასის (მოსკოვისა და მიუნხენის კონსერვატორიებში) სტუდენტთა კონცერტი.

ძალზე ნაყოფიერი და შინაარსიანი გამოდგა კამერული ანსამბლების მე-4 ფესტივალი, რომლის ორგანიზატორად მოგვევლინა საქართველოს მუსიკალური საზოგადოება (თავმჯდომარე — მანანა ახმეტელი).



ჯერ იყო და თავისი ხელოვნებით დაგვატკბეს ჩვენმა უკვე სახელმოხვეჭილმა ახალგაზრდა მუსიკოსებმა ხატია ბუნიათიშვილმა (ფორტეპიანო) და გიორგი ხარაძემ (ჩელო), რომლებმაც მშვენივრად შეასრულეს ჩელოსა და ფორტეპიანოს საანსამბლო რეპერტუარის ცნობილი ნიმუშები: ბეთჰოვენისა (№2) და შოპენის სონატები, შუმანის 5 პიესა ხალხურ თემებზე.

შემდეგ კი დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს თავისი ანსამბლით თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო), მანანა ქანთარიამ (ვიოლინო), ირინა ხოშტარია-ჯაიანმა (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილმა (ჩელო).

შესრულდა ბეთჰოვენის საფორტეპიანო ტრიო №3, ბრამსის ანდანტე (საფორტეპიანო კვარტეტიდან №3) და ფინალი (საფორტეპიანო კვარტეტიდან №1), აგრეთვე — მენდელსონის საფორტეპიანო ტრიო.

ო.ჩუბინიშვილი რომ მაღალი კლასის დიდებული მუსიკოსია — კარგადაა ცნობილი, ასევე — ჩინებული მუსიკოსი და პროფესიონალია მევიოლინე მანანა ქანთარია, გაგვაკვირვა თამარ ლიჩელმა, რომელიც შეიძლება ითქვას, კონცერტიდან კონცერტამდე იზრდება, წარმატებები აქვს, როგორც სოლო შემსრულებლობაში (ამ ზაფხულს „გრან-პრი" მოიპოვა იტალიაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე), ისე საანსამბლო დაკვრაში. კონცერტზე მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი პარტია ყველა ნაწარმოებში. კოლეგებს ღირსეული პარტნიორობა გაუწია ირინა ხოშტარია-ჯაიანმა.

სამწუხაროდ, ვერ დავესწარი კიდევ ერთ კამერულ კონცერტს იმ მიზეზით, რომ პარალელურად გაიმართა კონსერვატორიის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი რევაზ ტაკიძის დირიჟორობით.

დიდი მადლობა კონცერტების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

**გულბათ ტორაძე**

**სურათზე: მარცხნიდან: მ. ქანთარია, ი. ხოშტარია, თ. ლიჩელი, ო. ჩუბინიშვილი.**

◎ საერთო ძალისხმევით გამოიცა

# პოეზია მარადიული გაზაფხულია

## ცისქვეშეთში ყველაფერი წარმავალია

**შემოდგომაზე სიტურფე ვაშლებს
ქალიშვილების დარად ერევათ.
შორს მიფრინავენ ჩიტები... ვამჩნევ —
მიდის: დროც, წყალიც, ბედნიერებაც.**

მაშ რაღა რჩება აქ?

უდიდესი ფასეულობანი: სიყვარული, მონატრება, პოეზია.

სწორედ მეოთხედი საუკუნის წინათ, 1984 წელს, ლიტველი და ქართველი პოეტები პირველად სტუმრობდნენ ერთმანეთს. ლიტვის მწერალთა კავშირის კაუნასის განყოფილებიდან ჩამოსულ მხატვრული სიტყვის ოსტატებს გორელმა პოეტებმა უმასპინძლეს. იმ ხანად დაიბეჭდა ოთარ ჩხეიძისეულ ჟურნალ „ლიახვში" იონას გრაუჩიუნასის, ალდონა პუიშიტეს, ალექსას დაბულსკისის, აუდრა სტასიუკონიტეს, ლუდას გუსტაინისის პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები. ცალკე წიგნად გამოიცა ჩვენგან უდროოდ წასული ნიჭიერი პოეტის ვაჟა დადიანიძის მიერ თარგმნილი ლიტველ პოეტთა ლექსები...



მას შემდეგ დროცა ბევრი გავიდა და წყალმაც ბევრმა ჩაიარა ლიახვისა და ნიარისის კალაპოტში. ორივე ხალხის ცხოვრებაში დიდი კატაკლიზმები მოხდა, მაგრამ ოდნავადაც არ განელებულა ურთიერთმონატრებისა და სიყვარულის გრძნობა.

ამ დღეებში კი ღირსსახსოვარი მოვლენის მოწმენი გავხდით: საქართველოში ლიტვის საელჩოს, ქართული მწერლობის ჩინებული მცოდნის ბატონი ელჩის მეჩის ლაურინკუსის თაოსნობით, საქართველოში ლიტვის წარმომადგენლობისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის განხორციელების შედეგად დაისტამბა ლიტველი პოეტების ლექსების მშვენიერი კრებული „ლიტვური პოეზიის გაზაფხული".

ბალტიელი მხატვრული სიტყვის ოსტატები ქართულად აამეტყველა ჩვენმა ცნობილმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატმა ჯემალ ინჯიამ, ვისი ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობაც ქართველი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი.

პოეტური კრებულის მაღალმხატვრულ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემას დიდი ამაგი დასდეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა, გამომცემლობა „ფარნავაზის" დირექტორმა რუსუდან საგანელიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თამილა გოგოლაძემ.

ამ დღეებში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო „ლიტვური პოეზიის გაზაფხულის" წარდგენა. მასში მონაწილეობის მისაღებად გორში ჩამოვიდნენ ლიტვის ელჩი საქართველოში ბატონი მეჩის ლაურინკუსი, საელჩოს თანამშრომლები.

სტუდენტი ახალგაზრდებით, მოწვეული სტუმრებით სავსე დარბაზში ისმოდა საუბრები ლიტვურ, ქართულ, რუსულ ენებზე. გორში მცხოვრები ლიტველი ქალბატონი ნიოლე მაჭავარიანი-კილჩაუსკაიტე დედანში კითხულობდა თანამემამულე პოეტების ლექსებს, თარგმანს კი აუდიტორიის პოეტი ჯემალ ინჯია აცნობდა.

პოეტურ კრებულზე, მთარგმნელის ნაღვაწზე ისაუბრეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი აბალაკმა, გორის უნივერსიტეტის პროფესორმა ელდარ მამისთვალიშვილმა, პროფესორმა თამილა გოგოლაძემ, უნივერსიტეტის მე-2 კურსის მაგისტრანტმა ნინო ბადრიაშვილმა და სხვებმა. ლიტველი პოეტების ლექსების ქართულ თარგმანს მაღალი შეფასება მისცეს ელჩმა მეჩის ლაურინკუსმა და გორის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზაზა ცოტნიაშვილმა, ისაუბრეს კრებულის გამოცემის მნიშვნელობაზე ლიტვა-საქართველოს მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**

# სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველის განცხადება

## სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ

1. სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონების რეალიზაციის შესახებ საქართველოს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის 37-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად:

მოვალე: სააქციო საზოგადოება „თბილსრესი"

იურიდიული მისამართი: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2.

საიდენტიფიკაციო კოდი: 226 521 653.

2. სამეურვეო ქონების რეალიზაციის მიზნით აუქციონი გაიმართება 2009 წლის 7 დეკემბერს 14.00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2;

3. აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება სს „თბილსრესის" სამეურვეო ქონება:

— სს „თბილსრესის" ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები — უძრავ-მოძრავი ქონება (ნარჩენი საბალანსო ღირებულება: 49 813 279, 84 (ორმოცდაცხრა მილიონ რვაას ცამეტი ათას ორას სამოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) 1116 ერთეული;

— მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 136,61 ჰა;

— სს „თბილსრესის" ბალანსზე რიცხული საბრუნავი საშუალებები (მასალები) (საბალანსო ღირებულებით — 16 857 224,16 (თექვსმეტი მილიონ რვაას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდაოთხი ლარი და თექვსმეტი თეთრი);

4. სამეურვეო ქონება განლაგებულია: ქ. გარდაბანში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კალინინოში; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ქესალოში; ქ. თბილისი, დაბა კოჯორში, ბეთანია. ერთობლიობაში აღნიშნული ქონება ემსახურება ელექტროენერგიის წარმოების (გენერაციის) საქმიანობას. დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2;

5. სამეურვეო ქონების შეძენის სურვილის შესახებ განაცხადების მიღება იწარმოებს ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. მონაწილეობაზე განცხადებების მიღება შეწყდება 2009 წლის 7 დეკემბერს 12.00 საათზე;

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს;

7. სამეურვეო ქონების საწყისი ფასი შეადგენს 321 753 828 ლარი (სამას ოცდაერთი მილიონ შვიდას ორმოცდაცამეტი ათას რვაასოცდარვა ლარი);

8. „ბე"-ს სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს ლარებში. ბიჯი — 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი;

9. მხარეებს შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ლარებში, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული სავალუტო კურსის შესაბამისად;

10. განცხადებები მიიღება მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2; საკონტაქტო ტელეფონები: + 995 55 22 22 44; +995 99 58 89 45; (824) 17 00 87. ფაქსი — (824) 18 07 45; ელ. ფოსტა: — tbilsresi@tbilsresi.ge

11. გამარჯვებულის გამოვლენის ძირითადი კრიტერიუმები:

— მაქსიმალური გასაყიდი ფასის დასახელება;

— ვალდებულების აღება აუქციონის პირობების დაკმაყოფილებაზე;

12. აუქციონის პირობები:

ა) აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხის გადახდა აუქციონის ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

ბ) მე-3 და მე-4 ენერგობლოკების დადგენილი წესით ექსპლუატაცია და მათი გამართული ფუნქციონირება;

გ) არსებული სიმძლავრის შენარჩუნება მინიმუმ 2025 წლამდე;

დ) სხვა საააუქციონო პირობები, რომლებსაც აუქციონში მონაწილეობის მსურველი უნდა გაეცნოს მისამართზე: ქ. გარდაბანი, ალმაშენებლის ქ. №2;

13. სხვა დებულებები:

— აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პირი გაკოტრების მმართველს წარუდგენს შესაბამის განაცხადს და „ბე"-ს გადახდის ქვითარს (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი). ამასთან ფიზიკურ პირებს დამატებით მოეთხოვებათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ხოლო იურიდიულ პირებს — წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის, ორგანიზაციის წესდების (დამოწმებული ასლი) და სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა (ბოლო მდგომარეობით); თუ განაცხადი და მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება არასრულყოფილად, განაცხადი არ განიხილება.

— აუქციონის შედეგები აისახება აუქციონის შედეგების ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი და აუქციონში გამარჯვებული.

— აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე უარი ან/და დადგენილ ვადაში დარჩენილი თანხის გადაუხდელობა აუქციონში გამარჯვებულს უკარგავს „ბე"-ზე მოთხოვნას.

13. „ბე" და ძირითადი თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე: რესპუბლიკა ბანკის დელისის ფილიალი, სავალუტო ფონდი: 10034130002. საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, სალარე ანგარიში: 179435200.

14. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების ღირებულება („ბე"-ს გამოკლებით), აუქციონის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა უნდა ჩარიცხოს გამოცხადებულ საბანკო ანგარიშზე.

15. სხვა მონაწილეებს გადახდილი „ბე" უკან უბრუნდებათ მოთხოვნის წარდგენიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;

სავალდებულოა:

შენიშვნა 1: აუქციონის ოქმი წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, რომელიც იდება მესამე პირის — სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც გულისხმობს: გაკოტრების პროცესის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მონიტორინგის განხორციელებას აუქციონის პირობების და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათი დარღვევის შემთხვევაში სანქციების გამოყენებას, მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობისა და დაწესებულ ვადაში შესაბამისი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის ჩათვლით.

შენიშვნა 2: აუქციონის ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის სანქციების განსაზღვრა მოხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 სექტემბრის №1-1/1366 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით" პირობებიანი აუქციონის მიზნებისთვის განსაზღვრული სანქციების შესაბამისად (მსგავსად).

სს „თბილსრესის" გაკოტრების მმართველი
**დავით ჩაჩხიანი**

## ვულოცავთ!

# ბედნიერება არ მოშლოდეს ამ ახალ ოჯახს!


ანზორ თავართქილაძე ოჯახთან

23 ნოემბერს გიორგობაა. ყველა ქართველისთვის ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაული.

22-23 ნოემბერს კიდევ ერთი ლამაზი დღესასწაული იქნება ორ ქართულ ოჯახში – კაკაბაძისა და თავართქილაძისაში: ბექა თავართქილაძე და ეკა კაკაბაძე ქორწინდებიან.

ბექა თავართქილაძე ღირსეული ქართველი კაცის, ქვეყნისა და ერის მოამაგის ანზორ თავართქილაძის შვილია. იგი თექვსმეტი წელია ამერიკაში მოღვაწეობს. და მთელი ამ ხნის განმავლობაში მუდამ ახსოვდა მამის შეგონება, რომ ყოფილიყო მამულიშვილი, შეერთო ქართველი მეუღლე და შეექმნა ღირსეული ქართული ოჯახი.

სამწუხაროდ, ანზორ თავართქილაძემ ძალიან ადრე დატოვა თავისი ოჯახი, მეგობრები და საქმე. იგი ვერ დატკბა ქალიშვილის თეასა და მისი მეუღლის კახა სალაიას ბედნიერებით, ვერ მოეფერა თავის შვილიშვილს ანა-მარიას.

ანზორ თავართქილაძე ბევრ პასუხსაგებ სახელმწიფო თანამდებობაზე მოღვაწეობდა: ხელმძღვანელობდა საქართველოს ლითონმომარაგების სამმართველოს, იყო საქართველოს მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, დამოუკიდებელი საქართველოს 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი. ყველაზე ძნელბედობის ჟამს, როდესაც ქვეყანაში ომი, შიმშილი, ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა, მეგობრებთან, კოლეგებთან ერთად მწვავედ განიცდიდა ქვეყნის საერთო ტკივილსა და გაჭირვებას, ყველგან, სადაც კი შეეძლო, დახმარების ხელს უწვდიდა უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს. განსაკუთრებით განიცდიდა მომავალი თაობის პრობლემას. დღეს მისი სული ნამდვილად ხარობს და ზეობს იმქვეყნიურ სასუფეველში.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში დაკარგა ოჯახის საყრდენი, მისმა მეუღლემ – ქალბატონმა იზო გოგიბერიძე-თავართქილაძისამ – ბოლომდე გასწია ნამდვილი ქართველი ქალის, ერთგული მეუღლისა და მოსიყვარულე, მზრუნველი დედის ჭაპანი, მან შვილები კარგ ქართველებად, მამას რომ სურდა, ისეთ ადამიანებად აღზარდა და ჩამოაყალიბა. იგი ნათესავ-მეგობრებისთვის დღესაც საამაყო რძალია.

მეგობრები ადრე წასული ანზორის ოჯახს დღემდე უანგაროდ უდგანან გვერდით, ისევე უანგაროდ და ერთგულად, როგორც ამას ანზორი იქმოდა და იზამდა დღესაც, არსთგამრიგეს მისთვის მეგობართა გვერდით ბოლომდე ყოფნის უფლება რომ მიეცა...

23 ნოემბერს გიორგობაა.

23 ნოემბერს კიდევ ერთი ლამაზი, ქართული ოჯახი შეიქმნება, რომელსაც ეკა კაკაბაძისა და ბექა თავართქილაძის ოჯახი ერქმევა.

უზარმაზარ ბედნიერებას ვუსურვებთ მათ.

უახლოესი მეგობრები

## დღის კალენდარი

21 ნოემბერი

**24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**


ამოდის 06.57
ჩადის 16.34


ამოდის 21.06
ჩადის 11.54

კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა: გაბრიელისა, რაფაელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ვარახიელისა და იერომიელისა. ქუთაისის მწვანეყვავილას, მენჯის, ალგეთის, ჯუმათის, დიმის, ერკეთის, გრემის, შუამთის მთავარანგელოზის ეკლესიის დღესასწაული.

### დაიბადნენ:

1694 – **ვოლტერი,** ფრანგი მწერალი და ფილოსოფოს-განმანათლებელი, გარდაიცვალა 1778 წელს.

1818 – **ლუის ჰენრი მორგანი,** ამერიკელი მეცნიერი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი და ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1881 წელს.

1826 – **კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანი,** სვანეთის უკანასკნელი მთავარი. გარდაიცვალა 1857 წელს.

1852 – **ბესარიონ ნიჟარაძე,** საზოგადო მოღვაწე, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, გარდაიცვალა 1919 წელს.

1862 – **გიგო გაბაშვილი,** ფერმწერი, გარდაიცვალა 1936 წელს.

1924 – **ედიშერ ყიფიანი,** მწერალი, გარდაიცვალა 1972 წელს.

1938 – **იზა ორჯონიკიძე,** პოეტი.

### გარდაიცვალნენ:

1572 – **ანჯელო ბრონზინო,** იტალიელი ფერმწერი, ფლორენციული მანიერიზმის წარმომადგენელი.

1875 – **ფრიდრიხ ალბერტ ლანგე,** გერმანელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი.

1937 – **მელიტონ ბალანჩივაძე,** კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი.

### მოვლენები:

**1386 წელი** – თემურლენგმა თბილისი აიღო.

**1871 წელი** – ტომას ედისონმა გამოიგონა ფონოგრაფი.

**1929 წელი** – ესპანელმა მხატვარმა სალვადორ დალიმ მოაწყო თავისი პირველი გამოფენა.

**1977 წელი** – განხორციელდა ზებგერითი თვითმფრინავის „კონკორდის" პირველი გაფრენა ლონდონიდან ნიუ-იორკში.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ტელევიზიის მსოფლიო დღე.**

**მისალმების მსოფლიო დღე.**

მედიანიუსი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 25 ნოემბერს

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ჰოროსკოპი

# მშვილდოსანი

**23 ნოემბერი – 21 დეკემბერი მფარველი პლანეტა – იუპიტერი**

### ქალბატონი

მშვილდოსანმა-ქალბატონმა ბევრი რამ უნდა ისწავლოს. უწინარესად თავდაჭერილობა და ვითარების მართვა. წელიწადი პრობლემების გადასაჭრელად ხელსაყრელი იყო და ბოლომდე ასეთად დარჩება. ეს, განსაკუთრებით, მის შვილებს ეხება, ხოლო თუ შვილები არ ჰყავს, მაშინ მათ ყოლაზე დროულად დაფიქრება და პირადი ცხოვრების მოწყობაზე დაფიქრებაა საჭირო. ნათესავებთან ურთიერთობა შესაძლოა კი დაეძაბოს, მაგრამ თანადგომა სწორედ მათში უნდა ეძიოს. საამისოდ კი საკუთარი საუკეთესო თვისებები – ბუნებრივი მომხიბვლელობა და ოპტიმიზმი უნდა გამოავლინოს, თუმცა ფსიქოლოგიურად ეს ადვილი სულაც არ იქნება. გახსოვდეთ: ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, ვინაიდან თქვენი ბუნებრივი უშუალობაც კი შეიძლება კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

### მამაკაცი

მშვილდოსანი-მამაკაცი უამრავი ახალი შთაბეჭდილებებით აღივსება, ამიტომ მისთვის აუცილებელია ოჯახური სიმყუდროვე. მისი მჩქეფარე ენერგია წელს, უმეტესწილად, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და შემოქმედებაზეა მიმართული. ამიტომ საყვარელი ქალი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მის გარშემო ხშირად ბევრი ხალხი იტრიალებს, რომელთა შორის უცნაური ადამიანებიც იქნებიან. თუკი ქალბატონს სურს მუდამ მის გვერდით იყოს, აქტიურად უნდა აუბას მხარი ყველა წამოწყებაში, რათა მამაკაცმა მასში თანასწორი პარტნიორი დაინახოს. კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ქალი თავადაც გამოამჟღავნებს ცოდნას, თვითონ მიაწვდის ახალ იდეებს. წლის მეორე ნახევარი პირველთან შედარებით მშვილდოსან-მამაკაცს უფრო დაძაბული ექნება, ამიტომ მისთვის დიდად მნიშვნელოვანი იქნება იმის შეგრძნება, რომ მის გვერდით მოსიყვარულე ქალია, რომელიც სავსებით იზიარებს მის იდეებსა და ოპტიმიზმს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.